ელგუჯა ჩაგანავა

აჭარის არქივისტები

ბათუმი
2023

ელგუჯა ჩაგანავა

აჭარის არქივისტები

ბათუმი, 2023

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო

წიგნი ეძღვნება აჭარის საარქივო სამმართველოს 100 წლის იუბილეს

ელგუჯა ჩაგანავა

აჭარის არქივისტები

ბათუმი, 2023

ნაშრომში წარმოდგენილია იმ არქივისთა მონაცემები, რომელთა შესახებ ბიოგრაფიული ხასიათის მასალები დაცულია აჭარის სააქრივო სამმართველოში. თითოეულმა მათგანმა გარკვეული ღვაწლი დასდო საარქივო საქმის განვითარებას. ფონდსაცავებში არსებული მასალების საფუძველზე შესაძლებლობა მოგვეცა შეგვეკრიბა ბიოგრაფიული მონაცემები 156 არქივისტის შესახებ. ბევრი მათგანი დღეს აღარაა ჩვენს გვერდით, ზოგნი კი კვლავაც იღწვიან საახალხო მეურნეობის, განათლებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროში.

ნაშრომი დარგობრივი - საიუბილეო ცნობარის გამოცემის პირველი მოკრძალებული ცდაა და ეძღვნება აჭარის საარქივო სამმართველოს 100 წლისთავს.

რედაქტორი: მაია ივანიშვილი - საარქივო სამმართველოს უფროსი
რეცენზენტები: თამაზ ფუტკარაძე
რამაზ ბოლქვაძე

წინათქმა

არქივი ,,ერის დოკუმენტური მეხსიერებაა“. იგი სათუთად ინახავს ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიას, ხალხის მიერ დაგროვილ ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებას. არქივის გარეშე წარმოუდგებელია სახელმწიფოსა და ხალხის ისტორიის შესწავლა. გადის საუკუნეები, იცვლება თაობები, მაგრამ არქივი ინახავს ხსოვნას გარდასულ საუკუნეებსა და თაობებზე უნიკალური და ფასდაუდებელი წყაროების - საარქივო დოკუმენტების სახით. სწორედ ამიტომაა არქივი ყველა ქვეყანაში სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი.

აჭარის საარქივო დაწესებულების ასწლოვან ისტორიაში არაერთმა არქივისტმა დატოვა თავისი კვალი და დასდო ფასდაუდებელი ღვაწლი საარქივო საქმის განვითარებას. სწორედ მათ შესახებ არის საუბარი წინამდებარე ნაშრომში. მათი თავდაუზოგავი შრომის შედეგია სასოებით და მზრუნველობით მოვლილი, პასუხისმგებლობით გადარჩეული განსაკუთრებული ღირებულების მქონე საარქივო პირველწყაროები, ფონდსაცავებში ფაქიზად დალაგებული სახელმწიფო დაწესებულებების ისტორიის ამსახველი ფონდადქცეული დოკუმენტები.

დოკუმენტი თავისთავად დუმს, მაგრამ არქივისტებს, მკვლევარებს შეუძლიათ მათი ამეტყველება. დოკუმენტის ,,დუმილისა“ და ,,მეტყველების“ მიშვნელობა ყველაზე თვალნათლივ ჩანს სწორედ საარქივო დაწესებულებაში. და თუ დღეს მკითხველს ვთავაზობთ არქივისტების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მასალებს, ეს უპირველესად იმ დოკუმენტების დამსახურებაა, რომლებიც მათი საქმიანობის, საქმისადმი სიყვარულის, დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის შესახებ გვესაუბრებიან.

ამჯერად მკითხველის სამსჯავროზე გამოგვაქვს ინფორმაციული ხასიათის ნაშრომი - ,,აჭარის არქივისტები“. აღნიშნული ნაშრომი დარგობრივი - საიუბილეო ცნობარის გამოცემის პირველი მოკრძალებული ცდაა. აჭარის არქივისტთა გალერეაში ბევრი ნათელი სახეა, რომლებმაც განსაკუთრებული ღვაწლი დასდეს საარქივო საქმის განვითარებას. ჩვენ შევეცადეთ მათ შესახებ მოგვეძიებინა მასალები. სამწუხაროდ, საარქივო ფონდებში ყველა მათგანის შესახებ მასალები დაცული არაა. ფონდსაცავებში არსებული მასალების საფუძველზე შესაძლებლობა მოგვეცა შეგვეკრიბა ბიოგრაფიული მონაცემები 157 არქივისტის შესახებ. ბევრი მათგანი დღეს აღარაა ჩვენს გვერდით, ზოგნი კი კვლავაც იღწვიან საახალხო მეურნეობის, განათლებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროში. ნაშრომში არქივისტები წარმოდგენილნი არიან ანბანური თანმიმდევრობით.

წიგნში ვერ მოხვდნენ ის არქივისტები, რომელთა შესახებ საარქივო დაწესებულებაში არაა დაცული მასალები. წიგნის ავტორს მათი და მათი შთამომავლობის სულგრძელობის იმედი აქვს. ვფიქრობ, რომ ამ საპატიო ნაკლს გამოასწორებენ ახალგაზრდა არქივისტები ან მომავალი თაობები. საზოგადოება უნდა იცნობდეს არქივისტებს, რომლებმაც უანგარო და თავდადებული შრომით

სიცოცხლე შეუნარჩუნეს დოკუმენტს, გადაარჩინეს იგი და ზოგიერთი მათგანი დღესაც დაუმადლებლად ემსახურება ქვეყანას.

საარქივო სამმართველოში დღესაც მუშაობენ გამორჩეული არქივისტები, რომელთა შესახებ თბილ სიტყვებს არ დაიშურებენ მომავალი თაობები და საზოგადოებას წარუდგენენ უფრო სრულყოფილ გამოკვლევას და გააგრძელებენ ურთიერთპატივისცემისა და წინაპართა ღვაწლის დაფასების იმ ლამაზ ტრადიციას, რომლითაც ყოველთვის იწონებდა თავს აჭარის საარქივო სამმართველო.

ვაცნობიერებთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არაა სრულყოფილი, მკითხველს აუცილებლად გაუჩნდება კითხვები, შენიშვნები სურვილები. ავტორი სრულად გაიზიარებს ყველა სამართლიან შენიშვნას და გაითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში. ამასთან, მოკრძალებით გთხოვთ გამოგვიგზავნეთ თქვენი თუ თქვენთვის ცნობილი არქივისტების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მონაცემები და ფოტოსურათები, რომლებსაც სიამოვნებით გავითვალისწინებთ შემდგომ გამოცემაში.

მისამართი: ქ. ბათუმი, ვ. გორგასლის ქ. №126. აჭარის არ საარქივო სამმართველოს კანცელარია.

აჭარის ცენტრალური სახელმწიფო
არქივის ისტორიიდან

საარქივო საქმის განვითარების ისტორიის საწყის თარიღად საქართველოში მიჩნეულია 1920 წლის 23 აპრილი, როცა დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების შესახებ. **რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დირექტორად დაინიშნა დამფუძნებელი კრების წევრი პეტრე გელეიშვილი**. პირველად, სამეფო დაწესებულებების საუწყებო არქივების ბაზაზე ყალიბდება მთავარი ისტორიული არქივი.

რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დაარსების შესახებ კანონის მიღება უაღრესად დროული იყო, რადგან უპატრონობისა და დაუცველობის გამო საარქივო მასალის უდიდეს ნაწილს მოსპობა ემუქრებოდა. წითელი არმიის შემოსვლას მოჰყვა ზოგიერთი არქივის განადგურება, მაგ. განადგურდა კავკასიის ყოფილი საოლქო შტაბის არქივი. თვით ცენტრალური არქივის შენობაშიც ჯარისკაცების დგომისას ბევრი საარქივო დოკუმენტი საბოლოოდ გაქრა და განიავდა.

წარმოდგენილი დეკრეტის საფუძველზე აჭარაში დაიწყო დოკუმენტების შეგროვება და დაცვა. გასაბჭოების პირველი დღეებიდანვე აჭარის ასსრ სამხედრო კომისარიატთან ჩამოყალიბდა დროებითი კომისია, რომელსაც დაევალა სამხედრო-ისტორიული დოკუმენტების შეგროვება და კლასიფიკაცია. ამ კომისიის გამგებლობაში უნდა მოქცეულიყო როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო დაწესებულებების საარქივო მასალები.

1921 წლის 15 ივლისს სამხედრო კომისარიატის მიერ გამოცემული განკარგულებით ყველა დაწესებულებას (სამოქალაქო, სამხედრო) სამი დღის განმავლობაში უნდა ეცნობებინათ დროებითი კომისიის თავმჯდომარისათვის მათ განკარგულებაში არსებული მასალების შესახებ. სამხედრო კომისარიატის დროებითი კომისია თავის თავზე იღებდა აჭარის ტერიტორიაზე არსებული ყველა არქივის გამგებლობას.

აჭარის საოლქო სამხედრო კომისარიატის დროებითმა კომისიამ დიდი მუშაობა ჩაატარა საარქივო-დოკუმენტური მასალების შეგროვების, კლასიფიკაციის, აღწერისა და ყველა საარქივო დოკუმენტის ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში თავმოყრის თავლსაზრისით.

1922 წლის 10 იანვარს საქართველოს ცენტრალურმა არქივმა ბათუმში მოავლინა ცნობილი ისტორიკოსი **სარგის კაკაბაძე,** რომელსაც, როგორც მისი წერილიდან ირკვევა, საკმაოდ უცნაური ვითარება დახვდა. აღმოჩნდა, რომ ბათუმში 1921 წელს მოსკოვიდან **ჩასულან სიროტენკო და შაფირი,** რომლებიც თავანთ თავს კომინტერნის წარმომადგენლებს უწოდებდნენ. მათ შეუდგენიათ ადგილობრივი სამხედრო საისტორიო კომისია, რომლის თავმჯდომარედაც დაუნიშნავთ გენერალ-მაიორი **გიორგი ფურცელაძე.**

ბათუმის არქივში არსებული მდგომარეობის გაცნობის შემდეგ, სარგის კაკაბაძემ სამმართველოს რწმუნებულად გიორგი ფურცელაძე დატოვა. მას მიეცა შესაბამისი მანდატი. მანდატს ხელს აწერს საარქივო მმართველობის მთავარი გამგე სარგის კაკაბაძე.

მართალია განათლების კოლეგიამ მიიღო დადგენილება აჭარის საარქივო განყოფილების შექმნის შესახებ, მაგრამ განათლების კომისარიატმა იგი არ დაამტკიცა, რადგანაც აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებით, „საარქივო განყოფილების შექმნა საჭირო არ იყო".

ყოვლად აუხსნელი და გაუაზრებელი იყო ანალოგიური გადაწყვეტილება მაშინ, როცა რსფსრ-ს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მიღებული ჰქონდა დეკრეტი საგუბერნიო და საოლქო აღმასკომებთან დიდი უფლებებით აღჭურვილი საარქივო ბიუროების დაარსების შესახებ.

საქართველოს საარქივო სამმართველოს რწმუნებულის გიორგი ფურცელაძის აქტიური მეცადინეობით, ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებითა და მხარდაჭერით 1922 წლის ნოემბერში **ჩამოყალიბდა აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის ბათუმის საარქივო განყოფილება,** მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა საარქივო დაწესებულების ფორმირებას.

არქივის დაარსების საკითხი განხილულ იქნა აჭარის სახკომსაბჭოს 1922 წ. 7 დეკემბრის პლენუმზეც, რომელმაც დაადგინა „ეცნობოს ცენტრს, რათა მან მოაგვაროს ეს საკითხი: მზრუნველობა გასწიოს ბათომში არსებულ სხვადასხვა ისტორიული მნიშვნელობის საქმეების შენახვა-მოვლა-პატრონობის აუცილებლობა. პლენუმის გადაწყვეტილების მიუხედავად საარქივო სამმართველოს დაარსების საკითხი მაინც გადაუჭრელი დარჩა.

1923 წლის 20 მარტს აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილი იქნა საქართველოს მთავარი საარქივო საქმის რწმუნებულის გ. ფურცელაძის მოხსენება „საარქივო საქმის მდგომარეობა აჭარაში". პრეზიდიუმმა განიხილა საარქივო საქმესთან დაკავშირებული ყველა საკითხი და დაადგინა ყველა დოკუმენტის განათლების სახალხო კომისარიატისათვის გადაცემა და „მისი საჭიროებისათვის საჭირო აპარატის შექმნის გეგმა-პროექტის შედგენა.

განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ **1923 წ. 28 მარტს** განიხილა არქივის საკითხი და მიიღო დადგენილება **„განკომთან საარქივო განყოფილების შექმნის შესახებ".**

1923 წლის 11 აპრილს აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა განათლების კომისარიატის მიერ წარდგენილი პროექტი „არქივის ორგანიზაციისა და ცენტრალიზაციის შესახებ" და დაადგინა: „დაუყოვნებლივ დაწესდეს **საარქივო სამმართველო** განათლების სახალხო კომისარიატთან". გადაწყდა, რომ შექმნილიყო **აჭარის საარქივო სამმართველო ოთხი საშტატო ერთეულით: ცენტრალური საარქივო სამმართველოს გამგე, კლასიფიკატორი, არქივარიუსი და კურიერი.**

ჩვენის აზრით, სწორედ ეს დღე, **1923 წ. 11 აპრილი უნდა ჩაითვალოს აჭარაში საარქივო დაწესებულების დაბადების დღედ.** ამ დადგენილებით აღნიშნულმა დაწესებულებამ ოფიციალურად დაიწყო ფუნქციონირება.

როგორც იქნა, ასრულდა საარქივო დოკუმენტების ბედით დაინტერესებული მამულიშვილების ოცნება - ჩამოყალიბდა აჭარის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო კერა და დოკუმენტსაცავი – საარქივო სამმართველო, მაგრამ მალე ამ საქმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საქართველოს საარქივო სამმართველოს რწმუნებული გიორგი მიხეილის ძე ფურცელაძე დახვრიტეს 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობისათვის.

გ. ფურცელაძის დახვრეტის შემდეგ საარქივო საქმის ხელმძღვანელად მოწვეული იქნა კიევის უნივერსიტეტის რუსეთის ისტორიის კათედრის დოცენტი **ნიკოლოზ სპილიოტი** (დაბადებული 1867 წელს). არქივის გასაღები მას ბოჭორიშვილმა გადასცა. ჩამოსვლისთანავე ნ. სპილიოტმა აქტიური მუშაობა დაიწყო საარქივო დოკუმენტების თავმოყრისათვის. იგი თავად ეძებდა დოკუმენტებს ქალაქის საბჭოს სარდაფებსა თუ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში.

1937 წ. 20 სექტემბრის 4 § 1 ბრძანებით ნ. სპილიოტი გადაყვანილი იქნა აჭარის ცენტრალური საარქივო სამმართველოს მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე.

სირთულეების მიუხედავად არქივში დაიწყო მძიმე და შრომატევადი მუშაობა დოკუმენტური მასალების გამოვლენის, სხვადასხვა ადგილას გაბნეული მასალების მოძიების, დაკომპლექტებისა და ერთ შენობაში თავმოყრისათვის. ცალკეული ფონდების არქივსაცავებში განთავსების კონკრეტული დეტალები ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ცხადია, რომ დოკუმენტების ძირითადი ნაწილი არქივში შემოვიდა 1925 წლამდე. შემდგომისათვის, დოკუმენტების აღმოჩენის შესაბამისად შემოდიოდა მასალები სხვადასხვა ქალაქებიდან და რესპუბლიკებიდან.

ცენტრალური სახელმწიფო არქივის დაარსების პირველ წლებში არქივში დაცული იყო სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის, ბათუმის სათათბიროს, ბათუმის ნავსადგურის პოლიციის სამმართველოს, ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს თანაშემწის, ჩაქვის საუფლისწულო მამულის სამმართველოს, სასამართლო ორგანოებისა და სხვა ფონდები. არქივის იმჟამინდელმა თანამშრომლებმა სათანადო პირობების არარსებობის მიუხედავად გარკვეულწილად შეძლეს არქივის დოკუმენტური მასალებით დაკომპლექტება და დაცვა, შექმნეს საქალაქო და რაიონული არქივების ქსელი, წესრიგში მოიყვანეს ადგილობრივი მნიშვნელობის დაწესებულება-ორგანიზაციების, სამინისტროების, სხვა საუწყებო არქივების დოკუმენტები, 1930 წლამდე შეძლეს რევოლუციამდელი პერიოდის ყველა დოკუმენტური მასალის თავმოყრა აჭარის ცსა-ში, მაგრამ გადაულახავ პრობლემად რჩებოდა არქივსაცავში საარქივო დოკუმენტების განთავსება. ქალაქის სამმართველოს საარქივო მასალა პირველად განთავსდა **კომუნალური მეურნეობის შენობის** (ყოფილი გამგეობის შენობა) ერთ ოთახში, **შემდეგ იმავე შენობის სხვენში, ნესტიან სარდაფში, ქალაქის საბჭოს შენობაის** ბნელ, ნესტიან სათავსოში **ლიკვიდირებული ლომბარდის შენობაში, ქალაქის საბჭოს ორ პატარა ოთახში,** ორჯონიკიძის და პიონერის ქუჩების კვეთაში მდებარე ახალ შენობაში და ა. შ.

17 წლის განმავლობაში არქივმა 10-ჯერ შეიცვალა ადგილი. 1936 წლიდან არქივმა ბინა დაიდო ლიბკნეხტის (ახლ. მაზნიაშვილის) ქ. N**44-ში** მდებარე **ბინიატ ოღლის ყოფილ სახლში, არქიტექტორთა კავშირის ყოფილ სასტუმროში** (ე. წ. სოკოს შენობა), ამავე შენობის სხვენში. **1938 წ. 14 დეკემბრის N 32 გადაწყვეტილებით არქივს გადაეცა ყოფილი ქართული კათოლიკური ეკლესია,** სადაც დოკუმენტები განთავსებული იყო 1965 წლის 30 ივლისამდე, ეს შენობა მანამდე არსებულ სათავსოებთან შედარებით იძლეოდა საარქივო საქმიანობის შესაძლებლობას.

1962 წელს გადაწყდა არქივისათვის სპეციალური შენობის აშენება. შესაბამისად, გამოუყეს მიწა გორკის, (ეხლ. გორგილაძის) ქუჩის ბოლოში, შემუ-

შავდა შესაბამისი პროექტი, რომლის საფუძველზეც აშენებული იქნა არქივის სამსართულიანი შენობა. **იგი ექსპლოატაციაში შევიდა 1965 წელს.**

1968 წ. დაიწყეს საარქივო დაწესებულებისათვის ახალი, 6 სართულიანი შენობის მშენებლობა.

არქივის ახალი შენობა ექსპლოატაციაში შევიდა 1992 წელს. 18 წელი დასჭირდა მის აშენებას. არქივის არსებობის 75-ე წლისთავზე მოხერხდა არქივისათვის ტიპიური შენობის აგება, სადაც შესაძლებელი გახდა 800 ათასამდე საქმეთა ერთეულის შენახვა.

საარქივო დაწესებულება დღეისათვის სწორედ ამ შენობაშია განთავსებული. 2011 წლის პრიორიტეტების შესაბამისად, კაპიტალურად შეკეთდა საარქივო სამმართველოს შენობა. შესაბამისად, საარქივო დოკუმენტების უსაფრთხოდ შენახვის და დაცვისათვის, მოქალაქეთა უფრო მარტივი და კომფორტული მომსახურებისათვის შეიქმნა შესაფერისი პირობები. გაიოლდა ინფორმაციის მოძიების სისტემა, საცავები და განყოფილებები აღიჭურვა თანამედროვე ავეჯით და კომპიუტერული ტექნიკით.

აჭარის ცენტრალურმა არქივმა რამდენჯერმე შეიცვალა დაქვემდებარებაც. ამჟამად იგი არის აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში. აჭარის საარქივო სამმართველო აერთიანებს ერთ ცენტრალურ და 5 რაიონულ არქივს, რომლებშიც დოკუმენტების რაოდენობა გაიზარდა 560 ათას შესანახ ერთეულამდე. სახელმწიფო შენახვაზეა 12588 ფოტოდოკუმენტი, 11444 კინოფირი და 7880 სამეცნიერო ხასიათის დოკუმენტი.

აჭარის საარქივო დაწესებულებაში დაარსების დღიდან არაერთ გამორჩეულ არქივისტს უმუშავია. ზოგიერთი მათგანის შესახებ ჩვენსავე ფონდებში დაცულია ბიოგრაფიული ხასიათის მონაცემები, რომლებიც წარმოდგენილია წინამდებარე წიგნში.

****

აბაშიძე მუხერემ ხუსეინის ძე - დაიბადა 1914 წელს, ხულოს რაიონის სოფ. ძირკვაძეებში. სწავლობდა ძირკვაძეების დაწყებით სკოლაში. 1940 წელს შევიდა საკოლმეურნეო სკოლაში. 1941 წელს წარჩინებით დაამთავრა ერთწლიანი საბუღალტრო სკოლა. 1941წლიდან 1971 წლამდე სხვადასხვა დროს მუშაობდა: ძირკვაძეების კოლმეურნეობის ბუღალტრის, ხულოს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს დამზადების ბუღალტერ-ეკონომისტის, სოფლის მეურნეობის ინსპექტორის, რაიონის სოცუზრუნველუოფის უფროსი ინსპექტორის, ძირკვაძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარის პოზიციებზე. ცოტა ხანს იმუშავა აგრეთვე რაიონული გაზეთის რედაქციაში. 1971 წელს მ. აბაშიძე დაინიშნა ხულოს რაიარქივში - ბუღალტრის პოზიციაზე (განთავისუფლების შესახებ დოკუმენტი დაცული არ არის).

ანდრონიკიდი ანასტასია კონსტანტინის ასული - დაიბადა 1925 წელს, ქ. ბათუმში. დაამთავრა საშუალო სკოლა. 1947-1958 წლებში მუშაობდა ბათუმის საზღვაო სასწავლებელში, ბათუმის სახვევების ტრესტსა და თოჯინების თეატრში. 1966 წლიდან მუშაობა დაიწყო საარქივო სისტემაში - საარქივო სამმრთველოს საქმეთამმართველის, შემდეგ კი (1976 წლიდან) მე-2 კატეგორიის არქივსტის პოზიციაზე. გამოცხადებული აქვს მადლობები, დაჯილდოებულია მედლით ,,შრომის ვეტერანი". ა. ანდრონიკიდი პენსიაზე გასვლის შემდეგაც (1978 წელი) განაგრძობდა ჩვეულებრივ მუშაობას საარქივო დაწესებულებაში. განთავისუფლების შესახებ არქივში დოკუმენტი დაცული არ არის.

აბუსერიძე ეთერ მიხეილის ასული, დაიბადა 1947 წელს, შუახევის რაიონში. 1969 წელს დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი - ბიოლოგიის სპეციალობით. 1971 წელს ე. აბუსერიძე დაინიშნა შუახევის რაიონულ არქივში - ფონდსაცავის უფროსის თანამდებობაზე. სხვა დოკუმენტები აღნიშნული პირის შესახებ არქივში დაცული არ არის.

აბულაძე ვაჟა ალიოსმანის ძე - დაიბადა 1948 წელს, ხულოს რაიონის სოფელ ვაშლოვანში. 1963 წელს დაამთავრა ვაშლოვანის 8 წლიანი სკოლა და სწავლა განაგრძო ქედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში - აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა წარჩინებით 1967 წელს. 1967-1969 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1972 წელს დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის ხულოს რაიონული განყოფილების სამეურნეო ჯგუფის უმცროს მეცნიერ მუშაკად. 1974 წელს დაინიშნა ფონდების მცველად (სხვა დოკუმენტები აღნიშნული პირის შესახებ დაცული არ არის).

არობელიძე (მჭედლიშვილი) მაყვალა ნიკოლოზის ასული - დაიბადა 1938 წელს, ქალაქ გორში. 1957 წელს დაამთავრა გორის №2 საშუალო სკოლა, შემდეგ კი გორის სავაჭრო განყოფილების კურსები. 1958-1970 წწ. მუშაობდ მაღაზიის გამყიდველად გორსა და ბათუმში. 1971 წელს დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალურ

სახელმწიფო არქივში - არქივისტის პოზიციაზე. მოგვიანებით იგი გადაიყვანეს მე-2 კატეგორიის არქივისტად.

მაყვალა არობელიძე იყო პატიოსანი, შრომისმოყვარე და თავდადებული მუშაკი, თავისი საქმის შესანიშნავი სპეციალისტი. ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

აბუსელიძე ზაირა ამირანის ასული - დაიბადა 1964 წელს, შუახევის რაიონის სოფელ სამოლეთში. 1981 წელს დაამთავრა უჩამბის საშუალო სკოლა, 1986 წელს კი ბათუმის საბუღალტრო სკოლა. 1981-1984 წლებში მუშაობდა შუახევის რაიონის სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციაში აგენტის პოზიციაზე. 1986-1994 წწ. მუშაობდა შუახევის რაიონულ სახელმწიფო არქივში ფონდების მცველის პოზიციაზე. გათავისუფლდა 1994 წელს საკუთარი განცხადების საფუძველზე.

ზაირა აბუსელიძეს დიდი წვლილი მიუძღვის რაიონის ისტორიული და სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტების დაცვის საქმეში.

აბაშიძე შალვა ბინალის ძე - დაიბადა 1955 წელს, შუახევის რაიონის სოფელ კარაპეტში. კარაპეტის 8-წლიანი სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო სწავლა გააგრძელა ბათუმის №1 სკოლა ინტერნატში. 1972 -1978 წწ. სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, პარალელურად ახერხებდა მუშაობას სოფელ კარაპეტის კოლმეურნეობაში. 1978-1986 წწ. მუშაობდას საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორის, კომკავშირის რაიონული კომიტეტის მდივნისა და კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის თანამდებობებზე. 1986-1987 წწ. შ. აბაშიძე საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პოლიტგანათლების სახლის ინსტრუქტორია.

1989 წელს შალვა აბაშიძე დაინიშნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული - საარქივო სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. 1991 წ. უწყებას შეეცვალა სახელი და ეწოდა აჭარის არ სახელმწიფო სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება ,,მემატიანე", რომელსაც სათავეში ჩაუყენეს შ. აბაშიძე. 1995 -2003 წწ. იგი სათავეში უდგას აჭარის არ საარქივო დეპარტამენტს. 2003 წელს შალვა აბაშიძე გათავისუფლდა საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ახალგაზრდა ენთუზეასტი საარქივო სისტემაში მოსვლისთანავე აქტიურად ჩაერთო საარქივო დარგის შემდგომი განვითარებისთვის ბრძოლაში. შალვა აბაშიძე იყო შესანიშნავი ორგანიზატორი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაფართოვდა საარქივო დეპარტამენტი, დაიხვეწა ცენტრალური სახელმწიფო არქივის სტრუქტურა, ცენტრალური და რაიონული არქივების მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები. შ. აბაშიძემ ბევრი გააკეთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. მისი ინიციატივითა და მოწადინებით შეიქმნა დოკუმეტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების რესპუბლიკური ლაბორატორია. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში საარქივო სამმართველომ დამყარდა კავშირი საზღვარგარეთის, უპირატესად თურქეთის არქივებთან. შ. აბაშიძის ძალისხმევით საარქივო სამმართველოს საშტატო ერთეული რამდენადმე გაიზარდა. შალვა აბაშიძე

იყო პრინციპული და სამართლიანი ხელმძღვანელი, თავისი თანამშრომლების ჭირისა და ლხინის გამზიარებელი და მათი ინტერესების უპირობო დამცველი.

შალვა აბაშიძე დაჯილდოებულია სამთავრობო ჯილდოებით, მედლით, სიგელებით. იგი არის ,,ღირსების ორდენის" კავალერი. ჰყავს ორი შვილი.

ანდღუაძე გუგული ამბროსის ასული - დაიბადა 1933 წელს მახარაძის (ახლანდელი ოზურგეთის) რაიონის სოფელ მელქედურში. სოფლის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მახარაძის პედაგოგიურ სასწავლებელში. 1961 წელს გუგული ანდღულაძე დაინიშნა აჭარის არ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში - უფროსი არქივისტის პოზიციაზე. 1969 წელს იგი გადაიყვანეს ცენტრალური სახელმწიფო არქივის უმცროს მეცნიერ მუშაკად, 1974 წელს კი უფროს მეცნიერ მუშაკად. 1990 წლიდან იგი პირველი კატეგორიის არქივისტია. 1999 წელს გ. ანდღულაძე დაინიშნა სახელმწიფო არქივის, საუწყებო არქივის გამგის, 2004 წელს კი სამმართველოს მიკროფილმირებისა და რესტავრაციის რესპუბლიკური ლაბორატორიის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე. მაღალკვალიფიციური სპეციალისტი 2005 წელს გადაიყვანეს სახელმწიფო არქივის დოკუმენტების სამეცნიერო - საცნობარო აპარატის და აღრიცხვის განყოფილების მთავარ არქივისტად, შემდეგ კი განყოფილების უფროსად. მოგვიანებით გ. ანდღულაძეს კვლავ ვხედავთ სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტების განყოფილების არქივისტის პოზიციაზე, სადაც მუშაობდა პენსიაში გასვლამდე - 2006 წლამდე.

გუგული ანდღულაძე იყო თავისი საქმის შესანიშნავი მცოდნე, ინიციატივიანი ხელმძღვანელი. მისი აქტიური მონაწილეობით მომზადდა სახელმწიფო დაწესებულებების ცნობარი. მან თავისი ცხოვრების 42 წელი არქივში გაატარა და მთელი თავისი ენერგია საარქივო საქმიანობას, ასევე ახალგაზრდა არქივისტების აღზრდა-დაოსტატების საქმეს მოახმარა.

გ. ანდღულაძე ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობასაც. მისი ავტორობით გამოქვეყნდა ათობით სამეცნიერო სტატია, პუბლიცისტური წერილი. იგი იყო აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი. დაჯილდოებული იყო აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლებისა და უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელებით.

დამსახურებული არქივისტი გარდაიცვალა 2008 წელს.

ბეჟანიძე ლილი სალიხის ასული - დაიბადა ქედის რაიონის სოფელ ზენდიდში. ქედის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1957 წელს, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დაასრულა 1962 წელს. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს ხალხური შემოქმედებითი აჭარის რესპუბლიკურ სახლში ფოლკლორული სექციის ხელმძღვანელის, 1965-1970 წლებში აჭარის სახელმწიფო მუზეუმის სწავლული მდივნის, ასევე განყოფილების გამგის თანამდებობებზე. 1971 წლის აპრილიდან მუშაობა დაიწყო აჭარის სახელმწიფო არქივში, უმცროსი მეცნიერ-მუშაკის პოზიციაზე. სხვა ცნობები მის შესახებ არქივში დაცული არ არის.

ბესელია ჯულიეტა ნესტორის ასული - 1950-1952 წლებში იყო აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო არქივის დირექტორი.

ბერიძე შუქრი ასლანის ძე - 1938-1940 წლებში მუშაობდა ქედის რაიონული არქივის გამგედ.

ბეჟანიძე ციალა მუხამედის ასული - დაიბადა 1953 წელს, ქედის რაიონის სოფელ ზენდიდში. 1970 წელს დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1971 წელს დაინიშნა ქედის რაიონულ არქივში - არქივარიუსის თანამდებობაზე (სხვა მონაცემები დაცული არ არის).

ბორკოვკინ ივანე სერგოს ძე - დაიბადა 1907 წელს, კალინინის ოლქის სოფელ ნოვოე პლიტნიკოვსკში. 1939 წელს დაამთავრა სამხედრო პოლიტიკური აკადემია. 1927-1976 წლებში მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებასა და საწარმოებში - რიგითად, პედაგოგად, საავიაციო კლუბის უფროსის მოადგილედ. 1976 წელს დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის რესტავრატორად, შემდეგ კი მკინძავად. ამ პოზიციაზე მუშაობდა 1981 ჰყავდა მეუღლე და შვილი. სამჯერ ,,წითელი ვარსკვლავი"-ს მედლით. დაჯილდოებული იყო აგრეთვე სხვა ჯილდოებით.

ბეჟანიშვილი ციური ზურაბის ასული - დაიბადა 1951 წელს, ქალაქ ბათუმში. 1968 წელს დაამთავრა ბათუმის №2 ქართული საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტში - ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1974 წელს მუშაობა დაიწყო აჭარის ასსრ ცენტრალ;ურ სახელმწიფო არქივში უმცროსი მეცნიერ მუშაკის, შემდეგ პირველი კატეგორიის არქივისტის პოზიციაზე. მოგვიანებით დაინიშნა უფროსი არქივისტის თანამდებობაზე. აჭარის ასსრ დაწესებულებებში იგი ხელმძღვანელობდა მეთოდურ მუშაობას, კონტროლს უწევდა საქმისწარმოებას და დოკუმენტების დაცვის მდგომარეობას. 1981 წელს ც. ბეჟანიშვილი მიავლინეს ქ. მოსკოვში კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე - ,,საარქივო დაწესებულებაში ორგანიზაციის და ეკონომიკის" მიმართულებით.

ციური ბეჟანიშვილი 2008-2010 წლებში კვლავ საარქივო სამმართველოშია - ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე. დაჯილდოებული იყო საქართველოს სსრ მთავარი არქივისტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარი საარქივო სამმართველოს საპატიო სიგელებით. ციური ბეჟანიშვილი სამსახურეობრივ მოვალეობას უთავსებდა სამეცნიერო მუშაობას. გათავისუფლდა 2010 წელს.

ბარამიძე გურამ ზექერიას ძე - დაიბადა 1937 წელს, ქედის რაიონის სოფელ წონიარისში. 1957 წელს დაამთავრა საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობის სამინისტროს აჭარის სუბტროპიკულ კულტურათა ტექნიკუმი და შეუდგა შრომით საქმიანობას. 1957 – 1995 წლებში გ. ბარამიძე მუშაობდა სხვადასხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ხოლო 1995 წლის აგვისტოდან ასრულებს ქედის რაიონის არქივის დირექტორის მოვალეობას. ამ პოზიციაზე მან იმუშავა 1996 წლის თებერვლამდე. ჰყავდა მეუღლე და ოთხი შვილი.

ბოლქვაძე დიმიტრი - საარქივო დარგის იმ თვალსაჩინო წარმომადგენლებს შორისაა, რომელმაც ორ ათეულ წელზე მეტხანს იმუშავეს საარქივო დაწესებულებაში. დ. ბოლქვაძე მთელი 25 წლის განმავლობაში 1961 წლიდან 1986 წლამდე ხელმძღვანელობდა ხულოს რაიარქივს. საარქივო საქმის დიდი გულშემატკივარი, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და სხვებისგანაც ამას მოითხოვდა. დიმიტრი ბოლქვაძე ხასიათდებოდა, როგორც პრინციპული და სამართლიანი ხელმძღვანელი.

1986 წელს დიმიტრი ბოლქვაძე ამ თანამდებობაზე თემურ ჯორბენაძემ შეცვალა, რომელიც 1990 წლამდე ედგა სათავეში ხულოს არქივს.

ბერიძე თემური - დაიბადა 1980 წელს, ხულოს რაიონის სოფელ ლაბაძეებში. 1997 წელს დაამთავრა სოფელ ღორჯომის საშუალო სკოლა. 2006 წელს კი ბათუმის სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი. 2001-2004 წლებში მუშაობდა ღორჯომის თემის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგად. 2004-2005 წლებში იყო ღორჯომის თემის სტეფანაშვილების სოფლის გამგებელი. 2005-2006 წლებში იგი ღორჯომის თემის საკრებულოს ძირითადი საქმიანობის ინსპექტორი, შემდეგ კი (2006-2008 წწ.) ღორჯომის თემის საკრებულოს რწმუნებულად. 2009 წ. თ. ბერიძე დაინიშნა ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ, 2010 წლის 30 აპრილს კი დაინიშნა აჭარის არ საარქივო სამმართველოს ტერიტორიული ორგანო - ხულოს არქივის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად, 1 სექტემბრიდან კი ხულოს არქივის უფროსად.

თემურ ბერიძე გამოირჩეოდა მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობითა და ორგანიზატორული ნიჭითა და კოლეგიალობით. ხულოს რაიონული არქივის ხელმძღვანელის პოზიციაზე იგი მუშაობდა 2021 წლის 15 მარტამდე.

ბერიძე ჯაბა ავთანდილის ძე - დაიბადა 1980 წელს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ განთიადში. 2003 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ეკონომიკის სპეციალობით. სხვადასხვა დროს (2005 2012 წწ.) მუშაობდა ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის საქალაქო სამსახურში - ადმინისტრაციული ინსპექციის სპეციალისტის, ბათუმის ადგილობრივი სამსახურის ადმინისტრაციული ინსპექციის გარე იერსახის ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტისა და წამყვანი სპეციალისტის, ბათუმის მერიის ტერიტორიული ორგანო - ხიმშიაშვილის (აღმაშენებლის უბნანი) მთავარ სპეციალისტის პოზიციებზე. 2012 წელს დეკემბერში ჯ. ბერიძე დაინიშნა აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილედ. ამ თანამდებობაზე იგი მუშაობდა 2016 წლამდე. საარქივონ სამმართველოში ჯ. ბერიძე კურირებდა საფინანსო-ეკონომიკურ და სამეურნეო საქმიანობას. ორგანიზებას უწევდა მომარაგების, განაწილების და ხარჯვის პროცესს. ჯაბა ბერიძე გამოირჩეოდა პირდაპირობით და საქმისადმი ერთგულებით. 2016 წლიდან იგი იკავებს სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა სტრუქტურებში.

ბასილაძე ნარგიზ ილიას ასული - დაიბადა 1955 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში. 1973 წელს დაამთავრა ბობოყვათის საშუალო სკოლა, 1986 წელს კი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ისტორიის სპეციალობით. 1973-1999 წლებში - სხვადასხვა დროს მუშაობდა ბობოყვათის, ქობულეთის N 1 და თბილისის N 60 საშუალო სკოლების პედაგოგად. 2001-2004 წლებში ქობულეთის N 7 სკოლის დირექტორია. 2004 წელს ნარგიზ ბასილაძე დაინიშნა აჭარის არ განათლების მინისტრის მოადგილედ, 2010 წლის 1 დეკემბრიდან კი აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სმმართველოს უფროსის მოადგილედ დაიწყო მუშაობა. ამ თანამდებობაზე იგი მუშაობდა 2016 წლის დეკემბრამდე.

ნარგიზ ბასილაძე იყო ენერგიული მუშაკი და კარგი ორგანიზატორი. ამჟამად იგი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას შპს ,,ნიკეში".

ბერიძე სანდრო ნიაზის ძე - დაიბადა 1957 წელს, ქედის რაიონის სოფელ ჯალაბაშვილებში. 1975 წელს დაამთავრა ხარაულას საშუალო სკოლა. 1975-1977 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1983 წელს დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი - ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1982-1991 წლებში, სხვადასხვა დროს მუშაობდა: ჯალაბაშვილების 8-წლიანი სკოლის პედაგოგად, ქედის რაიონული გაზეთის ,,კოლმეურნეს" რედაქციაში მშრომელთა წერილების განყოფილების გამგედ, გაზეთ ,,საბჭოთა აჭარა"-ს კორესპოდენტად. 1991 წელს დაინიშნა ქედის რაიონის პრეფექტის თანამდებობაზე, 1992 წელს კი აირჩიეს აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატად. ხელმძღვანელობდა განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის ქვეკომიტეტს. 1995 წლიდან ს. ბერიძე არის ჟურნალ ,,ჭოროხი"-ს მთავარი რდაქტორი.

2008 წლის მარტში სანდრო ბერიძე დაინიშნა აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სმმართველოს უფროსის მოადგილედ, სადაც მუშაობდა 2012 წლის 14 დეკემბერამდე. ამჟამად იგი აგრძელებს საქმიანობას ჟურნალ ,,ჭოროხის" რედაქტორის თანამდებობაზე, არის ზურაბ გორგილაძის სახელობის ლიტერატურული პრემიის ლაურეატი. გამოცემული აქვს 5 პოეტური კრებული და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები.

გუგუნავა სულეიმან მურადის ძე - დაიბადა 1908 წელს. 1928-30 წწ. მუშაობდა ოზურგეთის, შემდეგ კი მახინჯაურის აგროტექნიკოსად. 1932-1936 წლებში მუშაობდა ტუნგოს მეურნეობის დირექტორად, ბაზის გამგედ, აჭარკოოპკავშირის საქმეთამმართველად. 1937 წელს დაინიშნა სახელმწიფო ცენტრალური არქივის უფროს არქივარიუსად.

გურჩმელიძე ნიკოლოზ ერასტის ძე, 1937-1940 წლებში მუშაობდა ბათუმის (ეხლანდელი ხელვაჩაური) რაიონული არქივის გამგედ.

გეგელია ბაბილინა ივანეს ასული - დაიბადა 1906 წელს. საშუალო განათლებით. 1943-1952 წლებში მუშაობდა ქობულეთის რაიარქივის გამგედ.

გოგავა გენო გრიგოლის ძე - დაიბადა 1930 წელს, ქალაქ ქობულეთში. 1960 წელს დაამთავრა მოსკოვის საისტორიო-საარქივო ინსტიტუტი. 1954 წელს მუშაობა

დაიწყო შსს-ს აჭარის ასსრ საარქივო განყოფილების ინსპექტორის თანამდებობაზე. 1957 წელს დაინიშნა ქობულეთის რაიონის სახელმწიფო არქივის გამგედ. საცხოვრებლად თბილისში გადასვლასთან დაკავშირებით, 1968 წელს გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

გორდელაძე ლამზირა დიმიტრის ასული - დაიბადა 1942 წელს, მახარაძის (ეხლ. ოზურგეთის) რაიონის სოფელ ლიხაურში. 1959 წელს დაამთავრა ლიხაურის საშუალო სკოლა. 1976 წელს კი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს თბილისის საფინანსო-ეკონომიკური ტექნიკური სასწავლებელი ბუღალტერიის სპეციალობით. 1967-1975 წლებში მუშაობდა ჯანდაცვის განყოფილების ბუღალტრის, შემდეგ კი მთავარი ბუღალტრის პოზიციაზე. 1976 წელს დაინიშნა აჭარის ასსრ საარქივო სამმართველოს უფროს ბუღალტრად (სხვა დოკუმენტები საარქივო ფონდებში დაცული არ არის).

გორგილაძე გურამ ისლამის ძე - დაიბადა 1937 წელს, ქედის რაიონის სოფელ აქუცაში. 1966 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი - პედაგოგიკისა და დაწყებითი განათლების მეთოდიკის სპეციალობით. 1972 წელს გ. გორგილაძე დაინიშნა ქედის რაიონის საარქივო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე (სხვა დოკუმენტები დაცული არ არის).

გაბრუშიძე შოთა მუხამედის ძე - დაიბადა 1929 წელს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩიქუნეთში. სოფლის რვაწლიანი სკოლის დასრულების შემდეგ სწავლობდა აჭარისწყლის სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებელში (1951-1955 წწ.). 1966 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი - ისტორიის სპეციალობით. 1946-1966 წლებში მუშაობდა ჩაის ფაბრიკასა და სოფლის სკოლაში - მასწავლებლად. 1967 წელს დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში უმცროსი მეცნიერ მუშაკის, 1971 წელს კი უფროსი მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე. მოგვიანებით იგი არის საცნობარო განყოფილების გამგე, უფროსი არქივისტი. დაჯილდოებული იყო საპატიო სიგელებითა და **„საარქივო საქმის ფრიადოსანი“**-ს სამკერდე ნიშნით. ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

გოგეშვილი ეთერი ვალერიანის ასული - დაიბადა 1949 წელს, ქ. მახარაძეში (ეხლ. ოზურგეთი). 1966 წელს დაამთავრა რუსული საშუალო სკოლა. 1967-1969 წლებში მუშაობდა აჭარის სახელმწიფო ბანკში - მოანგარიშედ. 1969-1988 წლებში იგი იყო საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ეკონომისტი. 1985 წელს მუშაობა ე. გოგეშვილმა დაიწყო აჭარის ასსრ საარქივო სამმართველოში სამეურნეო ნაწილის გამგის, 1990 წლის იანვრიდან კი აჭარის სახელმწიფო არქივის პირველი კატეგორიის არქივისტის პოზიციაზე. მასვე დაეკისრა სააღრიცხვო საქმიანობა სახელმწიფო აქივებში. ე. გოგეშვილმა 1989 წელს გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები მოსკოვის საარქივო-ისტორიულ ინსტიტუტში - დოკუმენტების დაცვისა და შენახვის მიმართულებით. საარქივო სამმართველოში იგი მუშაობდა 1996 წლამდე.

გოგელია ვასილ იოსების ძე - დაიბადა 1915 წელს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათში. მას მიღებული ქონდა საშუალო ტექნიკური განათლება. 1938 წელს

ვასილ გოგელია დაინიშნა მთავარი არქივარიუსის თანამდებობაზე. 1938 წლის დეკემბრიდან იყო მთავარი ინსპექტორი, 1939 წლიდან კი დაინიშნა ბათუმის (ეხლ. ხელვაჩაური) რაიონული არქივის გამგედ.

დოლიძე თომა სერგოს ძე - დაიბადა 1909 წელს. 1929 წელს დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პედაგოგიკის სპეციალობით. 1927-1935 წლებში მუშაობდა ოზურგეთის, მარტყოფის, დიღომის სკოლებში პედაგოგად. 1935 წლის ოქტომბერში დაინიშნა აჭარისტანის სახელმწიფო არქივის მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე. თ. დოლიძეს სხვადასხვა დროს ეკავა არქივარიუსის, არქივის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის და უფროსი ინსპექტორის თანამდებობები. გათავისუფლებული იქნა 1937 წელს, საკუთარი განცხადების საფუძველზე.

დუმბაძე ოთარ ალის ძე - დაიბადა 1953 წელს, შუახევის რაიონის სოფელ ჩანჩხალოში. 1970 წელს დაამთავრა შუახევის საშუალო სკოლა. 1971 წლის მაისიდან დაინიშნა შუახევის რაიონული არქივის არქივარიუსად (სხვა ცნობები მის შესახებ დაცული არ არის).

დიასამიძე მიხეილ ახმედის ძე - დაიბადა 1957 წელს შუახევის რაიონის სოფელ ჩანჩხალოში. 1975 წელს დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი - ფილოლოგიის სპეციალობით. 1973-1974 წლებში მუშაობდა ,,აჭარსოფტექნიკის“ მძღოლად და №5 ტრესტის სახლმშენი კომბინატის ამწე-მემანქანედ. 1975 წლიდან მ. დიასამიძეს ვხედავთ აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდების მცველის, რესტავრატორის, უმცროსი მეცნიერ მუშაკის პოზიციებზე. გათავისუფლებულია სამსახურიდან 1979 წელს, პირადი განცხადების საფუძველზე.

დიასამიძე ილია იაკობის ძე - დაიბადა 1916 წელს, ქედის რაიონი სოფელ გულებში. დაამთავრა სოფლის საშუალო სკოლა. 1949 წელს ი. დიასამიძე დაინიშნა ქედის რაიონული არქივის გამგედ. მისი დაუღალავი შრომით და საქმისადმი ერთგულებით რაიონული არქივი მოკლე დროში შეივსო 7 000 საქმეთა ერთეულით. თავდაპირველად ქედის არქივს შენობა არ გააჩნდა. ილია დიასამიძის შეუპოვრობით და პრინციპულობით, არქივს რაიონის ცენტრში გამოუყეს შენობა. ქედის რაიონულ არქივს უნარიანად ხელმძღვანელობდა მთელი 38 წლის განმავლობაში. ი. დიასამიძე დაჯილდოებული იყო აჭარის ასსრ კულტურის მუშაკის საპატიო წოდებით. 1967 წელს იგი დაჯილდოვდა მედლით ,,მამაცური შრომისთვის“. ჰყავდა მეუღლე და ხუთი შვილი.

დუმბაძე ქაზიმ ხასანის ძე - დაიბადა 1929 წელს, შუახევის რაიონის სოფელ ჩანჩხალოში. 1943 წელს დაამთავრა სოფლის 8 - წლიანი სკოლა. 1951 წელს კი ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი. 1951-1954 წლებში იმყოფებოდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1950 წელს ქ. დუმბაძემ მუშაობა დაიწყო სოფელ ჩანჩხალოს ბიბლიოთეკის გამგედ. გარკვეულ პერიოდში მუშაობდა შუახევის რაისაბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორად. 1956 წელს იგი დაინიშნა შუახევის რაიონული არქივის გამგედ. 1962 წელს შუახევის და ხულოს რაიონების

გაერთიანებასთან დაკავშირებით ქაზიმ დუმბაძე დაინიშნა ხულოს არქივში არქივარიუსის პოზიციაზე. 1964 წელს შუახევის რაიონი კვლავ ცალკე ტერიტორიული ერთეულის სახით ჩამოყალიბდა, რის გამოც ქ. დიასამიძე ხელახლა ჩაუდგა სათავეში შუახევის რაიონულ არქივს. ამ თანამდებობაზე იგი მუშაობდა 1979 წლამდე.

ქაზიმ დუმბაძე მრავალი წლის განმავლობაში წარმატებიით ემსახურებოდა მშობლიურ რაიონს. მიღებული ჰქონდა ჯილდო და სიგელები. იგი იყო შუახევის რაიონული არქივის პირველი ხელმძღვანელი. ქაზიმ დუმბაძის მხრებზე გადავიდა შუახევის რაიარქივის ჩამოყალიბება და დაკომპლექტება. ჰყავდა მეუღლე და 5 შვილი.

დევაძე ნანული ვახტანგის ასული - დაიბადა 1951 წელს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ყოროლისთავში. 1968 წელს დაამთავრა ჩაისუბნის საშუალო სკოლა. 1975 წლიდან მუშაობას იწყებს აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის საცნობარო განყოფილებაში - ფონდების მცველად. პარალერულად ასრულებდა მბეჭდავის მოვალეობასაც. 1997 წელს დაინიშნა პირადი შემადგენლობის დოკუმენტების ცენტრალიზებული დაცვისა და გამოყენების განყოფილების უფროს ფონდების მცველად. გათავისუფლებული სამსახურიდან 1999 წელს, პირადი განცხადების საფუძველზე.

ნანული დევაძე კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. უხვი ნალექის დროს საარქივო დოკუმენტების დაცვა-გადარჩენის საქმეს მან უდიდესი ენერგია და შრომა დაახარჯა, რისთვისაც არაერთხელ გამოეცხადა მადლობა. მან წარმატებით გაართვა თავი საარქივო ცნობების მომზადების, საქმეების დაძებვნის, **ანბანური ბარათების** შედგენის სამუშაოებს. ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

დევაძე ინდირა ნურის ასული - დაიბადა 1956 წელს, ხულოს რაიონის სოფელ განახლებაში. 1974 წელს დაამთავრა ხულოს საშუალო სკოლა.1975 წელს მუშაობა დაიწყო ხულოს სატყეო მეურნეობაში, საქმისმწარმოებლად. 1977 წლიდან დაინიშნა ხულოს რაიონული სახელმწიფო არქივში არქივისტად და განთავისუფლდა 1998 წელს. ის ყოველთვის დროულად და სრულყოფილად ასრულებდა მოქალაქეებზე საარქივო ცნობების გაცემას.

დუმბაძე უშანგი მევლუდის ძე - დაიბადა 1931 წელს, ქედის რაიონის სოფელ ოქტომბერში. 1951 წელს დაამთავრა მახუნცეთის საშუალო სკოლა, 1962 წელს კი თბილისის საფინანსო ეკონომიკური ტექნიკუმი. 1951-1954 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1955-1989 წლებში მუშაობდა: ქედის რაიონის სამხედრო კომისარიატში საქმისმწარმოებლად, ქედის რაიფინგანის უბნის საგადასახადო ინსპექტორად, მაღაზიის გამგედ, სახანძრო საბჭოს თავმჯდომარედ, მეურნეობის კომბინატის გამგედ.

1980 წელს დაინიშნა ქედის რაიონული არქივის გამგედ, ხოლო 1990 წლიდან ქედის არქივის დირექტორად. უშანგი დუმბაძეს დიდი წვლილი მიუძღვის რაიონული წარსულის ამსახველი დოკუმენტების დაცვის საქმეში. მისი

მონდომებით და აქტიური მონაწილეობით ქედის რაიონულ არქივის შენობას მიუშენდა 100 კვ.მ ფართის ნაგებობა.

დავითაძე თემურ ჯემალის ძე - დაიბადა 1970 წელს დაბა შუახევში. 1987 წელს დაამთავრა შუახევის საშუალო სკოლა, 1989 წელს ბათუმის პროფესიული ტექნიკური სასწავლებელი, 1997 წელს კი ბათუმის სახელმწიფო უმაღლესი მრავალდარგობრივი კოლეჯი - სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 2006 წელს დაამთავრა ბათუმის სამართლის, ეკონომიკის, ფარმაციის და სტომატოლოგიის ინსტიტუტი. 1989-1991 წლებში მსახურობდა შეიარაღებულ ძალებში. 1987-1988 წლებში იგი შუახევის კოლმეურნეობაში კოლმეურნეა. 1997-1999 წლებში თ. დავითაძე ბათუმის შპს ,, საზოგადოებრივი დაცვის სამმართველოს" პოლიციელია., მოგვიანებით კი, 2004-2014 წლებში იგი შუახევის რაიონის გამგებლის თანაშემწის პოზიციაზეა. თ. დავითაძე იყო სოციალური დაზღვევის სააგენტოს უფროსის მოადგილე, გარემოს დაცვის სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე.

2011 წლის აპრილში თემურ დავითაძე დაინიშნა საარქივო სამმართველოს ტერიტორიული ორგანო - შუახევის არქივის უფროსად. ამ თანამდებობაზე მუშაობდა 2013 წლამდე. სამსახურიდან გათავისუფლდა პირადი განცხადების საფუძველზე.

დარჩიძე ზურაბ ზაბითის ძე - დაიბადა 1951 წელს, შუახევის რაიონის სოფელ ჩანჩხალოში. 1966 წელს დაამთავრა ჩანჩხალოს 8-წლიანი სკოლა და სწავლა განაგრძო ქედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში - ბუღალტრის სპეციალობით. ამავე დროს იგი სწავლობდა დონეცკის სახელმწიფო უნივერსიტეტში - ეკონომისტის სპეციალობაზე, რომელიც დაასრულა 1989 წელს. 1970-1972 წლებში მსახურობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში. 1972-1975 წლებში მუშაობდა დაბა შუახევის კოლმეურნეობის მოლარე-მოანგარიშედ, 1975-1977 წლებში - შუახევის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროში - მთავარ ბუღალტრად. 1977-1992 წლებში ზ. დარჩიძე აჭარის რესპუბლიკური ფსიქონერვოლოგიურ საავადმყოფოს მთავარი ბუღალტრია. 1992-1994 წელს მუშაობდა აჭარის არ ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო ჯგუფის უფროსად, 1994-2004 წლებში - აჭარის არ კონტროლის პალატის მთავარ კონტროლიორად, 2005-2006 წლებში კი შპს ,,გრიფონი"-ს , შპს ,,საქართველოს საზღვაო სანაოსნო"-ს , შპს ,,ანგელ-ჯორჯია შოპინგ კომპანუ"-ში მთავარი ბუღალტრის თანამდებობებზე.

2011 წლის აგვისტოში ზურაბ დარჩიძე დაინიშნა აჭარის არ საარქივო სამმართველოს უფროსის თანაშემწედ (შიდა აუდიტი). ამ თანამდებობაზე ზურაბ დარჩიძემ იმუშავა 2019 წლის სექტემბრამდე. გათავისუფებული იქნა სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ვერულაშვილი დავით თეიმურაზის ძე - დაიბადა ჩხარის რაიონის სოფელ სიქთარვაში 1913 წელს. 1939 წელს დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი. მუშაობდა ჩხარის რაიონის საშუალო სკოლის მასწავლებლად. 1929-1938 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1940 წელს ის დაინიშნა ქედის რაიონული არქივის გამგედ. ჰყავდა მეუღლე და ერთი შვილი.

ვერძაძე ციალა სკენდერის ასული - დაიბადა 1937 წელს, ქ. ქობულეთში. 1955 წელს დაამთავრა ქობულეთის საშუალო სკოლა. 1956 წელს დაინიშნა ქობულეთის სასამართლოში საქმისმწარმოებლად. 1956-1958 წლებში მუშაობდა ქობულეთის მეთევზეთა კოლმეურნეობა ,,გამარჯვებაში", 1958-1962 წლებში - ჩაის ფაბრიკაში, 1962-1969 წლებში კი ქობულეთის საქალაქო საბჭოში სამისმწარმოებლად. 1969 წელს იგი დაინიშნა ქობულეთის რაიონული არქივის არქივარიუსად. 1971 წლის აპრილში გათავისუფლდა დაკავებული პოზიციიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე. ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

ვაშაკიძე ჟენია ტრიფონის ასული - დაიბადა 1940 წელს, სამტრედიის რაიონის სოფელ ჯიხაიშში. 1962 წ. დაამთავრა ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და დაიწყო შრომითი საქმიანობა. 1971 წელს დაინიშნა ქობულეთის რაიონული არქივის არქივარიუსად. ჰყავდა მეუღლე და ერთი შვილი (მის შესახებ სხვა მონაცემები არ არის დაცული).

ვარშანიძე ნინო ანზორის ასული - დაიბადა 1963 წელს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურეხში. სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ (1979 წ.) სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში სამრეწველო მშენებლობის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1989 წელს. 1979-2000 წლებში მუშაობდა ხელვაჩაურის საშენ მასალათა კომბინატში ინჟინრის, ხოლო ბათუმის საშენ მასალათა კომბინატის ნორმირებადი საღებავების საამქროში - ტექნოლოგის პოზიციაზე. 2000 წელს დაინიშნა აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტების განყოფილების გამგედ, საიდანაც გათავისუფლდა 2004 წელს, პირადი განცხადების საფუძველზე. ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

ვანიძე ლიანა ალექსანდრეს ასული - დაიბადა ოზურგეთის რაიონის სოფელ დვაბზუში. მშობლიური სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ლ. ვანიძე ჩამოდის ქალაქ ბათუმში (1960 წ.) და საქალაქო საბჭოს აღმასკომის არქივის გამგის - ლენა ზაქარეიშვილის რეკომენდაციით მუშაობას იწყებს ბათუმის საქალაქო არქივში. აღნიშნული არქივის გაუქმების შემდეგ (1963 წ.) იგი სამუშაოდ გადაჰყავთ აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში არქივარიუსის, უფროსი ფონდის მცველის, შემდგომ კი არქივსაცავის გამგის თანამდებობაზე.

საარქივო დაწესებულებაში ლიანა ვანაძემ 43 წელი იმუშავა. იგი გამოირჩეოდა მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობითა და სამუშაოს შესრულების მაღალი სტანდარტებით. მას სრულყოფილად ჰქონდა გათავისებული არქივის როლი და მნიშვნელობა. ლ. ვანიძეს სწამდა, რომ ახალგაზრდა მკვევარების მეცნიერული ჩამოყალიბება შეუძლებელი იყო არქივის გარეშე. არქივი იქცა ლიანა ვანაძისათვის მეორე ოჯახად. საარქივო საქმისადმი სიყვარული ჩაუნერგა თავის ერთადერთ ქალიშვილს - ინგა ფაცურეშვილსაც, რომელმაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ასევე არქივში დაიწყო მუშაობა. ლიანა ვანიძე დაჯილდოებული იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. გარდაიცვალა 2010 წელს.

ზაქარეიშვილი ლენა გიორგის ასული - დაიბადა 1925 წელს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ საჭამიასერში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ (1942 წ.) ლენა ზაქარეიშვილმა სწავლა განაგრძო ქალაქ ბათუმის საბუღალტრო ტექნიკუმში. ლ. ზაქარეიშვილის შრომითი ბიოგრაფია ბათუმის ნავთობაზის ბუღალტრის თანამდებობით დაიწყო 1943 წელს. 1947 წლიდან იგი საარქივო დაწესებულებაშია ბათუმის საქალაქო არქივის გამგის (1947-1963 წწ.) პოზიციაზე. 1963 წელს ბათუმის საქალაქო არქივი დაექვემდებარა ლიკვიდაციას და გაერთიანდა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივთან. შესაბამისად, ლ. ზაქარეიშვილი გადაყვანილი იქნა ქალაქის არქივის ფონდების განყოფილების გამგედ. 1965-1979 წლებში იგი ხელმძღვანელობს ხელვაჩაურის რაიონულ არქივს, 1979-1983 წლებში კი აგრძელებს საქმიანობას აჭარის ასსრ ცენტრალურ არქივში - უფროსი არქივისტის პოზიციაზე.

ლენა ზაქარეიშვილმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა საარქივო საქმის განვითარებას. იგი დაჯილდოებული იყო საპატიო სიგელებით, მინიჭებული ქჰონდა **აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის** საპატიო წოდება.

გარდაიცვალა 1983 წ. ნოემბერში. ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

ზოიძე გულიკო ზურაბის ასული - დაიბადა 1960 წელს, შუახევის რაიონის სოფელ ახალდაბაში. ახალდაბის 8 - წლიანი და ჭვანის საშუალო სკოლების დასრულების შემდეგ გ. ზოიძე სწავლას აგრძელებს ბათუმის საანგარიშო-საბუღალტრო სკოლაში, რომელიც დაასრულა 1978 წელს. 1980 წლიდან იგი მუშაობას იწყებს შუახევის საკოლმეურნეობათაშორისი საამშენებლო ორგანიზაციაში ბუღალტრის პოზიციაზე. 1996 წელს გ. ზოიძე დაინიშნა შუახევის რაიონული არქივის ფონდების მცველად., საიდანაც გათავისუფლდა იმავე წელს - საკუთარი განცხადების საფუძველზე.

თოდაძე შოთა არჩილის ძე - დაიბადა 1928 წელს, ქალაქ ბათუმში. 1961 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო საისტორიო - საარქივო ინსტიტუტი - არქივმცოდნეობის სპეციალობით. 1939-1955 წლებში მუშაობდა სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებაში (მეურნეობა, ფეხსაცმელების ფაბრიკა, რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორი, გემის კაპიტნის თანაშემწე) და ა. შ. 1957 წლიდან იგი ჩაება საარქივო საქმიანობის ფერხულში - არქივის განყოფილების ინსპექტორის პოზიციაზე. 1959 წელს შ. თოდაძე გადაყვანილი იქნა ცენტრალურ სახელმწიფო არქივში უფროს მეცნიერ-მუშაკად. ამ პოზიციაზე მან იმუშავა 1962 წლამდე.

საარქივო საქმიანობის პარალელურად შ. თოდაძე ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობასაც. მას გამოქვეყნებული ჰქონდა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, სახელდობრ: ,,ბრძოლა აჭარაში საბჭოთა წყობილების გამარჯვებისთვის“, ,,არქივის გზამკვლევი“ და სხვა. ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

თოდაძე მარინა ნიკოლოზის ასული - დაიბადა 1953 წელს, ქალაქ ბათუმში. 1961 წელს დაამთავრა ბათუმის №1 საშუალო სკოლა, ხოლო 1972 წელს ბათუმის სავაჭრო ტექნიკუმი. 1985 წელს დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო

არქივში - სამეურნეო ჯგუფის 2-ე კატეგორიის არქივისტად. ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

თავდგირიძე მურად ალექსანდრეს ძე - დაიბადა 1969 წელს, შუახევის რაიონის სოფელ კვიახიძეებში. 1986 წელს დაამთავრა ოლადაურის საშუალო სკოლა. 1987-1989 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1995 წელს დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის მსუბუქი მრეწველობის, სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტი. 1999 წელს დაინიშნა ცენტრალური სახელმწიფო არქივის სამეცნიერო ტექნიკური დოკუმენტების განყოფილების გამგედ. ამ პოზიციაზე მ. თავდგირიძემ იმუშავა 2000 წლამდე და გათავისუფლდა სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

თავაძე მაყვალა (დოდო) მოსეს ასული - დაიბადა 1934 წელს, ქალაქ ოზურგეთში. 1953 წელს დაამთავრა ბათუმის №4 ქალთა გიმნაზია, შემდეგ კი წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო საისტორიო-საარქივო ინსტიტუტი (1967 წ.). 1956-1961 წლებში მუშაობდა ბათუმის ეპიდემოლოგიურ სადგურში, შემდეგ პლანეტარიუმში. 1961 წლიდან იგი თავის საქმიანობას უკავშირებს არქივს. იგი იყო უფროსი არქივარიუსი, უმცროსი მეცნიერ-მუშაკი, ბიბლიოთეკარი. მაყვალა თავაძე იყო საარქივო საქმის შესანიშნავი სპეციალისტი. არქივში მიღებული ცოდნა-გამოცდილება გახდა მისი სამეცნიერო წარმატებების საფუძველი ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

მაყვალა თავაძის მოვალეობაში შედიოდა საარქივო დოკუმენტების აღრიცხვა. ამ სამუშაოს იგი შესაშური ენთუზეაზმით და უნაკლოდ ასრულებდა. იგი მუდმივად იყო ძიებაში, ეძებდა ახალ-ახალ საარქივო დოკუმენტს, ავლენდა განსაკუთრებული ღირებულების მქონე მასალებს. ყოველივე ამან განსაზღვრა მისი სამეცნიერო წარმატება. სწორედ საარქივო მასალების საფუძველზე მომზადდა მ. თავაძის საკანდიდატო დისერტაცია - ,,აჭარის პროფესიული კავშირები სისტორიიდან (1905-1921 წწ.)“, რომელიც წარმატებით დაიცვა. მაყვალა თავაძე დაჯილდოებული იყო აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით ,,მამაცური შრომისთვის“.

გარდაიცვალა 1996 წელს.

თოდაძე ნიკოლოზ (კოლია) - დაიბადა 1925 წელს, ხონის რაიონის სოფელ შრომისუბანში. ჯერ კიდევ მე-10 კლასის მოსწავლე, 1942 წელს ჩაირიცხა ერევნის სამხედრო სასწავლებელში, საიდანაც გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. იგი იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. ომის დამთავრებიდან დიდი ხნის შემდეგ, 1956 წელს ნ. თოდაძე ჩაირიცხა მოსკოვის საარქივო ინსტიტუტში, მაგრამ ომში მიღებულმა ჭრილობებმა იჩინა თავი მკაცრი ზამთრის პირობებში და სწავლის გაგრძელება ვეღარ შეძლო. მოგვიანებით ნიკოლოზ თოდაძე ირიცხება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1973 წლიდან კ. თოდაძე აბაშის რაიონული არქივის თანამშრომელია. მოგვიანებით იგი გადმოიყვანეს ქობულეთის რაიონულ სახელმწიფო არქივში -

დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების ჯგუფში. მისი უშუალო საქმიანობის შედეგად ქობულეთის არქივში დამუშავდა და დაბინავდა მუდმივ შენახვას დაქვემდებარებული ასობით საარქივო დოკუმენტი.

ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

იმედაშვილი გუგული ნიკოლოზის ასული - დაიბადა 1946 წელს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ მაჩხვარეთში. 1966 წელს დაამთავრა ლანჩხუთის N 2 საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისში, პუშკინის სახელობის ინსტიტუტში. მძიმე ოჯახური და ფინანსური პრობლემების გამო იძულებული გახდა მესამე კურსიდან შეეწყვიტა სწავლა. 1971 წელს მუშაობა დაიწყო ხელვაჩაურის რაიონის სახელმწიფო არქივში - არქივარიუსის თანამდებობაზე. 1973 წ. იგი გადაიყვანეს ფონდების მცველის, შემდეგ მთავარი სპეციალისტის, 2007 წელს კი არქივის სპეციალისტის პოზიციაზე, მაგრამ იმავე წელს გათავისუფლდა სამსახურიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

გ. იმედაიშვილი იყო საარქივო საქმის შესანიშნაცი სპეციალისტი. იგი კეთილსინდისიერად ემსახურებოდა ისტორიული წარსულის ამსახველი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების დოკუმენტების დაცვა-გამოყენების საქმეს. გუგული იმედაშვილი დაჯილდოებული იყო აჭარის არ უზენაესი საბჭოს და საარქივო სამმართველოს საპატიო სიგელებით. მისი მუშაობის პერიოდში (1980-1985წწ.) ხელვაჩაურის რაიონულმა არქივმა ხუთჯერ დაისაკუთრა გარდამავალი დროშა.

ივანიაძე მზია ჰენრიხის ასული - დაიბადა 1960 წელს, ქალაქ სამტრედიაში. 1977 წელს დაამთავრა სამტრედიის N 1 საშუალო სკოლა. 1979 წელს დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, საქმეთა დამუშავების სამეურნეო ჯგუფში უფროსი მეცნიერ მუშაკის, შემდეგ კი არქივარიუსის პოზიციაზე. 1982 წელს მ. ივანიაძე დაინიშნა საცნობარო განყოფილების მე-2 კატეგორიის არქივისტად (სხვა ცნობები საარქივო ფონდებში დაცული არაა).

კარაბაშიან ვაგარშაკ არესტაკის ძე - დაიბადა 1914 წელს. 1935 წელს დაამთავრა ერევნის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1945 წელს მუშაობა დაიწყო ცენტრალურ სახელმწიფო არქივში მეცნიერ-მუშაკის პოზიციაზე. 1947 წელს იგი გადაიყვანეს აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინმისტროს საარქივო განყოფილების ინსპექტორად, სადაც იმუშავა 1956 წლამდე (გათავისუფლდა 1956 წელს, პირადი განცხადების საფუძველზე.

კალანდარიშვილი ლევან ნიკოლოზის ძე - დაიბადა 1927 წელს, ქალაქ ბათუმში. სწავლობდა ბათუმის საზღვაო სასწავლებლში, სადაც გაიარა ორი სასწავლო წლის პროგრამა, შემდეგ კი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში -ისტორიის სპეციალობით, რომლის სრული კურსი დაასრულა 1954 წელს. სწავლის პარალელურად ლ. კალანდარიშვილი ჩაება შრომით საქმიანობაში. მუშაობდა ბათუმის სარემონტო-მექანიკურ საამქროში (1947-1948წწ.), რესპუბლიკურ საავადმყოფოში მომმარაგებლის პოზიციაზე (1948-1949 წწ.), მახინჯაურის რუსული სკოლის დირექტორად (1955 წ.)

1955 წ. ლ. კალანდარიშვილი დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის უფროს მეცნიერ-მუშაკად. ამ პოზიციაზე იგი მუშაობდა 1961 წლამდე. იმავე წლის დეკემბერში ლ. კალანდარიშვილი გადაყვანილ იქნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო განყოფილების უფროსად, სადაც იმუშავა 1963 წლამდე.

ლევან კალანდარიშვილი ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას, კითხულობდა ლექციების კურსს გონიოს კოოპერაციულ ინსტიტუტში. გამოქვეყნებული აქვს არაერთი ნაშრომი. ჰყავდა მეუღლე და შვილი.

კობიძე ვახტანგ მავარის ძე - დაიბადა 1928 წელს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუა განახლებაში. 1944 წელს დაამთავრა განახლების საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო (1947 წ.) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე. 1952 წლიდან დაიწყო შრომითი საქმიანობა. მუშაობდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის დაბა ლენინგორის საშუალო სკოლაში - პედაგოგად (1952-1956 წწ.), ლენინგორის რაიონის სოფელ ახმაჯის საშუალო სკოლის დირექტორად (1956-1960 წწ.). 1960 წელს ვ. კობიძე სამუშაოდ გადავიდა გურიაში და დაინიშნა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზოტის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ (1960-1962 წწ.). 1962 წლის სექტემბერში იგი დაინიშნა გადაიყვანეს აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში უფროსი მეცნიერ-მუშაკის პოზიციაზე. ამ თანამდებობაზე ვ. კობიძე მუშაობდა სხვა სამუშაოზე გადასვლამდე, 1967 წლამდე.

კოლელიშვილი ფაინა ილიას ასული - დაიბადა 1925 წელს, ქალაქ ქუთაისში. 1944-1947 წლებში მუშაობდა ასსრ შსს საარქივო განყოფილების ინსპექტორად. 1958-1966 წლებში კი N 5 ტრესტში არქივარიუსად. 1966 წ. ფ. კოლელიშვილი გადაიყვანეს არქივის სამეურნეო ჯგუფში. მის ფუნქციას შეადგენდა დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება. ამ პოზიციაზე იგი მუშაობდა სხვა სამუშაოზე გადასვლამდე, 1972 წლამდე.

კაკალაძე მზია თენგიზის ასული - დაიბადა 1958 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ქობულეთში. 1975 წელს დაამთავრა სოფელ ქობულეთის საშუალო სკოლა. სხვადასხვა დროს მუშაობდა ალამბრის ციტრუსების მეურნეობის აგრონომად და ბათუმის N2 საბავშვო ბაღში. 1975 წელს მ. კაკალაძე დაინიშნა აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივის სამეურნეო ჯგუფში უმცროს მეცნირ მუშაკად. ამ პოზიციაზე იგი მუშაობდა სხვა სამუშაოზე გადასვლამდე, 1979 წლამდე.

კოპალეიშვილი ნაზიკო ნოეს ასული - დაიბადა 1932 წელს, ბათუმში. 1954 წელს დაამთავრა თბილისის N44 საშუალო სკოლა და ჩაირიცხა პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1961-1977 წლებში, სხვადასხვა დროს მუშაობდა სკოლაში პედაგოგად, ბათუმის სასადილოების ტრესტის ინ-სპექტორად, ბავშთა ბაღში აღმზრდელად. 1980 წელსნ. კოპალეიშვილი დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, სამეურნეო ჯგუფის მე-2 კატეგორიის არქივისტად. ამ პოზიციაზე იგი მუშაობდა 1985 წლამდე.

გათავისუფლდა 1985 წელს, პირადი განცხადების საფუძველზე. ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

კონცელიძე გულიკო მევლუდის ასული - დაიბადა 1958 წელს, ქედის რაიონის სოფელ კოლოტაურში. 1975 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და დაინიშნა ქედის რაიონულ არქივში, ფონდის მცველად (სხვა მონაცემები საარქივო ფონდებში დაცული არაა).

კოჩალიძე მაგული ზურაბის ასული - დაიბადა ხულოს რაიონის სოფელ რიყეთში 1961 წელს. 1979 წელს დაამთავრა რიყეთის საშუალო სკოლა, 1982 წელს კი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ბათუმის სამხატვრო სასწავლებელში. 1987-1989 წწ. იგი მუშაობდა პანსიონატ ,,ბათუმ"-ში მეთოდისტის პოზიციაზე. 1989 წ. მ. კოჩალიძე დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში სამეურნეო ნაწილის გამგის თანამდებობაზე, 1991 წლიდან კი არქივის დოკუმენტების ცენტრალიზებური დაცვისა და გამოყენების განყოფილების არქივისტად. 1993 წელს მ. კოჩალიძეს მიენიჭა მე-2 კატეგორიის არქივისტის წოდება. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

კუჭაშვილი ნანული შალვას ასული - დაიბადა 1950 წელს, ქალქ ფოთში. 1967 წელს დაამთავრა ქალაქ ფოთის N1 საშუალო სკოლა. 1968-1978 წლებში მუშაობდა მაღაზიისა და სექციის გამგეების პოზიციებზე, იყო ფოთის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, ფოთვაჭრობის ორგანიზაციის კომკავშირის მდივანი, პროფსაბჭოს პირველი და კომუნისტური პარტიის 42-ე კონფერენციების დელეგატი. დაჯილდოებული იყო დიპლომებითა და საპატიო სიგელით.

1978 წელს ნანა კუჭაშვილმა მუშაობა დაიწყო აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში არქივარიუსის თანამდებობაზე. 1989 წ. იგი გადაიყვანეს მეორე კატეგორიის არქივისტის, 1993 წლის აპრილიდან კი არქივსაცავის ფონდების მცველის პოზიციაზე. 2006 წელს ნ. კუჭაშვილი დაინიშნა დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის განყოფილების მთავარ სპეციალისტად. 2007-2008 წწ. იგი არქივის წამყვანი სპეციალისტია. 2008 წელს ნ. კუჭაშვილი გადაიყვანეს საარქივო სამმართველოს დოკუმენტების დაცვის, შემდეგ კი საარქივო ფონდების ფორმირების, დაცვისა და დოკუმენტების მართვის განყოფილების მთავარ სპეციალისტად. ამ პოზიციაზე იგი მუშაობდა რეორგანიზაციამდე (2010 წელი), რის შემდეგაც იგი გათავისუფლდა სამუშაოდან.

ნანული კუჭაშვილი იყო შრომისმოყვარე, ენერგიული და ინიციატივიანი არქივისტი, გამოირჩეოდა საქმის სიყვარულით და მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. დაჯილდოებული იყო აჭარის არ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. ჰყავდა მეუღლე და სამი შვილი.

კორძაძე რუსუდან სიმონის ასული - დაიბადა 1952 წელს, ვანის რაიონის სოფელ მუქედში. 1967 წელს დაამთავრა მუქედის 8-წლიანი სკოლა. 1970 წელს დაამთავრა თბილისის N 41 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი. 1981-1989 წლებში მუშაობდა ბათუმის N 36 ბაგა-ბაღში.

1991 წელს რუსუდან კორძაძე დაინიშნა აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივის საარქივო მასალების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების არქივისტად. მოგვიანებით იგი გადაიყვანეს სახელმწიფო არქივის პირადი შემადგენლობის დოკუმენტების ცენტრალიზებული დაცვისა და გამოყენების მე-3 კატეგორიის არქივისტის პოზიციაზე. 1995 წლიდან რ. კორძაძე ცენტრალურ არქივში ასრულებს მკინძავის მოვალეობას, 2003 წლიდან კი დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების რესპუბლიკური ლაბორატორიის რესტავრატორია. 2006 წელს რ. კორძაძე დაინიშნა წამყვან სპეციალისტის პოზიციაზე. გათავისუფლდა სამსახურიდან 2007 წელს. ყავს მეუღლე და ორი შვილი.

ნადეჟდა კოპლატაძე - დაიბადა 1946 წელს ქალაქ ბათუმში. 1964 წელს დაამთავრა ბათუმის N 18 საშუალო სკოლა. 1965-1993 წლებში მუშაობდა ბათუმის საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ქარხანაში ლაბორანტად. 1993 წელს ნადია კოპლატაძე დაინიშნა ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დამლაგებლად, 1997 წელს კი პირადი შემადგენლობის დოკუმენტების ცენტრალიზებული დაცვისა და გამოყენების განყოფილების არქივისტად. 2006 წლიდან იგი ამავე განყოფილების წამყვანი სპეციალისტია. ამ პოზიციაზე მან იმუშავა პენსიაზე გასვლამდე, 2007 წლამდე

ნადია კოპლატაძე იყო კეთილსინდისიერი, უპრეტენზიო და ამავე დროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, გამოირჩეოდა საქმის სიყვარულითა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით. ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

ლომთათიძე თამარა იპოლიტეს ასული - დაიბადა 1937 წელს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვენობანში. 1955 წელს დაამთავრა ხიდისთავის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში - ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დასრულების შემდეგ, 1962 წელს თ. ლომთათიძე დაინიშნა აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივში უფროსი არქივარიუსის, შემდეგ კი საარქივო განყოფილების ინსპექტორის პოზიციაზე. გათავისუფლდა სამსახურიდან ავადმყოფობის გამო, 1963 წელს, პირადი განცხადების საფუძველზე.

ლორია მზევინარ ევტიხის ასული - დაიბადა 1967 წელს, ქალაქ ბათუმში. 1984 წელს დაამთავრა სამტრედიის რაიონის სოფელ ნოღას საშუალო სკოლა, 1985 წელს კი ბათუმის საბუღალტრო-სავაჭრო სასწავლებელი. 1981 წელს დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში სამეურნეო ჯგუფის არქივარიუსის პოზიციაზე. გათავისუფლდა 1989 წელს.

ლეონიძე ფატმან თამაზის ასული - დაიბადა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ზედა ჯოჭოში. 1981 წელს დაამთავრა ერგეს საშუალო სკოლა, 1986 წელს კი ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი - ზოგადტექნიკური დისციპლინების სპეციალობით. 1986 წელს მუშაობა დაიწყო უჩხითის საშუალო სკოლაში პედაგოგად. 1991-1992 წლებში მუშაობდა აჭარის ასსრ სახალხო განათლების სამინისტროს ავტოსატრანსპორტო გაერთიანებაში. 1996 წლიდან ფ. ლეონიძე აჭარის არ სახელმწიფო არქივში მე-2 კატეგორიის არქივისტის პოზიციაზეა, 1997 წელს კი

განყოფილების პირველი კატეგორიის არქივისტი გახდა. სამსახურიდან გათავისუფლდა 1999 წელს, პირადი განცხადების საფუძველზე (სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით). ფატმან ლეონიძე კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ სამსახურეობრივ დავალებებს. გამოირჩეოდა საქმისადმი ფაქიზი დამოკიდებულებებით და პასუხისმგებლობის გრძნობით.

მანთიძე ცუცა პარმენის ასული - დაიბადა 1937 წელს, ქალაქ ბათუმში. 1961 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. შრომითი საქმიანობა დაიწყო სამედიცინო დაწესებულებებში 1955 წელს. 1961 წელს ც. მანთიძე გადმოიყვანეს აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, უმცროს მეცნიერ მუშაკად. გათავისუფლდა სამუშაოდან 1962 წელს, პირადი განცხადების საფუძველზე.

მექვაბიშვილი ელისეი ონოფრის ასული - 1938 - 1941 წლებში მუშაობდა ქობულეთის რაიონული არქივის გამგედ (სხვა მონაცემები დაცული არ არის).

მაკაროვა ეკატერინე ვასილის ასული - დაიბადა 1937 წელს, კრასნოდარის მხარეში, მანსკის რაიონის სოფელ ლებიაჟეში. 1956 წელს მუშაობდა ქალაქ ფოთის, 1958-1959 წლებში კი ბათუმის საზღვაო პორტში. 1960 წელს იგი გადაიყვანეს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თევზჭერის სამმართველოში - საქმისმწარმოებლის, ერთი წლის შემდეგ კი (1961 წ.) ბათუმის საგეგმო კომისიაში ეკონომისტის პოზიციაზე. აღნიშნულ პოზიციაზე ე. მაკაროვას დიდხანს არ უმუშავია. 1962 წ. იგი დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში - უმცროს მეცნიერ მუშაკად. სამუშაოდან გათავისუფლდა 1963 წ. აპროლში. ჰყავდა მეუღლე და 2 შვილი.

მიქანაძე ნანული მიხეილის ასული - დაიბადა 1958 წელს, ქალაქ ბათუმში. 1975 წელს დაამთავრა ბათუმის N1 ქართულ საშუალო სკოლა. 1975-1976 წლებში მუშაობდა ქალაქის N6 სახლმმართველობაში, მემანქანედ. 1977 წ. დაინიშნა აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივის საცნობარო განყოფილების არქივარიუსად. ამ პოზიციაზე მან იმუშავა 2 წ. (1979 წლამდე. სხვა მონაცემები მის შესახებ დაცული არაა).

მოსიძე - საზგულოვა გალინა ივანეს ასული - დაიბადა 1924 წელს, ლიპეცკის ოლქის ქალაქ უსმანში. 1943 წელს დაამთავრა ქალაქ უსმანის N1 საშუალო სკოლა, 1947 წელს კი ვორონეჟის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და თავისი ბედი დაუკავშირა ქართველ ახალგაზრდას, ბათუმელ გრიგოლ მოსიძეს. 1947 წ. იგი დაინიშნა აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივში ჯერ უფროს მეცნიერ მუშაკის, შემდეგ კი ფონდების განყოფილების გამგის პოზიციაზე. ამ თანამდებობაზე გ. მოსიძემ იმუშავა 1955 წლამდე, რომლის შემდეგ, გარკვეული მიზეზების გამო, მთელი 6 წლის განმავლობაში (1955-1961წწ.) მოუხდა სამუშაოს მიტოვება. 1962 წლიდან გ. მოსიძე-საზგულოვა კვლავ არქივშია. იგი ინიშნება სახელმწიფო არქივში ბიბლიოთეკარ-ფონდებისმცველად. გ. მოსიძემ საარქივო საქმიანობას შეალია თავისი შეგნებული ცხოვრების თითქმის 4 ათეული წელი. (1987 წლამდე). იგი იყო მაღალი კვალიფიკაციის არქივისტი, უაღრესად კეთილშობილი და კეთილსინდისიერი თანამშრომელი. მის მიერ შედგენილ და შეკრებილ ინფორმაციებს, ისტორიულ

ცნობებსა და ინსტრუქციებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და არქივისტებს უწევს დახმარებას საარქივო საქმისა და სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოების სრულყოფის საქმეში.

საარქივო საქმის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის გ. მოსიძე-საზგულოვა დაჯილდოებული იყო აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, ლენინის საიუბილეო მედლით, ,,სოცშეჯიბრში გამარჯვებული“-ს სამკერდე ნიშნით. 1975 წელს გალინა მოსიძეს მიენიჭა **აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება.** ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

მიქელაძე მანანა თემურის ასული - დაიბადა 1959 წელს, ქალაქ ბათუმში. 1979 წელს დაამთავრა ბათუმის N 9 საშუალო სკოლა, 1982 წელს კი სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. 1982-1985 წლებში მუშაობდა ბათუმის N10 საშუალო სკოლის პედაგოგად. 1988 წელს მ. მიქელაძე დაინიშნა აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივში, მე-2 კატეგორიის არქივისტად. 1991 -1996 წწ. იგი გაერთიანება ,,მემატიანე“-ს, შემდეგ კი აჭარის არ სააარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტია. მალე მ. მიქელაძე დააწინაურეს და სათავეში ჩაუდგა დეპარტამენტის ორგანიზაციულ-მეთოდური მუშაობის განყოფილების უფროსად (1996-1997 წწ.). მანანა მიქელაძე იყო მაღალკვალიფიციური არქივისტი, პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ახორციელებდა ზემდგომი ორგანოებიდან მიღებულ ინსტრუქციებს და სახელმძღვანელო დოკუმენტებს, მეთოდურ დახმარებას უწევდა საარქივო სისტემის თანამშრომლებს.

მანანა მიქელაძე 1997 წელს გათავისუფლდა სამუშაოდან პირადი გნცხადების საფუძველზე. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მკერვალიშვილი ვლადიმერ პლატონის ძე - დაიბადა 1925 წელს, ქალაქ ბათუმში. 1941 წელს დაამთავრა ბათუმის N18 არასრული საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ბათუმის საზღვაო ტექნიკუმში. მოგვიანებით იგი ჩაირიცხა მოსკოვის საარქივო-ისტორიულ ინსტიტუტში - არქივმცოდნეობის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1967 წელს.

ვ. მკერვალიშვილი შრომით საქმიანობაში ჩაება 1947 წლიდან. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა: გაზეთ ,,საბჭოთა აჭარის“ კორესპოდენტად და გაზეთ ,,კოლექტიური შრომის“ ლიტმუშაკად (1947-1948 წწ.), თამბაქოს ფაბრიკის, სამრეწველო კომბინატის კადრების ინსპექტორად (1949-1957 წწ.), საოკერსტრო მუსიკის ბიუროს, ქალაქის სამრეწველო კომბინატის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, პროფკავშირების კულტურის სახლში არქივარიუსად და საქმეთა მმართველად, იყო საამკინძაო საამქროს გამგე, ,,საქალაქმშენ პროექტი“-ს აჭარის დოსაფის პროექტების მკინძავი (1954-1979 წწ.). 1974 წელს ვ. მკერვალიშვილი დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში უფროსი მეცნიერ-მუშაკის, შემდეგ კი საარქივო სამმართველოს ლაბორატორიის გამგის, სამმართველოს უფროს ინსპექტორის თანამდებობებზე. 1979 წელს ვ. მკერვალიშვილი სათავეში ჩაუდგა ხელვაჩაურის რაიონის რაიონულ არქივს. გარკვეულ პერიოდში იგი ამ არქივში ასრულებდა დირექტორის მოადგილის მოვალეობასაც.

ვლადიმერ მკერვალიშვილი აქტიურად რეგიონის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, არჩეული იყო ხელვაჩაურის სადაბო საბჭოს დეპუტატად, საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად, პრეზიდიუმის წევრად (1999 წ.). ვ. მკერვალიშვილი იყო მაღალკვალიფიციური არქივისტი, კარგი ორგანიზატორი. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ხელვაჩაურის რაიონულმა არქივმა ექვსჯერ მოიპოვა გარდამავალი წითელი დროშა.

საარქივო დარგის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის ვ. მკერვალიშვილი დაჯილდოებული იყო ,,ღირსების ორდენით“, სამკერდე ნიშნით, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

იყო დაოჯახებული. ყავდა მეუღლე და სამი შვილი.

მამუჭაძე ჯამილა მექსუდის ასული - დაიბადა 1960, წელს ქალაქ ბათუმში. 1977 წელს დაამთავრა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის N4 საშუალო სკოლა, 1985 წელს კი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობა. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1977 წელს. 1977-1992 წწ. სხვადასხვა დროს მუშაობდა: საკონდიტრო ფაბრიკაში - მუშად, წიგნის მაღაზიაში - გამყიდველად, საზოგადოება ,,ინტურისტი“-ს სამმართველოში, აჭარის ,,დინამოს“ საბჭოში, წიგნის მოყვარულთა საზოგადოებაში - პასუხისმგებელ მდივნად, ბავშვთა ფონდში - განყოფილების თავმჯდომარის მოადგილედ.

ჯ. მაჭუტაძე 1992 წლის ნოემბრიდან დაინიშნა აჭარის არ სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება ,,მემატიანე“-ს უფროს, შემდეგ კი წამყვან სპეციალისტად. 1996 წ. საარქივო დაწესებულებას შეეცვალა სახელი და ეწოდა ,,აჭარის არ საარქივო დეპარტამენტი“. ჯ. მაჭუტაძე ამ ორგანიზაციაში სათავეში ჩაუყენეს საორგანიზაციო-მეთოდური მუშაობის განყოფილებას. იგი იყო აგრეთვე საარქივო დეპარტამენტის კოლეგიის მდივანი.

ჯ. მაჭუტაძე აქტიურად მონაწილეობდა რეგიონისა და ქალაქის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაში, არჩეული იყობათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, აჭარის არ საკავშირო სააქციონერო საზოგადოება ,,ინტურატის“ სამმართველოში წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარედ.

ჯამილა მამუჭაძე იყო უნარიანი ხელმძღვანელი და დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

სამსახურიდან გათავისუფლდა 1996 წელს, სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მიქელთაძე ნათია არჩილის ასული - დაიბადა 1973, წელს ქალაქ ბათუმში. 1989 წელს დაამთავრა ბათუმის N1 საშუალო სკოლა, 1994 წელს - ბათუმის სახელმწიფო უნივერსისტეტი, ისტორია-ფილოლოგიის სპეციალობით, შემდეგ კი ჩაირიცხა შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1997 წელს.

1994-1996 წლებში მუშაობდა, გონიოს კოოპერაციულ ინსტიტუტში ქართული ლიტერატურის მასწავლებლად. 1996 წლის მაისიდან მუშაობა დაიწყო აჭარის რადიო- კომიტეტის რედაქციაში დირექტორის პოზიციაზე. 1997-1998 წლებში ნ. მიქელთაძე კითხულობდა ლექციებს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1998 წელს იგი დაინიშნა ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, დოკუმენტების გამოყენების და პუბლიკაციის განყოფილების მთავარ სპეციალისტად. 1999 წელს ნ. მიქელთაძე გადაიყვანეს პოლიტიური პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისს დოკუმენტების განყოფილების პირველი კატეგორიის არქივისტად. სამუშაოდან გათავისუფლდა 2004 წელს, პირადი განცხადების საფუძველზე.

მელაძე არჩილ გიორგის ძე - დაიბადა 1963 წელს, ხულოს რაიონის სოფელ ოქტომბერში (ეხლ. ვაშლოვანი). 1980 წელს დაამთავრა სოფლის საშუალო სკოლა, 1981 წელს კი ბათუმის საბუღალტრო-საანგარიშო სკოლა ბუღალტრის კვალიფიკაციით. 1981-1984 წლებში მუშაობდა ხულოში, საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სამმართველოს მოანგარიშედ და კონტროლიორად. 1984 წელს ა. მელაძე დაინიშნა ხულოს რაიონული სახელმწიფო არქივის სამეურნეო ანგარიშსწორების ჯგუფის უფროს-მეცნიერ მუშაკად. 2001 წელს იგი გადაიყვანეს ხულოს რაიონული არქივის არქივისტის, შემდეგ კი წამყვაინ სპეციალისტის პოზიციაზე. მას ევალებოდა მოქალაქეების მიღება, პასუხების გაცემა, ცნობების შედგენა-მომზადება. 2010 წელს, რეორგანიზაციასთან დაკავშირებით არჩილ მელაძე განთავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან.

ა. მელაძე გამოირჩეოდა სამუშაოს შესრულების ხარისხის მაღალი სტანდარტებით, საქმის ცოდნითა და პროფესიონალიზმით. 2022 წლიდან იგი კვლავ ხულოს რაიონულ არქივშის ხელშეკრულების საწყისებზე. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

მესხიძე მერაბ რეზოს ძე - დაიბადა 1964 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვაში. დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლის 8-წლიანი კურსი და სწავლა გააგრძელა მახარაძის (ახლანდელი ოზურგეთი) პროფტექნიკურ სასწავლებელში. 1982 წელს დაამთავრა ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი, 1999 წელს კი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-ეკოლოგიის სპეციალობის დაუსწრებელი განყოფილება.

შრომითი საქმიანობა მ. მესხიძემ დაიწყო 1985 წლიდან. მუშაობდა ქობულეთის N3 ჩაის ფაბრიკაში - ტექნიკოსად (1985-1986 წწ.), წყავროკისა და ლეღვის საშუალო სკოლების მასწავლებლად. ხოლო (1986-2000 წწ.). 2005 წელს მ. მესხიძე დაინიშნა აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივის პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების განყოფილების გამგედ, შემდეგ კი (2006 წლიდან) მოქალაქეთა განცხადებებზე მუშაობის განყოფილების უფროსად. განყოფილების გაუქმებასთან დაკავშირებით (2008 წელი) იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მაკარაძე მზია ბეჟანის ასული - დაიბადა 1970 წელს, შუახევის რაიონის სოფელ ოლადაურში. 1987 წელს დაამთავრა ოლადაურის საშუალო სკოლა, 2009 წელს კი ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (დაუსწრებლად განყოფილება). 2000 წელს მზია მაკარაძე დაინიშნა ცენტრალურ სახელმწიფო არქივში - დაგეგმარებისა და საორგანიზაციო მეთოდური მუშაობის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის პოზიციაზე. 2002 წელს იგი გადაიყვანეს ცენტრალური სახელმწიფო არქივის - დოკუმენტების დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების რესპუბლიკურ ლაბორატორიაში, კინო-ვიდეო-ფოტო-ფონო დოკუმენტების საცავის დამლაგებლად. 2005 წელს მზია მაკარაძე დაინიშნა ცენტრალური სახელმწიფო არქივის კინო-ვიდეო-ფოტო-ფონო დოკუმენტების განყოფილების რესტავრატორად, შემდეგ კი (2006 წელს) ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების წამყვან სპეციალისტად. იმავე წლის ნოემბერში მ. მაკარაძე დაინიშნა დოკუმეტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების წამყვანი, მოგვიანებით კი მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე. 2008 წლიდან მ. მაკარაძე საქმისწარმოების სამსახურისა და დაკომპლექტებისა და დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების მთავარ სპეციალისტის პოზიციებზე აგრძელებს მუშაობას.

მზია მაკარაძე სამსახურიდან გათავისუფლდა 2010 წელს. ჰყავს ორი შვილი.

მაისურაძე მევლუდ დავითის ძე - დაიბადა 1968 წელს, შუახევის რაიონის სოფელ გოგაძეებში. 1985 წელს დაამთავრა გოგაძეების საშუალო სკოლა, 1986 წელს კი ბათუმის 76-ე პროფტექნიკური სასწავლებელი და სწავლა განაგრძო ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის - ინჟინერ-მექანიკოსის სპაციალობაზე. 1986-1988 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1991-1992 წლებში მუშაობდა ქობულეთის N1 პოლიკნინიკაში.

მევლუდ მაისურაძე საარქივო დაწესებულებაშია 1999 წლიდან. იგი დაინიშნა ცენტრალური სახელმწიფო არქივის დოკუმენტების გამოყენებისა და პუბლიკაციის განყოფილებაში - ტელეოპერატორად, 2005 წელს კი გადაიყვანეს კინო-ვიდეო-ფოტო-ფონო დოკუმენტების განყოფილების კინო-ვიდე-ოპერატორად.

2006-2010 წწ. მ. მაისურაძე მუშაობდა მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურისა და დაკომპლექტებისა და დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების მთავარი სპეციალისტის პოზიციებზე.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მაისურაძე დავით ვლადიმერის ძე - დაიბადა 1939 წელს, შუახევის რაიონის სოფელ გოგაძეებში. სოფლის 8 - წლიანი სკოლა დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა უჩამბის საშუალო სკოლაში. 1959-1962 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. დ. მაისურაძემ 1969 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო 1962-1997 წლებში მუშაობდა გოგაძეების კოლმეურნეობაში აღმრიცხველის პოზიციაზე. ამ თანამდებობაზე იგი მუშაობდა 1969 წლამდე, შემდეგ კი სოფლის მეცხოველეობის შფერმის ჩაუყენეს სათავეში. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა ტბეთის საშუალო სკოლის მასწავლებლად, შუახევის რაიონული გაზეთის - ,,დროშის“ და ქობულეთის

რაიონული გაზეთის -,,ქობულეთის“ ფოტოკორესპოდენტად. იყო საქართველოს და სსრ კავშირის ჟურნალისტთა ფედერაციის და ჟურნალისტთა კავშირის წევრი. დაჯილდოებული იყო მედლებით და ქების სიგელებით.

1997 წელს დავით მაისურაძე დაინიშნა ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, პირველი კატეგორიის ფოტოგრაფის პოზიციაზე, ხოლო 2005 წლიდან იგი კინო-ვიდეო-ფოტო-ფონო დოკუმენტების განყოფილების ფოტოგრაფია.

დავით მაისურაძე გათავისუფლდა სამსახურიდან 2006 წელს, პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მესხიძე ანზორ ილიას ძე - დაიბადა 1963 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირში. 1980 წელს დაამთავრა ციხისძირის საშუალო სკოლა, 1982 წელს კი შუამთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი წარჩინების დიპლომით და სწავლა განაგრძო ლვოვის პოლიგრაფიულ ინსტიტუტში, რომელიც დაასრულა 1991 წელს. 1984-1986 წლებში იმყოფებოდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში. ა. მესხიემ შრომითი საქმიანობა დაიწყო 1987 წელს - ქობულეთის სატყეო მეურნეობაში ჯერ მუშად, შემდეგ კი აჭარის პოლიგრაფიულ საწარმოო გაერთიანებაში - ხელთმწყობად (1987-1989 წწ.). 1989-1993 წლებში ანზორ მესხიძე ქობულეთის სტამბის დირექტორის პოზიციაზეა. 1993 წლიდან იგი მუშაობას აგრძელებს ბათუმის მეორე სტამბაში, სადაც მუშაობდა 1998 წლამდე.

1998 წელს ა. მესხიძემ თავისი საქმიანობა დაუკავშირა სახელმწიფო არქივს. იგი დაინიშნა ცენტრალური სახელმწიფო არქივის პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების საარქივო დოკუმენტების განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებლად, 1999 წ. იანვრიდან კი - საარქივო დეპარტამენტის დოკუმენტების რესტავრაციის და მიკროფილმირების ლაბორატორიის დირექტორად.

ანზორ მესხიძე იყო მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, თავისი საქმის პროფესიონალი, პასუხისმგებლიანი თანამშრომელი და გულისხმიერი ადამიანი.

დაკავებული თანამდებობიდან ანზორ მესხიძე გათავისუფლდა 2010 წ. აპრილში.

ნეფედოვა ტატიანა (არმიანოვსკაია) იოსების ასული - დაიბადა 1910 წელს, ქალაქ როსტოვში. 1947 წელს დაამთავრა მოსკოვის საარქივო-ისტორიული ინსტიტუტი - ისტორიკოსის სპეციალობით. მან მიიღო აგრეთვე პედაგოგიური განათლება როსტოვის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1947 წელს ტ. ნეფედოვა დაინიშნა აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო განყოფილების უფროსად. ამ თანამდებობაზე მან საცხოვრებლად მოსკოვში გადასვლამდე.

ტ. ნეფედოვა იყო გამოჩენილი არქივისტი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ღირსეული ხელმძღვანელი. მან დიდი როლი შეასრულა საარქივო დარგის შემდგომ განვითარებაში, სამეცნიერო-საცნობარო აპარატის ფორმირებაში. ნეფედოვა გარდაიცვალა 1958 წელს.

ნოღაიდელი ნაზი ქემალის ასული - დაიბადა 1928 წელს, ქალაქ ქობულეთში. 1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1951 წლიდან

მუშაობა დაიწყო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში - მეცნიერ მუშაკად, შემდგომ კი სახელმწიფო მუზეუმში. მუშაობდა იგი იყო აგრეთვე აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობის რედაქტორი (1958-1963 წწ.).

ნ. ნოღაიდელმა თავისი საქმიანობა 1963 წლიდან სახელმწიფო არქივს დაუკავშირა. 1963 წლიდან 1989 წლამდე - პენსიაზე გასვლამდე - იგი ხელმძღვანელობდა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს.

ნაზი ნოღაიდელი იყო უაღრესად შრომისმოყვარე, პროფესიონალი, შესანიშნავი ორგანიზატორი, მაღალზნეობრივი ადამიანი. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში გამოიცა ,,მეგზურის" განახლებული ვარიანტი, დაიბეჭდა მონოგრაფიები, კრებულები, საარქივო დოკუმენტური პირველწყაროები. ნ. ნოღაიდელი იყო აგრეთვე არაერთი სამეცნიერო ნაშრომისა და საგაზეთო სტატიის ავტორი მრავალი წიგნის რედაქტორი.

საარქივო დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ნ. ნოღაიდელი დაჯილდოებული იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს და აჭარის ასსრ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით და ლენინის საიუბილეო მედლით (1970 წელს). 1971 წელს ნ. ნოღაიდელს მიენიჭა საქართველოს სსრ **კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება.**

ნაზი ნოღაიდელი გარდაიცვალა 1999 წ. აგვისტოში. ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

ნოღაიდელი ნელი ენვერის ასული - დაიბადა 1961 წელს, ქალაქ ქობულეთში. საშუალო სკოლისა და ქობულეთის N 90 ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1981-1984 წლებში მუშაობდა ქობულეთის სანატორიუმ ,,საქართველოში" სანიტრად. 1984 წლიდან ნელი ნოღაიდელი ქობულეთის სახელმწიფო არქივის არქივარიუსია. მოგვიანებით იგი გადაიყვანეს მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე

ნ. ნოღაიდელი იყო კვალიფიციური სპეციალისტი, შესანიშნავად აითვისა საარქივო ცნობების მოძიებისა დოკუმენტებზე მუშაობის მეთოდოლოგია. სამუშაოდან გათავისუფლდა 2007 წელს.

ნაკაშიძე ემილიანე ხასანის ძე - დაიბადა 1942 წელს, ქედის რაიონის სოფელ გობრონეთში. გობრონეთის სკოლაში მიიღო პირველდაწყებითი განათლება, შემდეგ კი დაამთავრა 8-წლიანი სწავლების სრული კურსი. 1960-1963 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ მუშაობა დაიწყო გობრონეთისა და ქედის კოლმეურნეობებში რიგითი კოლმეურნის, ფერმის გამგისა და ბრიგადირის პოზიციებზე (1964-1988 წწ.). მუშაობის პარალელურად დაასრულა 1979 წელს დაამთავრა ბათუმის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლა. 1990 წელს ე. ნაკაშიძე დაინიშნა ქედის რაიონული სახელმწიფო არქივის სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების არქივისტად. ამ პოზიციაზე მან იმუშავა 17 წელი (2007 წლამდე, გათავისუფლებამდე). მან დიდი როლი შეასრულა საარქივო დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების საქმეში.

ჰყავს მეუღლე და 4 შვილი.

ნადარეიშვილი ნატალია ოთარის ასული - დაიბადა 1955 წელს, ქალქ ბათუმში. 1972 წელს დაამთავრა ბათუმის N1 საშუალო, 1979 წელს კი ბათუმის საბუღალტრო სკოლა. 1984 წელს იგი დაინიშნა ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, სპეციალური სამსახურის ჯგუფის უფროს ბუღალტრად. 1995 წელს ნ. ნადარეიშვილი გადაყვანილი იქნა სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება ,,მემატიანე"-ს, ხოლო შემდეგ საარქივო დეპარტამენტის წამყვან სპეციალისტად. 1996 წელს იგი დაინიშნა საარქივო დეპარტამენტის მთავარ ბუღალტრის, 1998 წელს კი დეპარტამენტის საფინანსო განყოფილების უფროსის პოზიციაზე. 2006-2010 წლებში ნ. ნადარეიშვილი იყო საარქივო სამმართველოს მთავარი ბუღალტრი. ამ პოზიციაზე მუშაობის პირობებში ნ. ნადარეიშვილი წარმოჩნდა, როგორც პრინციპული, ობიექტური და სამართლიანი თანამშრომელი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში

სამსახურიდან გათავისუფლდა 2010 წელს.

ოთიაშვილი ლილი დურსუნის ასული - დაიბადა 1934 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვაში. დაწყებითი განათლება მიიღო ჩეხედანის, საშუალო კი ლეღვას საშუალო სკოლაში და ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის - მათემატიკის სპეციალობაზე. ინსტიტუტის დასრულების შემდეგ (1956 წ.) მუშაობდა ლეღვას (ქობულეთის რაიონი) და კირნათის (ხელვაჩაურის რაიონი) საშუალო სკოლებში - პედაგოგად.

1962 წელს ლილი ოთიაშვილი დაინიშნა მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო განყოფილების ინსპექტორად, 1990 წელს კი საარქივო სამმართველოს დაგეგმარებისა და ორგანიზაციულ-მეთოდური მუშაობის განყოფილების უფროსად. მოგვიანებით იგი დაინიშნა აჭარის საარქივო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ. ამ პოზიციაზე იგი მუშაობდა 1997 წლამდე, შემდეგ კი მუშაობა გააგრძელა საარქივო სამმართველოს უწყებათა დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სამსახურის არქივისტად.

ლილი ოთიაშვილი იყო პროფესიონალი არქივისტი, თამდაბალი, პატიოსანი და შრომისმოყვარე ადამიანი, შესანიშნავი მოქალქე და საუცხოო ხელმძღვანელი. მის საქმიანობაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა რაიონული არქივების მუშაობა. ლ. ოთიაშვილმა გარკვეული წვილი შეიტანა რაიონული არქივების მუშაობის სტილის და მეთოდების დახვეწასა და შემდგომ განვითარებაში. იგი დაჯილდოებული იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმისა და აჭარის არ მთავრობის საპატიო სიგელებით, მინიჭებული ქონდა ,,შრომის დამკვრელი"-სა და აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებები. ჰყავდა მეუღლე და სამი შვილი.

გათავისუფლდა სამსახურიდან 2006 წელს, პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

პატარიძე ლეილა ალის ასული - დაიბადა 1962 წელს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ თხილნარში. 1979 წელს დაამთავრა თხილნარის საშუალო სკოლა და სწავლა

განაგრძო ბათუმის საბუღალტრო სკოლაში. საარქივო დაწესებულებაში მუშაობის დაწყებამდე იგი მუშაობდა თხილნარის კოლმეურნეობის ბუღალტრად (1983-1986 წწ.) და ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის მუშად (1987-1992 წწ.).

1992 წელს ლ. პატარიძე დაინიშნა აჭარის არ სახელმწიფო სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება ,,მემატიენე"-ში - მე-2 კატეგორიის არქეოგრაფის პოზიციაზე. 1993 წელს იგი გადაიყვანეს დამლაგებლად, 1994 წელს კი ,,მემატიანე"-ს არქივის მდივან-მემანქანედ. ლ. პატარიძეს ევალებოდა საიდუმლო დოკუმენტების საქმისწარმოება. 1997 წელს იგი დაინიშნა სახელმწიფო არქივის მოლარედ, 2006 წელს კი საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების სამსახურის მთავარ სპეციალისტად. 2008 წელს ლ. პატარიძე გადაიყვანეს საარქივო სამმართველოს ადმინისტრაციის მთავარ სპეციალისტად.

გათავისუფლებული იქნა დაკავებული პოზიციიდან 2010 წელს.

პროცენკო კონსტანტინე აფანასეს ძე - დაიბადა 1903 წელს, დონეცკის ოლქის ნოვო-ოსტრეხინში. 1930 წელს იგი საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში და დაიწყო მუშაობა ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში. 1935-1938 წლებში იგი მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებებში. 1938 წელს დაინიშნა ცენტრალური სახელმწიფო არქივის ინსპექტორის თანამდებობაზე. ამ პოზიციაზე მან იმუშავა 1982 წლის სექტემბრამდე.

პინიანცი გრიგოლ ასატურის ძე - დაიბადა 1923 წელს ქალაქ ბათუმში. 1941 წელს დაამთავრა ბათუმის N 18 ქართული საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრებისთანავე, სამხედრო კომისარიატმა გრ. პინიანცი გააგზავნა ქალაქ ხარკოვის სამედიცინო სასწავლებელში, შემდეგ კი ფრონტზე. 1941-1944 წლებში მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში (ჩრდილო კავკასიაში - მოზდოკში, ყუბანში, შემდეგ კი უკრაინის ფრონტზე). საბრძოლო დავალების შესრულების დროს გ. პინიანცი მძიმედ დაიჭრა. გამოჯანმრთელების შემდეგ (1944 წ.) იგი დემობილიზირებული იქნა ჯარიდან. გრ. პინიანცი წარმატებით ასრულებდა საბრძოლო დავალებებს, რისთვისაც დაჯილდოებული იყო არა ერთი სიგელით და მედლით.

არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ (1944 წ.), გრ. პინიანცი დაინიშნა აჭარის ასსრ საარქივო სამმართველოს ინსპექტორის, 1952 წელს კი მთავარი ინსპექტორის პოზიციაზე. 1954 წელს გრ. პინიანცმა დაამთავრა მარქსიზმ-ლენინიზმის სკოლა (ორწლიანი კურსები). 1969 წელს იგი ინიშნება აჭარის ასსრ **საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილედ,** 1997 წელს კი ცენტრალური სახელმწიფო არქივის დაკომპლექტებისა და საუწყებო არქივებთან მუშაობის განყოფილების გამგედ. 2005 წელს გრ. პინიანცი გადაყვანილი იქნა ამავე განყოფილების არქივისტად. სადაც იმუშავა 2006 წლამდე. საარქივო დაწესებულებაში მუშაობის პერიოდში გრ. პინიანცმა თავი გამოავლინა, როგორც უნარიანმა და შრომისმოყვარე თანამშრომელმა და აჭარის არქივისტებს შორის დაიკავა განსაკუთრებული ადგილი. იგი იყო ნოვატორი, იდეების გენერატორი. მის სახელს უკავშირდება მრავალი ნოვაცია. საარქივო საქმის განვითარებაში შეტანილი

წვლილისთვის გრ. პინიანცი სამჯერ დაჯილდოვდა საარქივო სამმართველოს საპატიო სიგელით. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს და აჭარის დამსახურებული მუშაკისა და ,,საუკუნის საუკეთესო არქივისტი“-ს (80 წლის იუბილესთან დაკავშირებით) წოდება.

სამსახურიდან გათავისუფლდა 2006 წ. პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

პარმაქსიზიშვილი თენგიზ პავლეს ძე - დაიბადა 1953 წელს, ქალაქ ბორჯომში. 1970 წელს დაამთავრა ბათუმის 22-ე საშუალო სკოლა, 1982 წელს კი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. 1972-1974 წლებში იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. თ. პარმაქსიზიშვილმა 1983 წელს დაიწყო შრომითი საქმიანობა. მუშაობდა მუშაობდა N2 სკოლა-ინტერნატში აღმზრდელად, სახალვაშოს რვაწლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. N 14 საშუალო სკოლის დაწყებითი სამხედრო მომზადების ხელმძღვანელად, სასტუმრო ,,მესხეთი“-ს ინსტრუქტორ-მეთოდისტად და რეჟიმის უფროს ინსპექტორად.

2010 წ. მაისში თ. პარმაქსიზიშვილი დაინიშნა აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს დაკომპლექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სამსახურის თანამშრომლად. 2011 წელს იგი გადაიყვანეს საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანო - ხელვაჩაურის არქივში - წამყვანი სპეციალისტად. ამ პოზიციაზე თენგიზ პარმაქსიზიშვილი მუშაობდა 2021 წლის აგვისტომდე.

თ. პარმაქსიზიშვილი იყო უაღრესად მაღალკულტურული და კეთილშობილი პიროვნება, გულისხმიერი ადამიანი დასამშობლოს ჭირ-ვარამის თანაზიარი. მისი შინაგანი ბუნება და სიყვარული სამშობლოსადმი ნათლად ჩანს სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე დაწერილ ლექსში, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ ,,არხეიონში“.

გარდაიცვალა 2021 წელს.

პატარაია ქეთევან მიხეილის ასული - დაიბადა 1957 წელს, ქალაქ ბათუმში. 1976 წელს დაამთავრა ბათუმის N16 საშუალო სკოლა და დაინიშნა ცენტრალურ სახელმწიფო არქივში - არქივისტის პოზიციაზე. გათავისუფლდა 1980 წელს, პირადი განცხადების საფუძველზე. ჰყავდა მეუღლე და ერთი შვილი.

რომანაძე ჟუჟუნა თემურის ასული - დაიბადა 1944 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკაში. 1961 წელს დაამთავრა ქობულეთის N 3 საშუალო სკოლა. 1967 წელს კი ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი - ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობით. 1961-1963 წლებში მუშაობდა ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის მოლარე-მოანგარიშედ.

1963 წლიდან ჟ. რომანაძე საარქივო დაწესებულებაშია. იგი დაინიშნა ქობულეთის რაიონის სახელმწიფო არქივში, არქივარიუსის პოზიციაზე (1963-1968 წწ.) 1968 წლის თებერვლიდან ჟუჟუნა რომანაძე ქობულეთის რაიონული არქივის

გამგეა, 1990 წლიდან კი რაიონული არქივის დირექტორი. 2007 წელს ჟ. რომანაძე დაინიშნა ქობულეთის რაიონული სახელმწიფო არქივის განყოფილების უფროსად.

საარქივო დაწესებულებაში მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში ჟ. რომანაძე კეთილსინდისიერად ემსახურებოდა ისტორიული წარსულის ამსახველი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების დოკუმენტების დაცვა-გამოყენების საქმეს. სასარგებლო და ნაყოფიერი მუშაობისთვის ჟუჟუნა რომანაძეს არაერთხელ გამოეცხადა მადლობა, დაჯილდოებული იყო საპატიო სიგელებით, მინიჭებული ჰქონდა **აჭარის არ კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება.**

გათავისუფლდა სამუშაოდან 2010 წელს, პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

რუსეიშვილი ლამარა ნიკოლოზის ასული - დაიბადა 1966 წელს, ქალაქ ბათუმში. 1983 წელს დაამთავრა ბათუმის N 22 საშუალო სკოლა, 1985 წელს კი ბათუმის N105 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო დაიწყო ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, საცნობარო განყოფილებაში, არქივარიუსად (1986 წ.). 1990 წელს ლ. რუსეიშვილი გადაიყვანეს სახელმწიფო არქივის პირადი შემადგენლობის დოკუმენტების ცენტრალური დაცვისა და გამოყენების განყოფილების არქივისტად, შემდეგ კი (1993 წელს) მე-3 კატეგორიის მხატვარ-რესტავრატორის პოზიციაზე.

ლ. რუსეიშვილი იყო უაღრესად შრომისმოყვარე და კეთილსინდისიერი მუშაკი. იგი დროულად ახერხებდა საარქივო ცნობების დაძებნას, დიდი როლი შეასრულა ანბანური სიის შედგენასა და საქმეთა ყდაში ჩასმა-ჩაკერების საქმეში.

ლამარა რუსეიშვილი 1997 წელს გათავისუფლდა დაკავებული პოზიციიდან - პირადი განცხადების საფუძველზე.

რესულიძე სიმონ ბინალის ძე - დაიბადა 1950 წელს, შუახევის რაიონის სოფელ ნიგაზეულში. 1968 წელს დაამთავრა ნიგაზეულის საშუალო სკოლა. 1969-1971 წლებში მსახურობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში. 1997 წელს დაამთავრა აჭარის კოოპერაციული ინსტიტუტი - ფინანსისტის სპეციალობით. 1971 წლიდან ს. რესულიძე მუშაობს სხვადასხვა პოზიციაზე; ზამლეთის სასოფლო საბჭოს უფროს ბუღალტრად (1971-1975 წწ.), ხელვაჩაურის რაიონის სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციის მთავარ ბუღალტრად (1975-1976 წწ.), ბათუმის სახელმწიფო დაზღვევის მთავარ მუღალტრად (1976-1982 წწ.), საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს მთავარი კონტროლიორ-რევიზორიად (1982-1987 წწ.), ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის, შემდეგ უნივერსიტეტის მთავარ ბუღალტრად, საგეგმო საფინანსო სამმართველოს უფროსი ბუღალტრად (1987- 2007 წწ.).

2010 წ. თებერვლში სიმონ რესულიძე დაინიშნა აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს მთავარ ბუღალტრად - საფინანსო-ეკონომიკური და სამნეო განყოფილების უფროსად. ამ თანამდებობაზე მან იმუშავა 2015 წლის აპრილამდე.

ყველგან, სადაც კი უხდებოდა მუშაობა, ს. რესულიძეს ახასიათებენ, როგორც მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს, უმაღლესი კლასის ბუღალტერს. მისი კაბინეტის კარი ყოველთვის იყო ღია თანამშრომლებისათვის. იგი შეძლებისგვარად ეხმარებოდა ყველას, არაკეთილმოსურნესაც და მოყვარესაც. საოცარი ადამიანური თვისებების გამო ს. რესულიძეს დღესაც სითბოთი და სიყვარულით იხსენებენ უნივერსიტატში თუ საარქივო სამართველოში.

ს. რესულიძე სამუშაოდან გათავისუფლდა 2015 წელს, პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით (სპირადი განცხადების საფუძველზე).

სკამკოჩაიშვილი ნუნუ გრიგოლის ასული - დაიბადა 1943 წელს, ოზურგეთის რაიონის სოფელ მაკვანეთში. 1959 წელს დაამთავრა ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედის საშუალო სკოლა. 1959-1960 წლებში მუშაობდა ოზურგეთის რაიონის გოგუთის სოფლის ბიბლიოთეკის გამგედ, 1960-1961 წლებში მაკვანეთის კულტურის სახლის ინსტრუქტორად, ხოლო 1961 – 1967 წლებში მაკვანეთის ბავშვთა ბაღში - აღმზრდელ-მასწავლებლად. მუშაობის პარალელურად ნ. სკამკოჩაიშვილი 1968 წ. წარმატებით ამთავრებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის სპეციალობის სრულ კურსს და მუშაობას იწყებს ბათუმის N6 საშუალო სკოლაში - პედაგოგის პოზიციაზე. სკოლაში ნ. სკამკოჩაიშვილმა იმუშავა ოთხი წელი. 1973 წელს იგი დაინიშნა ცენტრალური სახელმწიფო არქივის სამეურნეო ჯგუფის უმცროს მეცნიერ მუშაკად (1973-1975), შემდეგ კი ცენტრალური არქივის ფონდების მცველად (1975-1979 წწ.). 1979-1980 წლებში ის სახელმწიფო არქივში უმცროსი მეცნიერ-მუშაკის პოზიციაზეა. 1980 წელს ნ. სკამკოჩაიშვილი გადაყვანილი იქნა პირველი კატეგორიის არქივისტად. 1987-1990 წლებში იგი აგრძელებს მუშაობას უფროსი არქივისტის თანამდებობაზე, 1997 წლიდან კი, ეროვნული საარქივო ფონდის დაცვის უზრუნველყოფის, სახელმწიფო აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო აპარატის განყოფილების გამგეა. ხელოვნებისა და ლიტერატურის საარქივო დოკუმენტების განყოფილებას უდგას სათავეში 2005-2006 წლებში, შემდეგ კი (2006 წელი) ამავე განყოფილების მთავარ სპეციალისტად გადაიყვანეს. 2007 წლიდან, ნ. სკამკოჩაიშვილი წამყვანი სპეციალისტის. 2008 წლიდან კი სამმართველოს უზრუნველყოფის განყოფილების მთავარ სპეციალისტის პოზიციაზეა.

ია-ვარდით არ იყო მოფენილი ნ. სკამკოჩაიშვილის ცხოვრების გზა. მას ბევრი გაჭირვება შეხვედრია და სკეთეც ბევრი უნახავს. ყველაზე ბედნიერად წიგნებთან მუშაობის დროს გრძნობდა თავს. მისი პუბლიცისტური სტატიები და სამეცნიერო გამოკვლევები ხშირად იბეჭდებოდა ადგილობრივ პრესაში, საქართველოს სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტის სამეცნიერო-საცნობარო ბუკლეტებში. ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა სახელმწიფო არქივში, განსაკუთრებით ეროვნული საარქივო ფონდის დაცვის, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილებაში.

საარქივო საქმის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და კეთილსინდისიერი შრომისთვის ნუნუ სკამპოჩაიშვილი დაჯილდოებული იყო

საპატიო სიგელებით. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მას გამოუცხადეს მადლობა.

დრო და დრო ნუნუ სკამპოჩაიშვილს, როგორც პოეტს მოეძალებოდა რომანტიკა, კალამს ხელში აიღებდა და მისი გრძნობები ლექსის სტრიქონებად ჩამოიღვრებოდა. ლექსი ,,ისტორიის კარიბჭესთან" ერის საგანძურს - არქივს მიუძღვნა.

,,რძისფე ნისლებს დაუბერავს ქარი
გადიხსნება სარკოფაგის კარი
დადუმებულ მუმიების გვერდით
ხავსწაკრილი ძელქვები და ძვლები.
დახუნძლულა ვით ხეხილი ბაღში
დოკუმენტთა საოცარი მთები,
სიბრძნის სიტყვა ასე საძიებო
ისტორიის გარდასული წლები.
გაკრთომია ცის ვარსკვლავებს ფერი
გადაყვითლდა პერგამენტი ბევრი,
მეტყველებენ ძვლები, მუმიები,
დოკუმენტთა უჩინარი ენით.
ქარიშხლები გადაივლის ქვეყნად
შეიცვლება თაობებიც ბევრი,
შეუცვლელი რჩება საგანძური
ეროვნული ეს სიმდიდრე ძველი.
სადღაც მთებზე ჩამოთოვა ფიფქი
დაითრთვილა საცავებში მტვერიც,
აჩრდილების საუბარი მესმის
გაცოცხლდენო ძვლები, მუმიები.
80 წლის მოიყარეს თითქოს,
მაგრამ მარად ახალგაზრდა რჩები,
ამოუხსნელ ქარაგმებად გვესმის
წინაპართა შორეული ხმები.
კიდევ ბევრჯერ დაუბერავს ქარი,
ისევ რძისფერ ნისლებს გადაფანტავს,
არქივი, ეს ერის საგანძური
კვლავ დარჩება ისტორიის კართან.

36 წელი ემსახურა ნუნუ სკამპოჩაიშვილი საარქივო საქმეს. გარდაიცვალა 2008 წელს. განათლებით ისტორიკოსი, ბუნებით რომანტიკოსი, სულით ხორცამდე ქართველი - ასე დაამახსოვრდა ის საარქივო დარგის მუშაკებს.

სიხარულიძე მირა ალექსანდრეს ასული - დაიბადა 1931 წელს, მახარაძის (ახლ. ოზურგეთი) რაიონის სოფელ ჭალაში. დაწყებითი განათლება მიიღო ჭალის დაწყებით სკოლაში, შემდეგ სწავლა განაგრძო დვაბზუს არასრულ საშუალო

სკოლაში. 1950 წელს დაამთავრა შემოქმედის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა მოსკოვის სახელმწიფო საისტორიო-საარქივო ინსტიტუტში - ისტორიკოს-არქივმცოდნეობის ფაკულტეტზე. საარქივო-საისტორიო ინსტიტუტი დაამთავრა 1966 წელს, თუმცა მანამდეც ჰქონდა საარქივო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება. მ. სიხარულიძე 1954 წელს დაინიშნა ცენტრალურ სახელმწიფო არქივში - უფროს არქივარიუსად. 1962 წელს გადაყვანილი იგი დანიშნეს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს ინსპექტორის, 1966 წელს კი ბიბლიოთეკრის პოზიციაზე. 1967 წლიდან მ. სიხარულიძე ცენტრალური სახელმწიფო არქივის უმცროს მეცნიერ მუშაკია.

მირა სიხარულიძე იყო თავისი საქმის პროფესიონალი, შრომისმოყვარე და კეთილსინდისიერი არქივისტი. გათავისუფლდა სამსახურიდან 1969 წელს, სხვასამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სარჯველაძე მანველიტა ვახტანგის ასული - დაიბადა 1945 წელს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაში. 1963 წელს დაამთავრა ბათუმის N2 საშუალო სკოლა, შემდეგ კი (1968 წ.) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1967-1968 წლებში მ. სარჯველაძე მუშაობდა ერთ-ერთი სკოლის ლაბორანტად ხელვაჩაურის რაიონში. 1971 წელს დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში - ჯერ არქივისტის, შემდეგ კი ფონდების მცველის პოზიციაზე (სხვა მონაცემები საარქივო ფონდებში დაცული არაა).

სალუქვაძე თენგიზ ნევროს ძე - დაიბადა 1958 წელს, ოზურგეთში. 1974 წელს დაამთავრა ბათუმის N 2 საშუალო სკოლა. 1993-1998 წლებში სწავლობდა ბათუმის ჰუმანიტარულ ინსტიტუტში. 1974-2003 წლებში მუშაობდა ბათუმის სასადილოების ტრესტში, ტურბაზა ,,ბათუმი-3"-სა და პროფტექნიკური სასწავლებელში - სწავლების ოსტატად. მუშაობდა აგრეთვე შპს ,,სპეცავტომეურნეობა"-ში კონტროლიორად. 2005 წელს თ. სალუქვაძე დაინიშნა საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ხელოვნების და ლიტერატურის საარქივო დოკუმენტების განყოფილების არქივისტად. 2006 წელს იგი გადაიყვანეს დაწესებულებათა არქივების და დოკუმენტების ბრუნვის მართვის განყოფილების, 2008 წელს კი ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობის განყოფილების მთავარ სპეციალისტის პოზიციაზე. 2010 წელს თენგიზ სალუქვაძე დაინიშნა საარქივო სამმართველოს დაკომპლექტებისა და დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების სამსახურის უფროსად. ამ პოზიციაზე მან 2013 წლამდე იმუშავა. 2013 წელს თ. სალუქვაძე დაინიშნა საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილედ. 2016 წელს გათავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან. გარდაიცვალა 2020 წელს. ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

სალაძე გურამ ჯემალის ძე - დაიბადა 1966 წელს, ქედის რაიონის სოფელ კოლოტაურში. 1984 წელს დაამთავრა ახალშენის საშუალო სკოლა, 2002 წელს კი საქართველოს პოლიტიკური აკადემიის ბათუმის ფილიალი - სამართლის სპეციალობით. 1997 წელს დაამთავრა ბათუმის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის

სასულიერო სემინარია. ერთხანს იგი მუშაობდა რუსულ-ქართულ საშუალო სკოლაში პედაგოგად.

2012 წლის 4 დეკემბრს გურამ სალაძე დაინიშნა აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს უფროსად. გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2014 წლის 24 აგვისტოს - სამართალდამცავი ორგანოების (სასამართლო) გადაწყვეტილებით.

სტურუა სოსო ალექსანდრეს ძე - დაიბადა 1971 წელს, ქალაქ ბათუმში. 1987 წელს დაამთავრა ბათუმის N4 საშუალო სკოლა. 1992 წელს კი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის ინსტიტუტი - ინჟინერ-ელექტრომექანიკოსის სპეციალობით და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებრივ პროფესიათა ინსტიტუტი - ჟურნალისტის კვალიფიკაციით. ამავე წელს (1992 წ.) დაიწყო შრომითი საქმიანობა. სხვადასხვა დროს მუშაობდა: აჭარის რადიოს კორესპოდენტის, რედაქტორის, მთავარი რედაქტორის მოადგილის, აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის უფროსის (2004 წ.), აჭარის ტელევიზიის მარკეტინგის სამსახურის უფროსის (2004-2005 წწ.), საზოგადოებრივი მაუწყებლის (პირველი არხი) სატელევიზიო პროგრამის ავტორი და რეჟისორი (25 ფილმი), აჭარის ტელევიზიისა და რადიო მაუწყებლობის დეპარტამენტის თავმჯდომარე, დირექტორი (2013-2016 წწ.). ს. სტურუა არის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ციკლის 125 ფილმის ავტორი და რეჟისორი.

2017 წელს სოსო სტურუა დაინიშნა აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილედ. ამ პოზიციაზე მან ორი წელი იმუშავა.

სოსო სტურუა იყო მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, პროფესიონალი ჟურნალისტი და რეჟისორი, საოცარი ადამიანური თავისებურებებით შემკული პიროვნება. ფრიად სასარგებლო იქნებოდა მისი ნიჭისა და უნარის გამოყენება საარქივო სამსახურში, მაგრამ ვერ მოხერხდა სხვა სამსახურში მისი გადასვლის გამო.

სოსო სტურუას საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ოთხჯერ მიენიჭა თედო სახოკიას დარგობრივი პრემია (ეთნოგრაფიულ-ანთროპოლოგიური ფილმებისათვის). ჯილდოები დაიმსახურა აგრეთვე საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

ტაბაღუა სერგო თეოფანის ძე - დაიბადა 1925 წელს, აბაშის რაიონის სოფელ პირველ მაისში. 1941 წელს დაამთავრა პირველი მაისის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, საიდანაც, 1942 წელს - 17 წლის ახალგაზრდა გაიწვიეს მეორე მსოფლიო ომში. ს. ტაბაღუა იბრძოდა კავკასიაში, სევასტოპოლში, ყირიმში, სიმფეროპოლში, ვიტებსკაში, ვარშავაში, პიბნანში, კმუსენაკოლში და ბოლოს ბერლინში. 1947 წელს სერგო ტაბაღუა ვალმოხდილი დაბრუნდა მშობლიურ სოფელში და ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში - ისტორიის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1952 წელს. 1952-1954 წლებში ს. ტაბაღუა მუშაობდა N3 ბიბლიოთეკის გამგედ ქ. ბათუმში. 1954 წელს გამოსაცდელი ვადით დანიშნეს

აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივის უფროს მეცნიერ-მუშაკად. 1956-1962 წწ. ს. ტაბაღუა აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივის დირექტორია. 1963 წელს იგი დაინიშნა სახელმწიფო არქივის უფროს მეცნიერ-მუშაკად. 1985-1997 წლებში ს. ტაბაღუა კვლავ სახელმწიფო არქივის დირექტორის თანამდებობაზეა. 1997 წელს სერგო ტაბაღუა პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და განაგრძო საქმიანობა დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სამსახურში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით საარქივო ფონდები შეივსო საქართველოს შესახებ რუსეთის არქივებში დაცული დოკუმენტების ასლებით.

მაღალი ადამიანური თვისებებით შემკული პროფესიონალი არქივისტი წარმატებული იყო მეცნიერებაშიც. ს. ტაბაღუა იყო ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, მრავალი სამეცნიერო სტატიის და მონოგრაფიის ავტორი, საარქივო პირველწყაროების კრებულის ავტორ-შემდგენელი. მისი ბოლო წიგნი ,,აბაშა" (მარადიული ხსოვნის წიგნი) - გარდაცვალებიდან რამოდენიმე დღეში გამოიცა.

მეორე მსოფლიო ომს ფრონტებზე გამოჩენილი სიმამაცისა და გმირობსათვის სერგო ტაბაღუა დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით, ხოლო საარქივო საქმის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის - აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელებით. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს და აჭარის კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

52 წელი შეალია ს. ტაბაღუამ საარქივო საქმიანობას. სამსახურიდან გათავისუფლდა 2006 წელს. გარდაიცვალა 2021 წლის მაისში - 96 წლის ასაკში.

ტარუღიშვილი შორენა მიხეილის ასული - დაიბადა 1972 წელს, ქალაქ ბათუმში. 1997 დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2003 წელს იგი დაინიშნა ცენტრალური სახელმწიფო არქივის დაგეგმარებისა და საორგანიზაციო-მეთოდური მუშაობის განყოფილების მეთოდისტად. იმავე წელს მარტში შ. ტარუღიშვილი გადაიყვანეს პოლიტიკური ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების საარქივო დოკუმენტების განყოფილების პირველი კატეგორიის არქივისტად, ოქტომბერში - ცენტრალური სახელმწიფო არქივის სპეციალისტად (მდივანი), 2006 წელს კი ინფორმაციის ელექტრონული დამუშავების განყოფილების მთავარ სპეციალისტად. 2007 წელს შ. ტარუღიშვილი დაინიშნა მოქალაქეთა განცხადებებზე მუშაობის განყოფილების ჯერ, სპეციალისტად, შემდეგ კი წამყვან სპეციალისტად.

საარქივო სისტემაში მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში შორენა ტარუღიშვილი გამოირცეოდა საქმისადმი ერთგულებითა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, მაღალკვალიფიციურ დონეზე ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. სამსახურიდან გათავისუფლდა 2008 წელს.

უგრეხელიძე ნინო ბორისის ასული - დაიბადა 1982 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირში. 1997 წელს დაამთავრა ციხისძირის არასრული საშუალო სკოლა, შემდეგ კი სამედიცინო სასწავლებელი. 2004 წელს გაიარა კომპიუტერის შემსწავლელი კურსები და დაინიშნა აჭარის არ საარქივო სამმართველოს კომპიუტერის ოპერატორის თანამდებობაზე. 2005 წელს ნ.

უგრეხელიძე დანიშნეს საარქივო სამმართველოს აპარატის მდივან-რეფერენტად. 2006 წელს იგი გადაიყვანეს ჯერ საარქივო სამმართველოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების, შემდეგ კი (2007 წ.) ცენტრალური აპარატის კადრების და ტერიტორიული ორგანოებთან მუშაობის განყოფილების მთავარ სპეციალისტად (2008 წ.). იმავე წელს ნინო უგრეხელიძე დაინიშნა ცენტრალური სახელმწიფო არქივის კინო-ფოტო დოკუმენტების განყოფილების მთავარ სპეციალისტად. გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2010 წელს.

ფილიპოვა ანა აფანასის ასული დაიბადა - 1922 წელს, გორანსკის ოლქში. 1936 წელს მიიღო საშუალო ტექნიკური განათლება. საარქივო სისტემაში მუშაობა დაიწყო 1949 წელს - მდივან მემანქანის პოზიციაზე. 1966 წლიდან ის მუშაობდა აჭარის სახელმწიფო არქივის სამეურნეო ჯგუფში, საარქივო დოკუმენტების დამუშავების მიმართულებით. ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

ფუტკარაძე ნაზი ვაჟას ასული - დაიბადა 1961 წელს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ თხილნარში. 1978 წელს დაამთავრა თხილნარის საშუალო სკოლა. 1983-1986 წწ. სწავლობდა ხალხურ - სამედიცინო უნივერსიტეტში, 1988-1991 წწ. კი ბათუმის ეკონომიკისა და სამართლის სახელმწიფო კოლეჯში - სამკურნალო საქმის სპეციალობაზე. 1992-1997 წწ. მან მიიღო იურისტის კვალიფიკაცია ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე.

ნაზი ფუტკარაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა: ბათუმის N 3 საავადმყოფოს პოლიკლინიკაში (1986-1991 წწ.), შპს "ბნქ"-ის მედიკოსანიტარულ სამსახურში (1991-2005 წწ), შპს ,,თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრში" - მენეჯერის პოზიციაზე (2006 -2009 წწ).

2009 წ. ნ. ფუტკარაძე დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილედ, საიდანაც გათავისუფლდა 2010 წ. თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს წევრად არჩევასთან დაკავშირებით.

ნაზი ფუტკარაძე იყო პრინციპული ხელმძღვანელი, ობიექტური და სამართლიანი ადამიანი. იგი ყოველთვის იცავდა თანამშრომელთა ინტერესებს და გულისხმიერებით ეკიდებოდა მათ პრობლემებს.

ჰყავს ორი შვილი.

ქამადაძე იაშა ბინალის ძე - დაიბადა 1940 წელს, ხულოს რაიონის სოფელ ქედლებში. 1957 წელს დაამთავრა ხულოს საშუალო სკოლა. 1959-1962 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1963-1966 წლებში იყო რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე. შემდეგ გადაყვანილი იქნა საყოფაცხოვრებო კომბინატის ექსპედიტორად.

1971 წელს მუშაობდა ხულოს რაიონის არქივში არქივისტად. იყო ცოლშვილიანი.

ქობულაძე თამაზ ხასანის ძე - დაიბადა 1946 წელს, ქედის რაიონის სოფელ ზუნდაგაში. 1965 წელს დაამთავრა ბათუმის N 22 საშუალო სკოლა, 1970 წელს კი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის

ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ჩაისუბნის საშუალო სკოლაში - პედაგოგად. 1970-1977 წლებში მუშაობდა საქართველოს კომკავშირის ხელვაჩაურის რაიკომის ინსტრუქტორად, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, კომკავშირის ხელვაჩაურის რაიკომის პირველ მდივანად. 1977-1984 წლებში თამაზ ქობულაძე ხელმძღვანელობდა დაბა ხელვაჩაურის კოლმეურნეობას. 1984-1996 წლებში, სხვადასხვა დროს იყო: პარტიის ხელვაჩაურის რაიკომის იდეოლოგიური განყოფილების გამგის მოადგილე, საქართველოს კომპარტიის ხელვაჩაურის რაიკომის მეორე მდივანი, ქალაქ ბათუმის პრეფექტის თანაშემწე, აჭარის არ უზენაესი საბჭოს განყოფილების გამგე, ბათუმის ვიცემერი.

1996 წელს თამაზ ქობულაძე დაინიშნა აჭარის არ სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ. ამ თანამდებობაზე მუშაობდა 2004 წლამდე.

თამაზ ქობულაძე გამოირჩეოდა საქმის წარმოების მაღალი კულტურით, შესაშური შრომისმოყვარეობთ და პასუხისმგებლობით. იგი იყო კორექტული, პრინციპული, ობიექტური და მომთხოვნი ხელმძღვანელი. მისი საქმიანობა ყოველთვის იყო ორიენტირებული შედეგებზე. მან უმოკლეს დროში შეისწავლა საარქივო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ნორმატიული დოკუმენტი, აითვისა საარქივო საქმიანობის თავისებურებანი და ჩამოყალბდა, როგორც პროფესიონალი არქივისტი. თავის მრავალმხრივ ცოდნასა და გამოცდილებას თ. ქობულაძე უშურველად გადასცემდა კოლეგებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა არქივისტებს.

დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა 2004 წელს, სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავსირებით. ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

ქართველიშვილი ოთარ შოთას ძე - დაიბადა 1962 წელს, ქალაქ ბათუმში. 1979 წელს დაამთავრა დაბა ხელვაჩაურის საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა ბათუმის საბუღალტრო სკოლაში. 1984 წელს დაამთავრა ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი. 1979-1995 წლებში. სხვადასხვა დროს მუშაობდა: ხელვაჩაურის სარემონტო-საამშენებლო უბანში, ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანებაში, კოოპერატივ ,,მკინძავში", აღდგენითი მკურნალობის რესპუბლიკურ ცენტრში.

1995 წლის აგვისტოში ოთარ ქართველიშვილი დაინიშნა ხელვაჩაურის რაიონული სახელმწიფო არქივის სამეურნეო ჯგუფის მეორე კატეგორიის მუშაკად, საიდანაც გათავისუფლდა 2010 წლის აპრილში. ოთარ ქართველიშვილი დღესაც არქივის საქმეს ემსახურება. იგი არის ხელვაჩაურის მერიის არქივისტი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ქათამაძე ციური ოსმანის ასული - დაიბადა 1966 წელს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზოტში. 1969 წელს მისი ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა მახარაძის (ოზურგეთი) რაიონის სოფელ ნასაკირალში. 1983 წ. დაამთავრა ნასაკირალის საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო ნასაკირალის ჩაის მეურნეობაში, მუშად. 1991 წელს დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1998 წელს კი ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურა - საქართველოს

ისტორიის სპეციალობით. 1991-1996 წლებში ც. ქათამაძე მუშაობდა ოზურგეთის რაიონის ნასაკირალის საშუალო სკოლაში - ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად და N1 ბაგა-ბაღის აღმზრდელ-მასწავლებლად. 1996 წელს ც. ქათამაძემ მუშაობა დაიწყო ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ისტორიის კათედრაზე ლექტორის პოზიციაზე. პარალელურად, 1998 წელს, იგი ინიშნება ცენტრალურ სახელმწიფო არქივში - დოკუმენტების გამოყენებისა და პუბლიკაციის განყოფილებაში - პირველი კატეგორიის მთავარ არქივისტად. 2003 წელს ც. ქათამაძე გადაყვანილი იქნა ამავე განყოფილების მთავარი არქივისტის, შემდეგ კი ცენტრალური სახელმწიფო არქივის დაგეგმარებისა და საორგანიზაციო მეთოდური მუშაობის განყოფილების მეთოდისტის პოზიციებზე.

გათავისუფლდა 2004 წელს, პირადი განცხადებიას საფუძველზე.

ქაჯაია ლევან რესულის ძე - დაიბადა 1937 წელს, ქედის რაიონის სოფელ ორცვაში. 1954 წელს დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში - ისტორიის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1959 წელს ლ. ქაჯაია მუშაობას იწყებს შუახევის რაიონის სოფელ ფურტიოს საშუალო სკოლაში. 1960 წელს იგი სამუშაოდ გადავიდა პიონერთა სასახლეში - დირექტორის მოადგილედ. 1961-1962 წლებში მუშაობდა ჩაისუბნის (ქობულეთის რაიონი) სკოლა-ინტერნატში - აღმზრდელ მასწავლწლებლად.

1962 წლის ოქტომბერში ლ. ქაჯაია დაინიშნა აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივის უფროს მეცნიერ-მუშაკად. ამ პოზიციაზე იგი მუშაობდა 1969 წლამდე, სხვა სამუშაოზე გადასვლამდე.

ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

ქილიფთარი დავით ილარიონის ძე - დაიბადა 1885 წელს. 1904 - 1932 წწ. სხვადასხვა დროს მუშაობდა: ართვინის, არტანუჯის, ბათუმის სამხედრო გუბერნიის, ბათუმის საოლქო კომისარიატის, შავშეთ-იმერხევის, ბათუმის ნავსადგურის, გურლიფშის და სხვა დაწესებულებათა კანცელარიის მოხელედ, მდივნად, თარჯიმნად, მემანქანედ, საქმის მწარმოებლად.

1933-1937 წლებში მუშაობდა აჭარისტანის სახელმწიფო არქივში, პირადი შემადგენლობის საქმის მწარმოებელ-არქივარიუსის პოზიციაზე.

ქორიძე ელენე - დაიბადა 1925 წელს, სამტრედიის რაიონის სოფელ გამოჩინებულში (ახლ. ზემო აბაშა). 1946 წელს იგი დაინიშნა რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქტორად, შემდეგ კი ბათუმის (ეხლ.ხელვაჩაური) რაიონული არქივის გამგედ. 1965 წ. ე. ქორიძე გადმოიყვანეს აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში - ჯერ ფონდების მცველად, შემდეგ კი რესტავრატორის პოზიციებზე. მან უმოკლეს დროში აითვისა საარქივო საქმიანობის სპეციფიკა და ჩამოყალიბდა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად. მან დიდი როლი შეასრულა საარქივო დოკუმენტების დაცვისა და მოვლა-შენახვის საქმეში. მან ათასობით დასნებოვნებულ და დაზიანებულ საარქივო დოკუმენტს დაუბრუნა სიცოცხლე. ე. ქორიძის აქტიური მონაწილეობით ახალშექმნილი ბათუმის

რაიონული არქივი დაკომპლექტდა სხვადასხვა დაწესებულების 80 ფონდის 10 000 საქმეთა ერთეულით.

ე. ქორიძე სამსახურიდან გათავისუფლდა 1983 წელს, პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით. გარდაიცვალა 1991 წელს. ჰყავდა მეუღლე და ერთი შვილი.

ღლონტი ნელი ილიას ასული - დაიბადა 1940 წელს, მახარაძის (ახლ. ოზურგეთი) რაიონის სოფელ მელქედურში. საშუალო სკოლა დაამთავრა 1956 წელს, მახარაძის საკოლმეურნეო საბუღალტრო სკოლა კი 1957 წელს.

ნ. ღლონტი 1980 წელს დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის სამეურნეო ჯგუფის მეორე კატეგორიის არქივისტად, შემდგომ კი სამეურნეო ჯგუფის მთავარ არქივისტად. ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

შეყილაძე თალიკო - დაიბადა 1929 წელს, ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეითში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა ბათუმში და მუშაობა დაიწყო ცენტრალურ არქივში ჯერ არქივარიუსად, შემდეგ კი დოკუმენტების სამეცნიერ-ტექნიკური დამუშავების სამსახურის მუშაკად (1953-1954 წწ.). 1954 წლიდან თ. შეყილაძე ცენტრალური სახელმწიფო არქივის არქივსაცავის გამგეა. იგი იყო უაღრესად პასუხისმგებლიანი, ყურადღებიანი, საქმიანი, პრინციპული, სამართლიანი, მკაცრი და მომთხოვნი ხელმძღვანელი, საიმედო მეგობარი და კოლეგა.

თალიკო შეყილაძე დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებისა და სახელმწიფო შენახვაზე შემოსული საარქივო საქმეების დაცვა-გამყენების საქმეს. მას შეუცდომლად შეეძლო გაერჩია ერთმანეთისაგან მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი დოკუმენტები, გასანადგურებლად გამოსაყოფი მაკულატურა. უნაკლოდ შეეძლო დოკუმენტების დახარისხება, დალაგება, შეკვრა, აკინძვა, დასათაურება. ამ პრინციპითა და პროფესიული ეთიკით თ. შეყილაძემ 50 წელზე მეტხანს მაღალკვალიფიციურად ემსახურა საყვარელ საქმეს.

თალიკო შეყილაძე დაჯილდოებული იყო აჭარის არ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით. ჰყავდა მეუღლე და სამი შვილი.

შერვაშიძე ხათუნა ნოდარის ასული - დაიბადა 1975 წელს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ანგისაში. 1992 წელს დაამთავრა ადლიის საშუალო სკოლა, 1997 წელს კი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ისტორია-ფილოლოგიის სპეციალობით. 1998 წელს ხ. შერვაშიძე დაინიშნა აჭარის არ საარქივო დეპარტამენტის ცენტრალური სახელმწიფო არქივის, პირადი შემადგენლობის დოკუმენტების ცენტრალიზებული დაცვის და გამოყენების განყოფილების არქივისტად. იმავე წელს იგი გადაიყვანეს დაკომპლექტებისა და საუწყებო არქივებთან მუშაობის განყოფილებაში მეორე კატეგორიის არქივისტად. 2004 წელს იგი დაინიშნა საარქივო სამმართველოს უფროს სპეციალ;ისტად, 2005 წელს კი აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ჯერ დირექტორად, შემდეგ კი - ცენტრალური აპარატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით (2006 წლიდან) -

ცენტრალური სახელმწიფო არქივის სამსახურის უფროსად. ამ თანამდებობაზე იგი მუშაობდა გათავისუფლებამდე, 2013 წლის ივლისამდე.

შალიკავა იზოლდა ვლადიმერის ასული - დაიბადა 1956 წელს, მახარაძის (ოზურგეთი) რაიონის სოფელ ურეკში. დაამთავრა ბათუმის N4 ქართული საშუალო სკოლა და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი - ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით (1980 წელს). მანამდე იგი მუშაობდა ბათუმის ფეხსაცმელების ფაბრიკაში, პროდუქტების მაღაზიაში, ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში (1973-1975 წწ.).

1976 წელს ი. შალკავა დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში - საცნობარო განყოფილების არქივისტად. 1977 წელს იგი გადაიყვანეს ფონდების მცველად, 1978 წელს კი - საცნობარო განყოფილების უმცროს მეცნიერ-მუშაკად.

გათავისუფლდა დაკავებული პოზიციდან 1981 წელს, სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

შარაშიძე თამარ შოთას ასული - დაიბადა 1954 წელს, შუახევის რაიონის სოფელ ჭვანაში. 1970 წელს დაამთავრა ჭვანის საშუალო სკოლა. 1979-1980 წლებში მუშაობდა ბათუმის საკონდიტრო ფაბრიკაში. 1993 წელს თ. შარაშიძე დაინიშნა აჭარის არ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში - მკინძავის, 1995 წელს კი პირადი შემადგენლობის დოკუმენტების ცენტრალიზებული დაცვისა და გამოყენების განყოფილების მესამე კატეგორიის არქივისტის პოზიციებზე. 2005 წელს იგი გადაიყვანეს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების არქივისტად.

დაკავებული პოზიციიდან გათავისუფლდა 2005 წელს (რეორგანიზაციასთან დაკავშირებით).

ჩაგანავა ქეთევან გრიგოლის ასული - დაიბადა 1954 წელს, ქალაქ ბათუმში. 1973 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. 1972-1973 წლებში მუშაობდა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში - საცნობარო განყოფილების არქივისტად. 1974-1979 წლებში ქ. ჩაგანავა ხელვაჩაურის რაიონული არქივის სამეურნეო ანგარიშსწორების ჯგუფშია - უმცროსი მეცნიერ-მუშაკის პოზიციაზე. 1989-1993 წლებში იგი მუშაობდა აჭარის ცენტრალურ არქივითან არსებული კოოპერატივი ,,არქივმცოდნე"-ს არქივარიუსად, 1994 წლიდან კი აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის მხატვარ-რესტავრატორია. მალე ქ. ჩაგანავა გადაიყვანეს სახელმწიფო არქივის დოკუმენტების შენახვისა და გამოყენების განყოფილების არქივისტის პოზიციაზე.

გათავისუფლდა დაკავებული პოზიციიდან 1996 წელს, პირადი განცხადების საფუძველზე (სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით). ჰყავს სამი შვილი.

ჩაგანავა გრიგოლ (გრიშა) ანთიმოზის ძე - დაიბადა 1924 წელს, აბაშის რაიონის სოფელ კეთილარში. კეთილარის არასრული საშუალო და ბათუმის N1 საშუალო სკოლების დამთავრების შემდეგ, 1942 წელს გაწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. ასე აღმოჩნდა 18 წლის ჭაბუკი ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში. ომის დამთავრების შემდეგ, 1945-1949 წლებში გ. ჩაგანავა მსახურობდა შინაგან

საქმეთა სამინისტროს ჯარების ნაწილში. საქართველოში იგი დაბრუნდა სხვადასხვა ჯილდოთი, ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული. 1949-1960 წლებში სხვადასხვა დროს მუშაობდა: შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო განყოფილებაში, არტელ ,,წინსვლაში", თევზის გადამამუშავებელ ქარხანაში, ნავთობგადამამუშავებელ ბაზაში და აჭარის პროფკავშირის საოლქო კლუბში სვადასხვა თანამდებობაზე.

1961 წლის ივლისიდან გრიგოლ ჩგანავა დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში - მკინძავ-აღმდგენლის თანამდებობაზე, 1961 წლის 1 დეკემბრიდან კი გადაყვანილი იქნა უფროს მეცნიერ მუშაკის პოზიციაზე. 1962 წლის ოქტომბერში გ. ჩაგანავა ინიშნება აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივის დირექტორად. პარალელურად სწავლობს იმ დროისათვის ერთადერთ სპეციალიზებულ უმაღლეს დაწესებულებაში - მოსკოვის საარქივო ინსტიტუტში, რომელიც დაასრულა 1963 წელს.

გრ. ჩაგანავამ 35 წელი ემსახურა აჭარაში საარქივო დარგის განვითარების საქმეს. აქედან 23 წელი აჭარის ცენტრალური არქივის დირექტორი იყო, ხოლო 1986 წლის იანვრიდან კი დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სამეურნეო ჯგუფის ხელმძღვანელი.

დიდია გრიგოლ ჩაგანავას დამსახურება საარქივო საქმიანობის განვითარების საქმეში. იგი იყო უნარიანი ხელმძღვანელი, შრომისოყვარე და პასუხისმგებლიანი მუსაკი. მისი მუშაობის პერიოდში სამინისტროებსა და უწყებებში დამუშავდა და ეროვნულ საარქივო ფონდს შეემატა ნახევარ მილიონზე მეტი საქმეთა ერთეული. განსაკუთრებულია მისი როლი არქივში ახალგაზრდების მოზიდვა-დასაქმების და დასპეციალების საქმეში. მისი თანადგომითა და ხელშეწყობით ბევრმა ახალგაზრდამ შეისწავლა და შეიყვარა საარქივო საქმიანობა. არასდროს ეძებდა ნაკლს თავის კოლეგებში. ყოველთვის ნახულობდა მიზეზს, რომ გვერდში დადგომოდა კოლეგებს და შეემსუბუქებინა პრობლემები თავისი თანამშრომლებსათვის.

თავად პასუხისმგებლიანი არქივისტი უპასუხისმგებლობას არავის პატიობდა. იგი იყო უაღრესად კოლეგიალური, ამავე დროს მომთხოვნი ხელმძღვანელი, ობიექტური და სამართლიანი ადამიანი. სწორედ ამიტომ გახდა გრიგოლ ჩაგანავა კოლეგის - ნუნუ სკამპოჩაიშვილის მეგობრული შარჟის ობიექტი და პოეტური შთაგონების წყარო.

,,ეს ყველაფერი როდია, ცხოვრება სხვაგვარად ტრიალებს,
სულ რომ დაგვძახის, გვაფრთხილებს, ნუ აცდენთ, ნუ აგვიანებთ!
ბატონი გრიშა ბრძანდება ეჭვიც არ არის ამაში,
მაგდენი ქულა ყვირილის, მესხსაც არ ქონდა თამაშში,
მაგრამ სულ ყველას ჯობია, კაცი კაცურად ქებული,
უყვარს არქივის კრებული, თვით მასზე შეყვარებული".

საარქივო საქმიანობის პარალელურად გრიგოლ ჩაგანავა ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობასაც. იგი იყო რამდენიმე სამეცნიერო შრომის ავტორი. არქივისტთაგან გრ. ჩაგანავა იყო ერთადერთი, ვისი ოჯახის ყველა წევრი საარქივო საქმეს

ემსახურებოდა. მეუღლე- ლენა ზაქარეიშვილი ხელვაჩაურის არქივის გამგე იყო, შვილი - ქეთევან ჩაგანავა - საბაჟოს არქივისტი, მეორე შვილი - ელგუჯა ჩაგანავა ანალიტიკურ-მეთოდიკური და ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობის სამსახურის უფროსი, შვილიშვილი ნინო ჩაგანავა - მუსიკალურიკონსერვატორიის არქივისტი. ტრადიცია ისევ გაგრძელდება.

აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივის დირექტორის თანამდებობიდან გრ. ჩაგანავა გათავისუფლდა 1985 წელს, პერსონალურ პენსსიაზე გასვლასთან დაკავშირებით - პირადი განცხადების საფუძველზე, თუმცა ამის შემდეგაც აგრძელებდა მუშაობას არქივის სამეურნეო ანგარიშსწორების ჯგუფის ხელმძღვანელის პოზიციაზე.

გრიგოლ ჩაგანავა გარდაიცვალა 1996 წელს. დასაფლავებულია ქალაქ ბათუმის ფერიის სასაფლაოზე. ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

ჩიბურდანიძე ლევან ვალიკოს ძე - დაიბადა 1955 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში. 1972 წელს დაამთავრა ბათუმის N 22 საშუალო სკოლა, 1978 წელს კი საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობა. 1979-1996 წლებში მუშაობდა ქობულეთის და ბათუმის სახლმშენი კომბინატის მექანიკოსად, ბრიგადირად, ,,ზილავტოსერვისის“ ზეინკლად. 1997-2004 წლებში ლ. ჩიბურდანიძე იყო დროებით უმუშევარი.

2004 წელს ლევან ჩიბურდანიძე ინიშნება ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად, 2006 წელს კი აჭარის არ საარქივო სამმართველოს უფროსის თანაშემწედ. 2007 წელს აღნიშნული თანამდებობა გაუქმდა. შესაბამისად ლ. ჩიბურდანიძე გათავისუფლდა დაკავებული პოზიციიდან.

ლ. ჩიბურდანიძე იყო საუცხოო ადამიანი, თავაზიანი, ყურადღებიანი და კოლეგიალური. განსაკუთრებულ დახმარებას უწევდა ახალგაზრდა სპეციალისტებს, აძლევდა საქმიან დარიგებას და რჩევებს.

ჩაჩუა დოდო ვარდენის ასული - დაიბადა 1951 წელს, სამტრედიის რაიონის სოფელ ოფეთში. სოფლს რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ბათუმის საქალაქო დაუსწრებელ ქართულ საშუალო სკოლაში (დაასრულა 1984 წ.). 1966 წელს გაიარა ბათუმის კულტურის სახლთან არსებული მბეჭდავ-მემანქანის კურსები. 1966-1975 წლებში მუშაობდა N5 სამკერვალო, შემდეგ კი ფეხსაცმლის ფაბრიკაში.

1976 წელს დ. ჩაჩუა დაინიშნა ცენტრალურ სახელმწიფო არქივში - მბეჭდავ-მემანქანის პოზიციაზე. 1977 წელს იგი გადაიყვანეს პირადი შემადგენლობის დოკუმენტების ცენტრალიზებული დაცვისა და გამოყენების განყოფილების არქივისტად. ამ პოზიციაზე იგი მუშაობდა გარდაცვალებამდე, 2004 წლამდე.

დ. ჩაჩუას ცხოვრების გზა ერთი ჩვეულებრივი ქართველი ქალის ბიოგრაფიაა, რომელიც სავსეა საქმისადმი ერთგულებით, მოყვასისადმი სიყვარულთა და პატივისცემით, უანგარობით, შრომისმოყვარეობით, შესაშური მეოჯახეობით.

ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

ჩხარტიშვილი რევაზ კუკურის ძე - დაიბადა 1948 წელს, ქალაქ ბათუმში. 1966 წელს დაამთავრა ბათუმის N11 რუსული საშუალო სკოლა. 1967-1969 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

რ. ჩხარტიშვილმა 1971 წელს დაიწყო მუშაობა ცენტრალურ სახელმწიფო არქივში სამეურნეო ჯგუფის მუშაკად. მის მოვალეობაში შედიოდა საარქივო დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება და დოკუმენტების სახელმწიფო არქივში ჩასაბარებლად მომზადება.

საარქივო სამმართველოში მუშაობდა რევაზ ჩხარტიშვილის მამა - კუკური ჩხარტიშვილიც. სხვა მონაცემები რევაზ ჩხარტიშვილის შესახებ საარქივო ფონდებში დაცული არ არის.

ჩხარტიშვილი კუკური კალისტრატეს ძე - დაიბადა 1913 წელს, მახარაძის (ახლ. ოზურგეთი) რაიონის სოფელ ჯუმათში. 1939 წელს დაამთავრა თბილისის ალექსანდრე პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. 1941-1946 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. დაჯილდოებული იყო ,,კავკასიის დაცვის", ,,სევასტოპოლის დაცვის", ,,ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების" მედლებით, ,,სამამულო ომის ორდენით" და ,,წითელი ვარსკვლავით".

1966 წელს, გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ კ. ჩხარტიშვილი დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში - სამეურნეო ჯგუფის მუშაკად, შემდეგ კი სამეურნეო ჯგუფის ხელმძღვანელად. ამ თანამდებობაზე მან იმუშავა პენსიაზე გასვლამდე. მიღებული ჰქონდა არაერთი ჯილდო.

ჰყავდა მეუღლე და სამი შვილი.

ჩიკვაიძე ეთერი ნიკოლოზის ასული - დაიბადა 1958 წელს, ქალაქ ბათუმში. 1975 წელს დაამთავრა ბათუმის N17 საშუალო სკოლა. 1978 წ. მუშაობა დაიწყო ბათუმის ხორცკომბინატში. 1985-1986 წლებში მუშაობდა აჭარის ასსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოება - სახელმწიფო კომიტეტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების მდივან-მემანქანედ.

1986 წ. დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის მეორე კატეგორიის არქივისტად, შემდეგ კი ფონდების მცველის პოზიციაზე. მასვე დაეკისრა მდივან-მემანქანის მოვალეობის შესრულებაც. გამოსაცდელი ვადის შემდეგ იგი ჩარიცხეს ცენტრალური არქივის საშტატო შემადგენლობაში.

ეთერი ჩიკვაიძე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა 1984 წელს, აჭარის მინისტრთა საბჭოში გადაყვანასთან დაკავშირებით. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

ცეცხლაძე შოთა მიხეილის ძე - დაიბადა 1940 წელს, შუახევის რაიონის სოფელ დარჩიძეებში. 1956 წელს დაამთავრა დარჩიძეების 8 - წლიანი, 1958 წელს კი ოლადაურის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ისტორია-ფილოლოგიის სპეციალობაზე. სხვადასხვა დროს შოთა ცეცხლაძე მუშაობდა: დარჩიძეების სკოლის მასწავლებლად, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, შუახევის კომკავშირის რაიკომის მეორე

მდივანად, სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ. 1972 წელს შ. ცეცხლაძემ დაამთავრა პარტიული სკოლა და გააგრძელა მუშაობა პარტიის რაიკომში ინსტრუქტორის პოზიციაზე. 1976-1981 წლებში იგი დაკავებული იყო პროფკავშირული საქმიანობით.

1999 წელს შ. ცეცხლაძე დაინიშნა აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივის დაგეგმარების და საორგანიზაციო მეთოდური მუშაობის განყოფილების გამგედ. იგი იყო პრინციპული, სამართლიანი, თავმდაბალი და ენერგიული მუშაკი. დაჯილდოებული იყო საპატიო სიგელებითა და მედლებით.

შოთა ცეცხლაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა როგორც საარქივო, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში. საარქივო მუშაობის პარალელურად ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობასაც. იგი იყო არაერთი სტატიისა და მონოგრაფიის ავტორი.

შ. ცეცხლაძე სამსახურიდან გათავისუფლდა 2006 წელს, პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

ჰყავს სამი შვილი.

ცენტერაძე ნინო ნოდარის ასული - დაიბადა 1972 წელს, ქალაქ ქობულეთში. 1987 წელს დაამთავრა ქობულეთის N 6 საშუალო სკოლა, 1995 წელს კი აჭარის კოოპერაციული ინსტიტუტი. 1990-2007 წლებში მუშაობდა ქობულეთის რაიონის გამგეობის და საკრებულოს აპარატის რეფერენტად, შპს ,,ქობულეთის წყალკანალში" - კომპიუტერის ოპერატორად.

2009 წელს ნინო ცენტერაძე დაინიშნა ქობულეთის ადგილობრივ არქივში წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე, გამოსაცდელი ვადით. 2009 წლის ივნისში იგი წამყვანი სპეციალისტის საშტატო ერთეულის პოზიციაზეა.

გათავისუფლდა სამსახურიდან 2010 წელს.

ცისკარიძე იაკინთე ერმოლაევის ძე - დაიბადა 1898 წელს. 1916 წელს დაამთავრა ბათუმის საქალაქო სასწავლებელი, შემდეგ კი თბილისის ზემდეგის სკოლა. 1921-1946 წლებში იგი საქმიანობს სამხედრო სამსახურში პოლკოვნიკის რანგში. დაჯილდოებული იყო მედლებით და ორდენებით.

1952-1956 წლებში მუშაობდა აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორის თანამდებობაზე.

ცეცხლაძე ქეთევან მიხეილის ასული - დაიბადა 1918 წელს, ქალაქ მახარაძეში (ახლ. ოზურგეთი). დაამთავრა საშუალო სკოლა. 1941 წელს მუშაობა დაიწყო აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივში - თავდაპირველად ბიბლიოთეკაში, შემდეგ კი (1942 წლიდან) არქივსაცავის გამგის მოადგილედ. 1943-1949 წლებში ის სათავეში ედგა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივს დირექტორის რანგში.

ცინცაძე ჯემალ ხასანის ძე - დაიბადა 1924 წელს, ქედის რაიონის სოფელ აქუცაში. მიიღო საშუალო სპაციალური განათლება. 1954-1970 წლებში მუშაობდა: სოფელ აქუცის კოლმეურნეობაში, კომუნალურ მეურნეობაში, ქედის რაიაღმასკომის -ბუღალტრის, საგადასახადო უბანში კი ინსპექტორის პოზიციაზე. 1971 წელს დაინიშნა ქედის რაიონული არქივის ბუღალტრად.

ჰყავდა მეუღლე და ოთხი შვილი.

ცინცქილაძე თენგიზ მემედის ძე - დაიბადა 1955 წელს, ქალაქ ქუთაისში. 1977 წელს დაამთავრა მოსკოვის საავტომობილო საგზაო ინსტიტუტი. 1977-1979 წლებში მუშაბდა ქალაქ თბილისში - ტრესტი ,,იუბმა"-ში ინჟინერ-გამმართველად. 1979 წ. იგი საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში და მუშაობა დაიწყო პლასტიკური მასალების კვლევით ინსტიტუტში - უფროსი ინჟინრის პოზიციაზე (1987 წლამდე). ერთხანს მუშაობდა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის და ტრანსპორტის განყოფილებაში - უფროს რეფერანტად, შემდეგ კი (1987-1989 წწ.) აჭარის არ მინისტრთა საბჭოს მეცნიერების და ტექნიკის განყოფილების გამგედ. 1989-1992 წლებში იგი ხელმძღვანელობს აჭარის არ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის, ტრანსპორტის და სახალხო მომხმარებლის საქონლის წარმოების, შემდეგ კი (1992-1995 წლებში) აჭარის არ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის განყოფილებას. 1995-1997 წლებში თ. ცინცქილაძე აჭარის მინისტრთა საბჭოს მთავარი მრჩევლია - ტრანსპორტის, სათბობით მომარაგების და გადამუშავების საკითხებში. 1997-2003 წლებში აჭარის არ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და ენერგეტიკის განყოფილებას უდგას სათავეში, 2004 წლიდან კი აჭარის არ მთავრობის აპარატის დარგობრივი ურთიერთობის სამსახურს. შემდგომ წლებში თ. ცინცქილაძე კვლავ აჭარის მთავრობის აპარატშია - დარგობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის რანგში.

2011 წელს მარტში თენგიზ ცინცქილაძე დაინიშნა აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს უფროსად. ამ თანამდებობაზე მან ორი წელი იმუშავა. 2013-2014 წწ. თ. ცინცქილაძე საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილედ დანიშნეს. რამოდენიმე თვეს იგი კვლავ ასრულებს სამმართველოს უფროსის მოვალეობას, შემდეგ კი (2014 წ. სექტემბრიდან) კვლავ მოადგილის რანგში აგრძელებს საქმიანობას. ამ პოზიციაზე მან იმუშავა 2016 წლის 16 ივნისამდე.

თენგიზ ცინცქილაძე იყო მაღალი კულტურის ადამიანი, კულტურული უნივერსალიზმის კლასიკური გამოვლინება. მას ჰქონდა უდიდესი გამოცდილება საქმის წარმოების სფეროში, იყო უაღრესად პასუხისმგებლიანი, პატიოსანი, სამართლიანი და გულისხმიერი ადამიანი. ამავე დროს იყო კარგი ორგანიზატორი. თ. ცინცქილაძის ხელმძღვანელობის პერიოდში მოხერხდა აჭარის ხუთივე რაიონში ტერიტორიული არქივებისთვის ახალი შენობების გადაცემა, მათი მოწესრიგება, რემონტი და საარქივო დოკუმენტების განთავსება.

გათავისუფლდა საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობიდან 2016 წ. ივნისში - სსიპ ,,ბათუმის ბულვარი"-ს ორგანიზაციაში გადასვლასთან დაკავშირებით, სადაც დღემდე ჩვეული პასუხისმგებლობით ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ძიძიგური მაია გურამის ასული - დაიბადა 1946 წელს, ქალაქ ბათუმში. 1981 წელს დაამთავრა ბათუმის N 2 საშუალო სკოლა, 1987 წელს კი ბათუმის შოთა

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. 1981-1983 წლებში მუშაობდა რესპულიკური საავადმყოფოს მედდად და ლაბორანტად.

1984 წელს მ. ძიძიგური დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში - სამეურნეო ანგარიშსწორების ჯგუფში - ჯერ უფროსი არქივისტის, შემდეგ კი არქივისტის, პირველი კატეგორიის არქეოგრაფის პოზიციებზე. 1990 წლის აგვისტოში იგი დაინიშნა პირადი შემადგენლობის დოკუმენტების დაცვის და გამოყენების განყოფილების მე-2 კატეგორიის არქივისტის პოზიციაზე. 1992 წლიდან მ. ძიძიგური ცენტრალური სახელმწიფო არქივის მთავარი, 1996 წლიდან კი საარქივო დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტია. მაია ძიძიგური იყო პროფესიონალი არქივისტი, უაღრესად ენერგიული და შრომისმოყვარე ადამიანი.

გათავისუფლდა დაკავებული პოზიციიდან 1997 წელს, პირადი განცხადების საფუძველზე. ჰყავდა მეუღლე და ერთი შვილი.

ძნელაძე მარინა სიმონის ასული - დაიბადა 1946 წელს, ქალაქ თბილისში. 1964 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის ალექსანდრე პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტში - ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1971 წელს მუშაობა დაიწყო მახარაძის (ახლ. ოზურგეთი) რაიონის სოფელ ბახვში, პედაგოგად.

1971 წლის აპრილში მ. ძნელაძე დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ფონდების მცველად. 1978 წელს გადაიყვანეს საცნობარო განყოფილებაში, უმცროს მეცნიერ მუშაკად. ამ პოზიციაზე მუშაობდა სხვა სამუშაოზე გადასვლამდე, 1980 წლამდე. სხვა მონაცემები ფონდებში დაცული არ არის.

ძნელაძე ნონა სიმონის ასული - დაიბადა 1964 წელს, ქალაქ ბათუმში. 1981 წელს დაამთავრა ბათუმის N2 ქართული საშუალო სკოლა. 1981 წელს დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, საცნობარო განყოფილების არქივისტად. 1982 წელს ნ. ძნელაძე გათავისუფლებული იქნა დაკავებული პოზიციიდან.

წულუკიძე მაყვალა ჯემალის ასული - დაიბადა 1958 წელს, შუახევის რაიონის სოფელ ტბეთში. 1975 წელს დაამთავრა ტბეთის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში - ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობაზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, (1979 წ.) მუშაობა დაიწყო შუახევის ბაგა-ბაღში - აღმზრდელ-მასწავლებლად.

1980 წ. მ. წულუკიძე დაინიშნა შუახევის რაიონის არქივის გამგედ, 1990 წლიდან კი არქივის იგი არქივის დირექტორია. მ. წულუკიძემ დიდი როლი შეასრულა საარქივო დოკუმენტების დაცვის საქმეში. მისი ხელმძღვანელობის დროს რაიონული არქივისათვის გამოიყო ახალი შენობა, ჩაუტარდა სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 1994 წლის 28 ნოემბერს, პირადი განცხადების საფუძველზე.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

წულუკიძე ნათელა ხასანის ასული - დაიბადა 1940 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში. 1958 წელს დაამთავრა ქობულეთის N1 საშუალო სკოლა და ჩაირიცხა (1960 წ.) უმაღლეს სასწავლებელში (სოხუმი), შემდეგ კი სწავლა განაგრძო ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში (დაამთავრა 1967 წელს). 1958-1965 წლებში ნ. წულუკიძე მუშაობდა ,,მეშახტეთა" დასასვენებელ სახლში, 1965-1967 წლებში - პოლიტექნიკურ სასწავლებელში, 1967-1971 წლებში კი ,,სოუზპეჩატში". 1971 წ. ნ. წულუკიძე დაინიშნა ქობულეთის რაიონულ სახელმწიფო არქივში სამეურნეო ჯგუფის არქივარიუსად, 1972 წლიდან იგი ფონების მცველია.

ნათელა წულუკიძე რაიონულ არქივში მუშაობის პერიოდში კეთილსინდისიერად ემსახურებდა რაიონის ისტორიული, სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების დოკუმენტების დაცვა-გამოყენების საქმეს.

ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

ჭელიძე მარიამ სერგოს ასული - დაიბადა 1962 წელს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ხელვაჩაურში. 1979 წელს დაამთავრა ხელვაჩაურის საშუალო სკოლა, 1988 წელს კი თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახემწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი - ფრანგულ-ინგლისური ენების სპეციალობით. 1987-1994 წლებში მუშაობდა ხელვაჩაურის მასწავლებელთა სახლში, კახაბრის და შარაბიძეების საშუალო სკოლებში მასწავლებლის პოზიციაზე.

1994 წელს მ. ჭელიძე დაინიშნა აჭარის არ სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება ,,მემატიანე"-ს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში - არქივისტის პოზიციაზე. იმავე წლის პირველი სექტემბრიდან იგი გადაიყვანეს მთავარ არქივისტად. 1997 წელს მ. ჭელიძე დაინიშნა სახელმწიფო - საარქივო დეპარტამენტის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დოკუმენტების გამოყენების და პუბლიკაციის განყოფილების გამგედ. ერთხანს იყო სახელმწიფო არქივის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (დროებით). 1999 წელს მარიამ ჭელიძე სათავეში ჩაუდგა აჭარის არ საარქივო დეპარტამენტს - თავმჯდომარის რანგში. 2004 წელს, თებერვალში ის დაინიშნა აჭარის არ საარქივო დეპარტამენტის თავმჯდომარედ, ამ პოზიციაზე იგი მუშაობდა 2004 წლის ნოემბრამდე.

2005 წელს მ. ჭელიძე დაინიშნა საარქივო სამმართველოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად, 2006 წელს კი გადაიყვანეს აპარატის საქმისწარმოების სამსახურის უფროსად. ამ თანამდებობაზე მან მუშავა ერთი წლის განმავლობაში. 2007 წელს მ. ჭელიძე დაინიშნა დამუშავებისა და საუწყებო არქივებთან მუშაობის სამსახურის უფროსად, 2008 წ. კი დაინიშნა დაკომპლექტებისა დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების უფროსად.

მარიამ ჭელიძე იყო მაღალი კვალიფიკაციის არქივისტი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობის რამდენადმე დაიხვეწა საარქივო სამიანობის სტილი და მეთოდები. იგი გამოირჩეოდა საქმის ცოდნით, პასუხისმგებლობით, დაკისრებული მოვალეობის შესრულების მაღალი სტანდარტებით, ორგანიზატორული ნიჭით. გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2010 წელს. ჰყავს ერთი შვილი.

ჭელიძე დემურ პროკოფის ძე - დაიბადა 1929 წელს, მახარაძის (ახლ. ოზურგეთი) რაიონის სოფელ ბახვში. 1951 წელს დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ისტორიის სპეციალობით. 1951-1958 წლებში დ. ჭელიძე მუშაობდა საზღვაო სასწავლებელში, ხიხაძირისა და ბათუმის N 20 რუსულ საშუალო სკოლებში მასწავლებლად, ქობულეთის რაიონის ცეცხლაურის რუსული საშუალო სკოლის დირექტორად.

1958 წელს იანვრიდან დ. ჭელიძე დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში - უფროს მეცნიერ-მუშაკად.

დ. ჭელიძე ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობასაც. მისი თანაავტორობით გამოიცა რამოდენიმე წიგნი.

გათავისუფლდა სამუშაოდან 1963 წ. სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით. ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი.

ჭყონია ნორა დიმიტრის ასული - დაიბადა 1925 წელს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჭურყვეთში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ნიგვზიანის საშუალო სკოლაში და სწავლა განაგრძო (1939 წელს) ფოთის N2 საშუალო სკოლაში. 7 კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ფოთის პედაგოგურ სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1944 წელს. 1948 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახემწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. 1949-1957 წლებში მუშაობდა ხულოს რაიონის სოფ. დიოკნისის, კორტოხის და ქედის რაიონის ვაიოსა და წონიარისის სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1958-1963 წლებში იგი იყო აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობის კორექტორი.

ნ. ჭყონია 1963 წელს დაინიშნა ცენტრალურ სახელმწიფო არქივში - უმცროსი მეცნიერ-მუშაკის პოზიციაზე. მასვე დაეკისრა ფონდების მცველის მოვალეობის შესრულება. დაკისრებულ მოვალეობას იგი ასრულებდა მაღალპროფესიულ დონეზე (სხვა მონაცემები მის შესახებ საარქივო ფონდებში დაცული არ არის).

ჭყოიძე ირმა რევაზის ასული - დაიბადა 1970 წელს, ორჯონიკიძის (ახლ. ხარაგოუილის) რაიონის სოფელ ქვებში. 1987 წელს დაამთავრა ქალაქ ხაშურის მე-4 საშუალო სკოლა, 1995 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - შრომის ეკონომიკის სპეციალობით. 1987-1989 წლებში მუშაობდა: ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკაში, საავტომობილო საამქროში (პროდუქციის კონტროლიორად), დარაჯად. 1996-1999 წლებში - საქართველოს სუბტროპიკული ნაყოფის შენახვა-გადამუშავების სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (ლაბორანტად).

1999 წელს ირმა ჭყოიძე დაინიშნა აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს სახელმწიფო არქივების დაგეგმარებისა და საორგანიზაციო მეთოდური მუშაობის განყოფილების წამყვან სპეციალისტად. იმავე,1999 წ. იგი გადაიყვანეს საარქივო სამმართველოს მოქალაქეთა განცხადებების, ფონდების ფორმირების, დაცვისა და დოკუმენტების მართვის, საცნობარო-საინფორმაციო ტექნოლოგიების და დიგიტალიზაციის განყოფილებებში უფროს, მთავარ და წამყვანი სპეციალისტების პოზიციაზე.

ი ჭყოიძე იყო მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოებული პროფესიონალი და დისციპლინირებული თანამშრომელი. თავისი საქმიანობით იგი მუდმივად უწყობდა ხელს საარქივო საქმიანობის დახვეწასა და შემდგომ განვითარებას.

გათავისუფლებული იქნა სამსახურიდან 2019 წლის სექტემბერში, პირადი განცხადების საფუძველზე.

ხიმშიაშვილი ნაზი აბასის ასული - დაიბადა 1962 წელს, შუახევის რაიონის სოფელ ნიგაზეულში. 1979 წელს დაამთავრა ნიგაზეულის საშუალო სკოლა, 1987 წელს კი ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი - გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობით. 1987-1995 წლებში მუშაობდა: სოფელ ნიგაზეულის საშუალო სკოლის პედაგოგად, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში, შუახევის რაიონული გაზეთის ,,ცისკარი"-ის რედაქციაში (კორექტორად, შემდეგ კორესპოდენტად).

1995 წელს ნაზი ხიმშიაშვილი დაინიშნა შუახევის რაიონული სახელმწიფო არქივის დირექტორის თანამდებობაზე. ამ პოზიციაზე მან იმუშავა 2011 წლამდე.

ნაზი ხიმშიაშვილი იყო უაღრესად კეთილშობილი, გულწრფელი და ალალ-მართალი ადამიანი, პროფესიონალი და შრომისმოყვარე არქივისტი. იგი ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ასრულებდა მასზე დაკისრებულ საქმესა და მოვალეობას, აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში. ნ. ხიმშიაშვილი მთის შვილი იყო, მისი წეს-ჩვეულებების დამცველი და გამტარებელი. 2011 წლის 5 აგვისტოს ზემო აჭარაში მომხდარმა ტრაგედიამ სულით ხორცამდე შეძრა დიდი და პატარა. უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა ნაზი ხიმშიაშვილი - ერთი კვირის ჯვარდაწერილ 24 წლის ქალიშვილთან ერთად. მას სიცოცხლეში ერთი გატაცება ქონდა - პოეზია. სტუდენტობიდან მოყოლებული ცდიდა კალამს, როგორც ხელეწიფებოდა ისე. ნაზი ხიმშიაშვილის ლექსები იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალსა და გაზეთში. ვერ მოესწრო იგი მისი პირველი პოეტური კრებულის ,,ვეღარ დავიცდი"-ს გამოცემას. მისი პოეტური შემოქმედების ერთ-ერთი წყარო იყო არქივი, რომელსაც მიუძღვნა შთამბეჭდავი ლექსი ,,ჩემი არქივი":

,,არქივი ჩემი საუნჯე და
ჩვენი ისტორია დიდი წარსულის,
ამოუწურავი, როგორც გენოფონდი
და ლაბირინთებიდან ხმა სულის.

საცავში შენახული დოკუმენტი,
ჰგავს ნაცარში მინელებულ ნაკვერჩხალს,
მკვლევარი სუფთა ხელებით აანთებს,
ისტორიული სიმართლის ცისფერ ალს.

დოკუმენტი - ჩვენი საუნჯეა წარსულის,
ზოგისთვის მკვდარი და მტვერწაყრილი ფოლიანტი,
წარსულიდან რომ მომავალს გვინათებს,
და ბრწყინავს, როგორც ლამაზი ბრილიანტი".

ხაჯიშვილი მირანდა რეზოს ასული - დაიბადა 1982 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვაში. 2000 წელს დაამთავრა ლეღვას N1 საშუალო სკოლა, 2004 წელს კი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 2004 წ. მ. ხაჯიშვილი ჩაირიცხა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში ზუსტ და ტექნიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის რადიოფიზიკის პროგრამაზე, რომელიც წარმატებით დაასრულა 2006 წელს.

2005 წელს მ. ხაჯიშვილმა მუშაობა დაიწყო აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში. 2006-2007 წლებში იგი იყო ინფორმაციის ელექტრონული დამუშავების და შენახვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი, 2007-2010 წლებში კი სახელმწიფო აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

გათავისუფლდა დაკავებული პოზიციიდან 2010 წლის აპრილიში.

ხაბაძე ეთერი ანდროს ასული - დაიბადა 1935 წელს, ბოლნისის რაიონის სოფელ კაზრეთში. 1954 წელს დაამთავრა კაზრეთის საშუალო სკოლა, 1959 წელს კი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. 1961-1962 წლებში მუშაობდა ქობულეთის საიდუმლო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში - უფროსი ლაბორანტის პოზიციაზე. 1964-1968 წლებში იყო სოფელ ალამბარის აგროქიმიური ლაბორატორიის გამგე.

1968 წელს ე. ხაბაძე დაინიშნა ქობულეთის სახელმწიფო რაიონულ არქივში, არქივარიუსის პოზიციაზე. ჰყავდა მეუღლე და სამი შვილი.

ხიტირი დავით გივის ძე - დაიბადა 1962 წელს, ქალაქ ბათუმში. 1979 წელს დაამთავრა ბათუმის N1 საშუალო სკოლა და ჩაირიცხა კიევის სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში. 1983 წელს სასწავლებლად გადმოვიდა ქალაქ თბილისში. 1984 წელს დაამთავრა თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, მმართველ-მასწავლებლის სპეციალობით (ფარიკაობა). 1979-1980 წლებში მუშაობდა ახალშენის მეურნეობაში - სათბურის მუშად. 1980-1991 წლებში იგი იყო ბათუმის ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის მეთოდისტი. 1991-2005 წლებში მუშაობდა სარფის საბაჟოზე - ინსპექტორად, 2006-2007 წლებში კი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში - სამეურნეო სამმართველოს უფროსად.

2008 წელს დავით ხიტირი დაინიშნა აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში - ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობის და დაკომლექტება-დამუშავების განყოფილების დამხმარე მოსამსახურედ. ამ პოზიციაზე იგი მუშაობდა 2013 წლის 5 თებერვლამდე.

წარმატებული იყო დავით ხიტირის სპორტული ბიოგრაფია. ფარიკაობაში დღესაც იმართება დავით ხიტირის სახელობის ტურნირი. იგი იყო უაღრესად ობიექტური, სამართლიანი, კეთილშობილი და მეგობრული სულისკვეთების ადამიანი.

გარდაიცვალა 2013 წ. 5 თებერვალს.

ხიმშიაშვილი მზია რეზოს ასული - დაიბადა 1977 წელს, შუახევის რაიონის სოფელ ნიგაზეულში. 1993 წელს დაამთავრა ნიგაზეულის საშუალო სკოლა, 1998 წელს კი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ბიოლოგიის სპეციალობით. 2003 წელს მუშაობა დაიწყო შუახევის რაიონული არქივის საქმეთამმართველად. 2005 წელს მ. ხიმშიაშვილი დაინიშნა შუახევის სახელმწიფო არქივის არქივისტად, 2007 წელს კი წამყვან სპეციალისტად.

მზია ხიმშიაშვილი იყო კეთილსინდისიერი, შრომის და საქმის მოყვარე არქივისტი. იგი ყოველთვის ასრულებდა მასზე დაკისრებულ საქმესა და მოვალეობას.

მ. ხიმშიაშვილი 2010 წელს გათავისუფლდა დაკავებული პოზიციიდან, თუმცა ხელშეკრულების საფუძველზე არქივში 2021 წლამდე გააგრძელა საქმიანობა დოკუმენტების სამეცნიერო ტექნოლოგიების და დიგიტალიზაციის განყოფილებაში.

ხაჯიშვილი იმედა სოსოს ძე - დაიბადა 1970 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკაში. 1987 წელს დაამთავრა წყავროკის საშუალო სკოლა, 1997 წელს კი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი - ისტორიის სპეციალობით. 1988-1990 წლებში იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. 1987-1994 წლებში მუშაობდა წყავროკის კოლმეურნეობაში რიგითად, შემდეგ კი წყავროკის საშუალო სკოლის სამნეო ნაწილის გამგედ და ისტორიის მასწავლებლად. ი. ხაჯიშვილი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ი. ხაჯიშვილი 2004 წლის ნოემბერში დაინიშნა აჭარის არ საარქივო სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2007 წლის დეკემბერში.

ხიმშიაშვილი ვალერიან ხასანის ძე - დაიბადა 1939 წელს, შუახევის რაიონის სოფელ ნიგაზეულში. საშუალო განათლება მიიღო ნიგაზეულის საშუალო სკოლაში. 1958-1960 წლებში იმყოფებოდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1965-1978 წლებში მუშაობდა ხულოს რაიკოოპერატივში და განათლების განყოფილებაში - ბუღალტრის პოზიციაზე.

1972 წელს ვ. ხიმშიაშვილი დაინიშნა შუახევის რაიონული არქივის სამეურნეო ანგარიშსწორების ჯგუფში - უცროს მეცნიერ-მუშაკად. 34 წელი ემსახურა საარქივო საქმიანობას, სამეცნიერო, პირადი შემადგენლობის თუ პრაქტიკული ღირებულების დოკუმენტების დაცვას, შენახვასა და გამოყენებას. იგი კარგად იცნობდა რაიონის წარმოება-დაწესებულებების საქმიანობას, იცოდა მათ მიერ შექმნილი დოკუმენტების მნიშვნელობა და ღირებულება. ამიტომაც აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას დოკუმენტების მოძიებას, შეგროვებას, თავმოყრასა და საარქივო ფონდის კუთვნილებისთვის განსაზღვრას. დიდია მისი პირადი წვლილი 50 ათასამდე მუდმივად შესანახი დოკუმენტების მოწესრიგების და სახელმწიფო შენახვაზე მიღების საქმეში.

ვ. ხიმშიაშვილი გათავისუფლდა 2006 წელს, პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით. ჰყავდა მეუღლე და სამი შვილი.

ხალვაში ოსმან ახმედის ძე - აჭარის ასსრ ცენტრალურ არქივის მმართველად მუშაობდა 1937-1939 წლებში (სხვა მონაცემები მის შესახებ საარქივო ფონდებში დაცული არ არის).

ჯაბნიძე გულიკო მოედინის ასული - დაიბადა 1962 წელს, ქედის რაიონის სოფელ ჯალაბაშვილებში. 1981 წელს დაამთავრა ხარაულას საშუალო სკოლა, 1982 წელს კი ბათუმის საბუღალტრო სკოლა. 1983-1986 წლებში მუშაობდა ქედის სანეპისადგურში და ქედის ჩაის ფაბრიკაში.

1996 წლიდან გ. ჯაბნიძე დაინიშნა ქედის რაიონის არქივში - არქივარიუსად, შემდეგ კი მუშაობა გააგრძელა წამყვანი სპეციალისტის პოზიციაზე. გულიკო ჯაბნიძე იყო შრომისმოყვარე, დაუზარელი, ყურადღებიანი, პასუხისმგებლიანი და მოწესრიგებული არქივისტი. იგი ყოველთვის პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

გულიკო ჯაბნიძე გათავისუფლდა დაკავებული პოზიციიდან 2007 წელს. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ჯაბნიძე გულნარა მოედინის ასული - დაიბადა 1961 წელს, დაბა მახინჯაურში. 1975 წელს დაამთავრა მახინჯაურის საშუალო სკოლის 8 კლასი და სწავლა განაგრძო ბათუმის სასოფლო - სამეურნეო ტექნიკუმში. 1998 წელს ჩაირიცხა ბათუმის სასოფლო- სამეურნეო ინსტიტუტში. 1988-1993 წლებში მუშაობდა ბათუმის ნორჩ ბუნებისმცველთა წრის ხელმძღვანელად და ლაბორანტად.

1993 წელს გულნარა ჯაბნიძე ინიშნება ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, პირადი შემადგენლობის დოკუმენტების ცენტრალიზებულ დაცვის და გამოყენების განყოფილების არქივისტად, საიდანაც გათავისუფლდა 2002 წელს, პირადი განცხადების საფუძველზე. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ჯინჭარაძე მზია ჭოლას ასული - დაიბადა 1959 წელს, ქალაქ ბათუმში. დაამთავრა საშუალო სკოლა. საარქივო სისტემაში მუშაობა დაიწყო 1975 წელს, ცენტრალური სახელმწიფო არქივის საცნობარო განყოფილების არქივისტად. გათავისუფლდა დაკავებული პოზიციიდან 1984 წელს, პირადი განცხადების საფუძველზე.

ჯორბენაძე თემური ილიას ძე - დაიბადა 1952 წელს, ხულოს რაიონის სოფელ ძირკვაძეებში. 1968 წელს დაამთავრა ძირკვაძეების საშუალო სკოლა, 1971 წელს კი ბორჯომის სატყეო მეურნეობის ტექნიკუმი და მუშაობა დაიწყო ხულოს სატყეო მეურნეობაში, ტყის მცველად. 1974 წელს დაინიშნა ხულოს რაიონული არქივის სამეურნეო ჯგუფის მე-2 კატეგორიის არქივისტად და ფონდების მცველად. 1986 წელს თ. ჯორბენაძე გადაიყვანეს ხულოს რაიონული არქივის გამგედ. ამ პოზიციაზე მან იმუშავა 1990 წლამდე. ჰყავდა მეუღლე და სამი შვილი.

ჯორბენაძე მზიური ზურაბის ასული - დაიბადა 1964 წელს, ხულოს რაიონის სოფელ ქედლებში. 1980 წელს დაამთავრა სოფელ ქედლების საშუალო სკოლა, 1996 წელს კი ხულოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სასწავლებლი - დაწყებითი კლასების პედაგოგის სპეციალობით. 1980-1991 წლებში მუშაობდა ჯერ

ხულოს სამკერვალო ფაბრიკაში, შემდეგ კი პარტიის ხულოს რაიკომში - ტექნიკურ მდივნად.

1998 წელს მ. ჯორბენაძე დაინიშნა ხულოს რაიონის სახელმწიფო არქივში არქივისტის მოვალეობის შემსრულებლის, შემდეგ კი არქივისტის პოზიციაზე. 2001 წელს იგი გადაიყვანეს ხულოს არქივის სამეურნეო ჯგუფის მუშაკად. მ. ჯორბენაძე იყო სანიმუშო არქივისტი. არქივში მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში იგი ერთგულად ემსახურებოდა დოკუმენტების დაცვა-შენახვის საქმეს.

დაკავებული პოზიციიდან მზიური ჯორბენაძე გათავისუფლებული იქნა 2007 წელს. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ჯინჭარაძე ციალა ლუკას ასული - დაიბადა 1930 წელს. 1950-1953 წლებში მუშაობდა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში - არქივარიუსის პოზიციაზე. სხვა მონაცემები მის შესახებ საარქივო ფონდებში დაცული არ არის.

ჯიშკარიანი მარინა ამირანის ასული - დაიბადა 1957 წელს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ღრმაღელეში. 1972 წელს დაამთავრა ღრმაღელეს რვაწლიანი, 1975 წ. კი ბათუმის N 3 საშუალო სკოლა (საღამოს განყოფილება). 1975-1985 წლებში მუშაობდა საზკვების ტრესტში.

მ. ჯიშკარიანი1987 წელს დაინიშნა აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის საცნობარო განყოფილებაში - მე-2 კატეგორიის არქივისტად. 1988 წელს იგი გადაიყვანეს საარქივო სამმართველოს საქმეთამმართველად. მასვე დაევალა სამმართველოს საიდუმლო საქმისწარმოება (1990 წლიდან). 1991 წელს მ. ჯიშკარიანი გადაიყვანეს ცენტრალური სახელმწიფო არქივის პირველი კატეგორიის მემანქანედ, 1994 წელს კი - ცენტრალური არქივის პარტიებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების სარქივო დოკუმენტების ფონდების მთავარ მცველად. 2005 წელს მ. ჯიშკარიანი დაინიშნა არქივსაცავის უფროსად, ხოლო 2006 წელს - მოქალაქეთა განცხადებებზე მუშაობის მთავარ სპეციალისტად. 2007 წელს იგი გადაიყვანეს წამყვან სპეციალისტად. 2008 წელს კი დაინიშნა საარქივო ფონდების ფორმირების, დაცვისა და დოკუმენტების მართვის განყოფილების მთავარ სპეციალისტად.

მ. ჯიშკარიანი იყო დისციპლინირებული, შრომისმოყვარე და ენერგიული არქივისტი. კეთილსინდისიერად და მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებდა იგი მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მ. ჯიშკარიანი წარმატებით ახერხებდა განყოფილებაში დაცული ფონდების მოწესრიგებას და საჭირო დოკუმენტების მომზადებას. ნაყოფიერი საქმიანობისათვის არაერთხელ დაჯილდოვდა საპატიო სიგელით.

მარინა ჯიშკარიანი გათავისუფლებული იქნა დაკავებული პოზიციიდან 2010 წელს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

*****

ბოლოსიტყვაობა

ძვირფასო მკითხველო!

ამით ვამთავრებთ ნაშრომის პირველ ნაწილს, რომელშიც წარმოდგენილია საარქივო სამმართველოს ფონდებში არქივისტების შესახებ დაცული მონაცემები. მათ დიდი როლი შეასრულეს საარქივო დარგის შემდგომი განვითარების საქმეში. ბევრი მათგანი დღეს აღარაა ჩვენს გვერდით, ზოგნი კი კვლავაც წარმატებით აგრძელებენ საქმიანობას სხვადასხვა სფეროში.

ამასთანავე, ქედს ვიხრით იმ პირველი არქივისტების წინაშე, რომლებმაც თავი მოუყარეს და სრულ ტექნიკურ წესრიგში მოიყვანეს 1878-1921 წლების ქალაქის საკრებულოს, სათათბიროს, ფოსტა-ტელეგრაფის, საბაჟოს და მეფისდროინდელი რუსეთის სხვადასხვა დაწესებულებებში მიმოფანტული ქაოტურ მდგომარეობაში არსებული საარქივო დოკუმენტები. შეუძლებელია არ გავიხსენოთ გიორგი ფურცელაძის (1924 წლამდე), ნიკოლოზ სპილოტის (1924-1931), სერგო ყუფარაძის (1932-1937) და სხვათა ღვაწლი რომლებსაც ურთულეს პერიოდში უხდებოდათ მუშაობა. საარქივო საქმიანობაში თავიანთი კვალი დატოვეს აგრეთვე ოსმან ხალვაშმა (1937-1939), ვარდო სალამიტინმა (1939-1941წ) და მრავალმა სხვა არქივისტმა.

კიდევ ერთი მძიმე და ძნელი დრო იყო არქივის ხელმძღვანელებისთვის მეორე მსოფლიო ომის პერიოდი. დიდია ალექსი პროტოპოვის (1941-1942), კასიანე ბაბილოძის (1942-1943), გალინა ივანოვას (1942, 1943-1946), შლეიპოვის (1942), ქეთევან ცეცხლაძის (1942-1943), ელენე დომოპილოვის (1943-1944), მარია ხაკოვას (1944), ასევე შუქრი გუგუნავას, ელისო მექვაბიშვილის, ბაბილიან გეგელიას, ჰენრი გოგავას და სხვათა ღვაწლი საარქივო დოკუმენტების მოძიების, დამუშავების და დაცვა-შენახვის საქმეში.

ვიტოვებთ იმედს, რომ გამოჩნდებიან არქივისტების საქმიანობით დაინტერესებული მკვლევარები, რომლებიც არ დაიშურებენ ტკბილ სიტყვებს და უფრო სრულყოფილ გამოკვლევას წარუდგენენ საზოგადოებას. ამით გაგრძელდება ურთიერთპატივისცემისა და წინაპართა ღვაწლის დაფასების ის ლამაზი ტრადიცია, რომლითაც ყოველთვის იწონებდა თავს აჭარის საარქივო სამმართველო.

სარჩევი

წინათქმა

აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორიიდან

1.აბაშიძე მუხერემ
2.ანდრონიკიდი ანასტასია
3.აბუსერიძე ეთერ
4.აბულაძე ვაჟა
5.არობელიძე მაყვალა
6. აბუსელიძე ზაირა
7. აბაშიძე შალვა
8. ანდღულაძე გუგული
9. ბეჟანიძე ლეილა
10 ბესელია ჯულიეტა
11. ბერიძე შუქრი
12 ბეჟანიძე ციალა
13. ბოროვივინ ივანი
14 ბეჟანიძე ციური
15. ბარამიძე გურამი
16 ბოლქვაძე დიმიტრი
17.ბერიძე თემური
18. ბერიძე ჯაბა
19. ბასილაძე ნარგიზი
20.ბერიძე სანდრო
21. გუგუნავა სულეიმან
22. გურჩმელიძე ნიკოლოზი
23. გეგელია ბაბილინა
24 გოგავა გენო
25. გორდელაძე ლამზირა
26. გორგილაძე გურამი
27. გაბრუშიძე შოთა
28. გოგეშვილი ეთერ
29. გოგელია ვასილ
30. დოლიძე თომა
31. დუმბაძე ოთარი
32. დიასამიძე მიხეილ
33. დიასამიძე ილია
34. დუმბაძე ქაზიმი
35. დევაძე ნანული
36. დეკანაძე ინდირა
37. დუმბაძე უშანგი
38. დავითაძე თემური
39.დარჩიძე ზურაბი
40. ვერულაშვილი დავითი
41. ვერძაძე ციალა
42.ვაშაკიძე ჟენია
43. ვარშანიძე ნინო
44 ვანიძე ლიანა
45 ზაქარეიშვილი ლიანა
46. ზოიძე გულიკო
47. თოდაძე შოთა
48. თოდაძე მარინა
49. თავდგირიძე მურადი
50.თავაძე მაყვალა
51. თოდაძე ნიკოლოზი
52. იმედაშვილი გუგული
53. ივანიაძე მზია
54. კარაბაშიან ვაგარშაკი
55. კალანდარიშვილი ლევანი
56. კობიძე ვახტანგი
57. კოღუაშვილი ფაინა
58. კაკალაძე მზია
59. კოპალეიშვილი ნაზიკო

60. კონცელიძე გულიკო
61. კოჩალიძე მაგული
62. კუჭაშვილი ნანული
63. კორძაძე რუსუდან
64. კოპლატაძე ნადეჟდა

65.ლომთათიძე თამარა
66. ლორია მზევინარი
67. ლეონიძე ფატმანი
68. მანთიძე ცუცა
69. მექვაბიშვილი ელისეი
70. მაკაროვა ეკატერინე
71. მიქანაძე ნანული
72. მოსიძე გალინა
73. მიქელაძე მანანა
74. მკერვალიშვილი ვლადიმერ
75. მამუჭაძე ჯამილა.
76. მიქელაძე ნათია
77. მელაძე არჩილ
78.მესხიძე მერაბი
79. მაკარაძე მზია
80. მაისურაძე მევლუდ
81. მაისურაძე დავით
82.მესხიძე ანზორ

83. ნეფედოვა ტატიანა
84 ნოღაიდელი ნაზი
85. ნოღაიდელი ნელი
86. ნაკაშიძე ემელიანე
87. ნადარეიშვილი ნატალია

88. ოთიაშვილი ლილი

89. პატარიძე ლეილა
90. პროცენკო კონსტანტინე
91 პინიანცი გრიგოლ
92.პარმაქსიზიშვილი თენგიზ
93. პატარაია ქეთევან.

94. რომანაძე ჟუჟუნა
95. რუსეიშვილი ლამარა
96.რესულიძე სიმონ

97. სკამკოჩაიშვილი ნუნუ
98. სიხარულიძე მირა
99. სარჯველაძე მარგალიტა
100. სალუქვაძე თენგიზი
101. სალაძე გურამ
102.სტურუა სოსო

103. ტაბაღუა სერგო
104. ტარუღიშვილი შორენა

105. უგრეხელიძე ნინო

106 ფილიპოვა ანნა
107. ფუტკარაძე ნაზი

108. ქამადაძე იაშა
109. ქობულაძე თამაზი
110. ქართველიშვილი ოთარი
111. ქათამაძე ციური
112. ქაჯაია ლევანი
113. ქილიფთარი დავითი
114.ქორიძე ელენე

115. ღლონტი ნელი

116. შეყილაძე თალიკო
117. შერვაშიძე ხათუნა
118. შალიკავა იზოლდა
119. შარაშიძე თამარი

120. ჩაგანავა ქეთევან
121. ჩაგანავა გრიგოლ
122. ჩიბურდანიძე ლევანი
123. ჩაჩუა დოდო
124. ჩხარტიშვილი რევაზი
125. ჩხარტიშვილი კუკური
126. ჩიკვაიძე ეთერი

127.ცეცხლაძე შოთა
128. ცენტერაძე ნინო
129. ცისკარიძე იაკინთე
130. ცეცხლაძე ქეთევან
131. ცინცაძე ჯემალ
132.ცინცქილაძე თენგიზ

133. ძიძიგური მაია
134 ძნელაძე მარინა
135. ძნელაძე ნონა

136. წულუკიძე მაყვალა
137. წულუკიძე ნათელა

138. ჭელიძე მარიამ
139. ჭელიძე დემური
140. ჭყონია ნორა
141.ჭყოიძე ირმა
142. ხიმშიაშვილი ნაზი
143. ხაჯიშვილი მირანდა
144. ხაბაძე ეთერი
145.ხიტირი დავით
146. ხიმშიაშვილი მზია
147. ხაჯიშვილი იმედა
148. ხიმშიაშვილი ვალერიანი
149. ხალვაში ოსმან

150. ჯაბნიძე გულიკო
151. ჯაბნიძე გულნარა
152. ჯინჭარაძე მზია
153. ჯორბენაძე თემური
154. ჯორბენაძე მზიური
155. ჯინჭარაძე ციალა
156. ჯიშკარიანი მარინა.